J 1371/2

ძველი მწერლობა.

ა-74

# არჩილიანი,

ანუ

## მეფის თეიმურაზ პირველის ცხოვრება.

ისტორიული პოემა და სხვა ლექსები

თქმულნი

**მეფის არჩილ მეფის მიერ.**

1937

გამოცემული

ლავრენტი მაჩიტაძის—დიმელისაგან.

წიგნსაცავი

ქ. ქუთაისი.

სტამბა ჟურნალის «მწყემსი» სა.

(დ. დ. ლამბაშიძისა)

1888

Дозволено цензурою, Тифлисъ 29 Января 1888 года.

# წინასიტყვაობა გამომცემლისმიერ.

# „არჩილიანისა"

ერთს ახლად შედგენილს პედაგოგიურ წიგნში ამოვიკითხეთ შემდეგი შენიშნვა: ჩვენი სალიტერატურო კრიტიკის უმექონობა უნდა აიხსნასო უფრო იმითი, რომ ძველი მწერლობა, ძველი ხელთნაწერები არ არის გამოქვეყნებული და არა იმითი, ვითომც კრიტიკური ნიჭი გვაკლდეს, ან კიდევ შესაფერი განათლება, როგორც ამას წინათ პოლემიკობდა ორი საპატიო ქართველი მწერალი...

წიგნებშიაც რომ არ ამოვიკითხოთ, თვითეული ჩვენგანი თავის თავზე გრძნობს ამ ნაკლულობას: გულითა გსურს შეისწავლო ძველი, მშობლიური მწერლობა, წიგნები კი ვერ გიშოვნია. თუ წარსული არ შეგიმეცნებია, აწმყოზე და მომავალზე სჯა უნიადაგოა...

ჩვენის მხრით განვიძრახეთ არჩილ მეფის ნაწერების გამოცემით ცოტა რამ წვლილი ჩაგვეგდო ზემო ხსენებულის ნაკლის შესავსებათ. მართალია «არჩილიანი» ერთხელ უკვე დაბეჭდილია 1853 წელს. მაგრამ ეს წიგნი ჩვენ ველარსად ვიპოვეთ და ჩვენი გამოცემა დაიბეჭდა იმ დედნითგან, რომელიც ერთს პირს აქვს სოფელს ღიმში და რომელიც, ასე გვგონია, თვით არჩილის ხელთნაწერი [illegible]

ამ წიგნის შინაარსის დაფასებას ჩვენ არ გამოვუდგებით. იგნი თავით თვისით უმჭევრმეტყველესათ ლაღადებს თავისს ითარებას. მხოლოთ ამას კი ვიტყვით, რომ წამკითხველი შიგ ჰიდს განძს იპოვის ქართულის ენის შესასწავლათ, ძვირფასს იტყვის მასალას და მასთანვე შესანიშნავის ეპოქის ისტორიულ ცნობებს.

არჩილ მეორე, როგორც საერთოთ ქართველი მეფეები, შობლიურის მწიგნობრობის დიდი მოყვარული ყოფილა, ღვთის ეტყველებაში დალალული და წარჩინებული სტილისტი; ამასთანავე მაღალი ზნეობის პატრონი.

მგონი არც ერთს ერს არა ყოლია იმდენი მეფე—მწერალი, რამდენიც ქართველობას. იგინი თან ომობდენ, მტრებს იგერიებდენ და თან მწიგნობრობას ეჯრებოდენ. ანგარიშში, რომ არ მივიღოთ ფარნაოზ მეფე და მიტრიდატ დიდი, საკმაოა მოვიგონოთ ვახტანგ სჯულისმდებელი, ვახუშტი, თეიმურაზ პირველი და მეორე და სხვანი ჯერ ნაკლებათ ცნობილი წინანდელი მეფეები და აგრეთვე მეფეთა გვარეულობას მწერალნი, კათალიკოზები და მთავარ ეპისკოპოზები.

ამ მწერალ-მეფეთა შორის არა მკირედი ადგილი უკავია იმერეთის მეფეს არჩილ მეორეს, რომლის კალმის ნასახჯული ჩვენ ამ წიგნში მოგვექცევია. მკვე ამას გარდა სხვა ნაწერებიც დარჩენოდეს არჩილს, მარამ ჩვენი მიკითხვმოკითხვა ამაო შეიქმნა. ეს კი ვიცით, რომ არჩილის კარნახობით ვისმე უცნობ პირს მოსკოვს დაუწერია «მოკლე საქართველოს ისტორია», ალბათ უფრო თავისის ძის ალექსანდრესთვის, რომელსაც ქვემორე მოვიხსენებთ. ეს ხელთ ნაწერი დაცულია მოსკოვს რუმენცოვის წიგნთსაცავში, როგორც გვამცნევს პატივცემული პროფესორი ცაგარელი, რომელიც შესანიშნავად რაცხს, მით, რომ იგი წინაუსწრობს ვახტანგის მიერს ქართულის მატიანების რედაქციას.

ძველს ქართველს მწერლებს ქონიათ მიღებული ერთი სამწერლო მანერა.—ვთქოთ მწერალმა მოიწადინა რომლისამე

იდიების დასახვა,—იგი თითონ როდი ლაპარაკობს, მისი პირდობა სულ არსად ჩანს. მას გამოყავს ორიოდე პირი მოკამთეთ. მათ ჩამოაგდებინებს ერთს რასმე საკითხავს, რომლის გამო აუტყდებათ მათ ცილობა. ამის გამო წამკითხველის ყურადღება თავითგანვე შემსჭვალულია და ბოლომდის წაკითხვის ხალისი არ ეკარგება. მას ფრიად ენუკება: აბა გამარჯობა რომელს დარჩება და კამათობა რითი დასრულდებაო. ამიტომ რამდენს ახალს და ახალ ფურცელს გადააბრუნებს და წვრილებში შედის, იმდენათ გონება უცხოვლდება აზრების ფერადსახეობით. როცა კი წიგნს დაათავებ, მხოლოდ მაშინ მიხვდები ავტორის განზრახვას: მას ნდომია თავისის იდიების გატარება დ თავში დადებული კვანძი სრულიად მას არაფრად ენუკება, უბრალოდ სამიზეზო ყოფილა.

ეს სანაქებო მანერაც არის ცნობილი ევროპიულს მწერლობაში და დიდი პედაგოგიური მნიშვნელობაც აქვს. მოიგონეთ «სიბრძნე სიცრუვის» წიგნი, «ქილილა და დამანა», «რუსუდანიანი» და სხვა მრავალი საერო და სალვთისმეტყველო წიგნები და დიალოგები

არჩილსაც ასეთი სახერხული უხმარია.—ექვს საუკუნეს შემდეგ მას შეუწუხებია დიდებულის შოთა რუსთველის აჩრდილი გამოუყვანია და მეფეს თეიმურაზ პირველთან აკამათებს: ჩვენ ორში ვინ ჯობიართო, ანუ როგორც მოშაირე, ანუ როგორც სხვაფრივ საზოგადო მოასპარეზეო. თავიანთის შეხედულობის საბუთებად თვითეულს მათგანს მოყავს ისტორიული ეპიზოდები, სადაც პირადი მათი მოღვაწეობა და მოქალაქობა იხატება. ამით ვით სარკეში, ისე გადაშლილია ორი შესანიშნავი საქართველოს ისტორიის ხანა: თამარ მეფის ბრწყინვალე საუკუნე და თეიმურაზ მეორის ჭირითა ვაგლახით მოცული დრო—ჟამი...

ბარნა სამჭივნოა ზეწარებით მაინც დავსახნოთ, თუ ვინ იყო ეს არჩილ მეორე და ვითარს გარემოებაში მოქალაქობდა.

არჩილ მეორე, რა თქმა უნდა, არ უნდა აირიოს არჩილ პირ-

ველთან, რომელიც ცხოვრებდა მეცხრე საუკუნეში და მურვან ყრუს შემდეგ 50-ე წელს ეწამა ჭიჭუმ ასიმისმიერ—ზ. საბინინის «საქართველოს სამოთხეში» არის სურათი ამ არჩილ პირველისა და მას გვერდ უდგას მეორე მოწამე ქართლის მეფე ლუარსაბი. ამ ორ მოწამეს ცხრა საუკუნის მანძილი ჰყოფს ურთიერთისაგან, მარამ ეს ხომ ბ. საბინინისთვის სულ ერთია: ერთად დაუხატავს და მათი ცხოვრების აღწერილობაც ერთად მოუქცევია,—ხრონოლოგია ვინ თქვა! ლუარსაბი იყო გიორგი მეათის ძე, ცხოვრებდა მეჩვიდმეტე საუკუნეში და წამებულ იქმნა შახაბაზისაგან. «არჩილიანში» ამ ლუარსაბზედაც არის ლაპარაკი. თავარი გმირი კი არის თანამედროვე და მახლობელი კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი ქეთევან წმიდა მოწამის ძე. ლუარსაბის ერთი და ხორაშან ამას ყავდა ცოლად, მეორე—ელენე მოსკოვის მეფეს თედორესა ბორის გოდუნოვის ძეს, ხოლო მესამე თინათინა წართმეულ იქმნა საცოლედ შახაბაზის მიერ.

თეიმურაზს წისქვილი არ დაბრუნებია თავს, თორე სხვა ჭირი არა დაკლებია რა ღვთისრისხვა შახაბაზისაგან. ამის შემოსევის დროს ლუარსაბი და თეიმურაზი გადმოხიზნულნი იყვნენ იმერეთს. შახმა ბორითგან მათ ფიცის წერილი წარმოუგზავნა: ოღონდ მოდით და გამომეცხადეთ და არას გერჩითო, თორე თქვენს ქვეყანას ავიკლებო. თეიმურაზმა შახის მზაკვრობის ამბავი კარგად იცოდა და რასაკვირველია არ ენდო; მივიდე და არ მივიდე, რაც უნდა, მაინც იმას იქმსო და მე უბრალოთ თავი რაღათ შევწიროო. ლუარსაბსაც ბევრი ელაპარაკა: არამც და არამც არ ენდოო, მარამა იგი ვერავინ დააჯერა: ქართლს ამიოხრებსო და მივიდა. შახი პირველ ალერსიანათ მოეპყრო, სარწმუნოების გამოცვლა მოთხოვა. მან ეს არ ქმნა და ეწამა.

თეიმურაზის ნაწერები ამას წინათ გამოუცია ბ. ზ. ჭიჭინაძეს და იმასში შეიძლება გასინჯოს კაცმა თუ, რამდენათ შესადარებელია იგი შოთა რუსთველთან...

თვით არჩილ მეორე დაიბადა 1747 წელს. 24-ის წლისა

იყო იგი, როცა მამა მისმა (დროებითად ქართლის მეფედ ყოფილმა ვახტანგ VI-შახნავაზად წოდებულმა) წამოიყვანა და გაამეფა იმერეთზე. ეს გამეფება მოცული იყო აუარებელის განსაცდელით.

ვახტანგმა იმერეთის მეფე ბაგრატი არეულობის დროს ტყვედ წაიყვანა ქართლს. ბარნა როცა იმერლებმა თხოვეს მისი უკანვე დაბრუნება, მან დაუბრუნა ბაგრატს ტახტი და თავისი არჩილი უკანვე წაიყვანა. ბაგრატზე გადაკიდებული იყო ლეონ დადიანი. მან დიდათ იწყინა მისი შემობრუნება; გადმოილაშქრა იმერეთზე, მარამა დამარცხდა. ბანა მარტო მეფე და მთავარი იყვნენ გადაკიდებულნი? მთელს მხარეს ჭირის დღე ადგა. მეფეს მეფედ აღარავინ ცნობდა, თავადები ზვიადობდნენ. ოსმალეთის ფაშები დამწვარზე მდუღარეს ასხმიდნენ: დღეს ერთს მოეხმარებოდნენ და გაამეფებდნენ, ხვალ მეორეს. ერთი სიტყვით იმერეთში კაცს აღარ ედგომებოდა. ბადალმა საქართველოშიაც ნაკლები უბედურება არ ტრიალებდა...

ჩვენი მხარე უფრო იმან დააფორიაქა, რომ მაშინდელმა მეფეებმა ბოლოს დროს ერთობ გადიკიდეს ოსმალები და სპარსები მით რომ მათ რუსეთის მეფეებთან დაიწყეს მფარველობის ძებნა და მიმოსვლა.

აი ამ შავს დროს ცხოვრებდა არჩილი და რა გასაკვირია, რომ იგი სამჯერ იყო გადაგდებული ტახტითგან და სამჯერვე ზედ აყვანილი. ამასობაში ხან ვის ამეფებდნენ და ხან ვის, მიხედვით იმისა, რომელი თავადი მოიცემდა ძალას, რომელი უფლისწული მოიბირებდა ახალციხის ფაშებს და ხონთქარს. ასეთმა გარემოებამ გასტანა სოლომონ პირველამდე.

როცა არჩილი ხონთქრის ბრძანებით პირველათ გადააგდე[ს] ტახტითგან, იგი რუსეთისკენ გაემგზავრა 1681 წ. რათა შემწეობა მოეცა. მაგრამ იქაურ მთავრობას მაშინ არჩილისათვის არა ცხელოდა...

იქითგან დაბრუნებული არჩილი 1684 წელს მოვიდა რაჭას. იმერეთში ცოდვის ლული ტრიალებდა. ბლეჯა—წეწვა ხალ-

ხის წოიკობა, ტყვეთა ყიდვა თვით მთავრებისა და თავადებისა-გან, და მისთანანი.

ყოველისავე ამის შეყენება გულით სწადდა არჩილს და იმისთვის ფრო ცდილობდა ტახტზე ასვლას. მარამა მის გამეფებას ჯერ ჯე-რობით ხელი შეუშალა ახლათ გამომტყვრალმა ოდიშ—ლეჩ-ხუმის მფლობელმა ლიპარტიანმა, კაცმა ბოროტმა და უდიერმა.

არჩილმა ისაქმა ხონთქართან; განაძეს ულირსი ალექსან-დრე მეფე, რომელიც ბაგრატს შემდეგ გამეფდა და არჩილი ხელახლა გამეფდა. ლიპარტიანი მისი დაუძინებელი მტერი იყო: იდუმალ შემოასია თავისი და ფაშის ჯარები ქუთაისს და მაშინ (1691 წ.) პირველათ აღაოხრეს დიდებულ ქუთაისის ყოვლად წმიდის ტაძარი. ალექსანდრემ ხელახლა მოიკრიბა ახალციხის თაში და შემოადგენ არჩილს. ამან ძლივს გაასწრო და გასწია რაჭას. აქეთკენ რუსეთს უნდოდა გადასვლა, მაგრამ ველარ გა-ატანა აბრაგების დუნგდოებს მთებში და დაბრუნდა ქართლში.

ამასობაში ალექსანდრე, იმერეთის მეფე, დიდ სიავეს ჩა-დიოდა იმერეთში. საერო და სასულიერო პირებმა ყველამ შე-იძულეს იგი; შემოადგენ მას მისის სიმამრის გიორგი აბაშიძის სასახლეში სოფ. სკანდეს, დაატყვევეს და გაუგზავნეს გასასჯე-ლათ მისს მოძულეს გიორგის ქართლის მეფეს, 1695 წელს. არჩილი ხელმეორეთ მოიწვიეს და დასვეს მეფედ. ალექსანდრე კი კარგად ხნის ტყვეობას შემდეგ მოაშთვეს რუისში.

ალექსანდრეს ქვრივი ცბიერი და ტურფა თამარ დედოფა-ლი ჯერ შეეძლია გიორგი მეფეს და, მან რომ იუარა, ახლა არჩილს შეაძლია გიორგი აბაშიძემ:—თუ გინდა იმერეთის ტახ-ტზე დამკვიდრე, ეს ჩემი ქალი ნადედოფლარი შეირთეო. არჩილ-მა, რასაკვირველია, უარი განაცხადა ამ სარწმუნოების საწინააღ-მდეგო კავშირზე. ამით გადიკიდა გიორგი აბაშიძე. ეს და ლი-პარტიანი შეითქვნენ, მოიმხრეს გავლენიანი თავადები, იპოვეს ვიღაცა მეფის მონათესავე გიორგი (ხალხისაგან გოჩია მეფედ განკიცხული) შერთეს იგი თამარს და უწოდეს მეფედ 1696 წელს.

იმერეთის საქმე სულ აირდაირია. არჩილი გადიხვეწა ღვალეთს და იქ უცდიდა დრო—ჟამის ცვალებას. ფიქრით ამუშავებდა გეგმას რუსეთის ხელმწიფესთან შემწეობისათვის ოსმალეთა საწინააღმდეგოთ... ღვალეთში არჩილისებრი მსაქმობი და მწიგნობრი კაცი უქმათ ვერ გაჩერდებოდა და აქ დაუწერია მას თავისის «არჩილიანის» პირველი ნახევარი, იქამდე, სადაც ამბობს: «ამას ზევით ოსეთს მითქომს» და სხ. დანარჩენი რუსეთს დაუსრულებია.

ზემოხსენებული გიორგი—გოჩია გამოდგა კიდევ უფრო საზიზღარი მეფე, ვინემ ალექსანდრე. იგი შეიძულეს თვით ცოლმა და სიმამრმაც. ამ უკანასკნელმა მოიბირა თავადები და გადააგდეს ტახტითგან ეს ახლათ გამომტყვრალი მეფეც. გიორგი აბაშიძემ კიდევ ერთხელ ცადა რომ არჩილისათვის შეერთევინებია თავისი ტურფა თამარი და ტახტის მისაღებათაც მოიწვია ღვალეთითგან. მარამ არჩილმა არა თუ თამარის ცოლობაზე თქვა უარი, თვით ტახტიც უარ ყო და შემოთვალა: აღარ მსურსო მეფობა იმ ქვეყანაში, სადაც დიდი და პატარა ასე დაცემულია და გარყვნილია, სადაც ტყვის ყიდვა, ფიცის ტეხა, ხდომა და გლეჯა არათუ წარჩინებულთაგან, არამედ მდაბიოთაგანაც ასე გახშირებულიაო...

მაინც კიდევ შეუჩნდენ არჩილს თავისიანები, ქართლის მეფე და სხვები და დაიყოლიეს მეფობაზე. მოვიდა იმერეთს და დაიპყრო იგი. მარამ ახლა ახალციხის ფაშამ არ იყაბულა მისი უკანვე დაბრუნება. ამან მოიხმო სიმონ ერეკლე მეფის ძე ქართლითგან, დიდის ჯარით შემოესია იმერეთს და გაამეფა სიმონი. არჩილი კი რუსეთისკენ გაემართა. სიმონიც ღალატით მოკლეს ლიპარტიანმა და გურიელმა; გამეფდა იმერეთში გურიელი. გარნა მხოლოთ სახელით, სახრავი კი გიორგი აბაშიძისა იყო.

ამ დროს რუსეთს განაგებდა იმპერატორი პეტრე დიდი, ამისი დიდი იმედი ქონდა არჩილს. მასთან ყავდა დატოვებული აღსაზრდელათ თავისი თვალისჩინი ძე ალექსანდრე. რო-

ელზედაც არჩილი ამყარებდა თავის იმედებს. ალექსანდრეს პეტრე დიდი არ იშორებდა, არც ომებში და არც ევროპაში მოგზავრობის დროს. მისით მოელოდა ოსმალ-სპარსთა დაუძლურებას ამიერ კავკასიის მხრით და ამისთვის ასწავლა მას სანაქებოთ საომარი ხელოვნება, ცეცხლის სროლა ზარბაზნების და ყუმბრების მორთვა და მისთ. ბოლოს მას უბოძა ფელცეხმეისტრობა და შვედების წინააღმდეგს ომში ალექსანდრეც დაესწრო. აქ მან მიიღო ჭრილობა და დატყვევებულ იქმნა. არჩილი ამ დროს მოსკოვს იყო და დიდათ საპატიოთ მიღებული პეტრე დიდისგან. ალექსანდრე პირობით გამოუშვეს სტოკოლმითგან მამის და ცოლის სანახავათ. მაგრამ საუბედუროთ ველარ ეღირსა ამ ბედნიერებას. იგი გარდიცვალა გზაზე რიგაში შირიმის სენისაგან 1710-ს წელს. მისი გვამი მოსკოვს მოასვენეს და დიდის პატივისცემით დაასაფლავეს დონის მონასტერში. უსასოქმნილი არჩილიც მალე გარდიცვალა და ისიც იქვე მარხია. ხოლო მისი დიდი ადგილ-მამული, პეტრე დიდისგან ბოძებული, დარჩა მისს ცოლს ქეთევან დედოფალს და ასულს დარეჯანს სანამ ეს უკანასკნელნიც არ გადიცვალენ.

ლავრენტი მაჩიტაძე.

---

ქ. მ. «არჩილიანის» დედანში არის ნახმარი ქ. წ. მეტი ასოები, რომელნიც ჩვენ ბეჭდვაში აღარ შევიტანეთ, მით უფრო რომ არც თვით დედანშია ყველგან დაცული მათი ხმარება: ხან წერია ჩუენ და ხან—ჩვენ და სხ. გარდა მაგისა გამოვრიცხეთ მარცვალი «და» რომლითაც ჩვეულებისამებრ თავდება ყოველი მეოთხე შაირი.

# წინა-სიტყვაობა არჩილ მეფისა.

პირველ უნდა ღვთის შიშზედ კაცმა გული დაამყაროს,
სიყვარული მისი ჰქონდეს, სასოება არ გაჰყაროს,
აზროვნება უეჭველი, ყოლდე იჭვი არ შეუაროს,
ქონებასა არ დამონდეს, გლახაკთ მისცეს ასაპყაროს.

სიბრძნესა ვითხოვ, მან მომცეს დაუშრომელი ენადა:
გულსა ლახვარი მარიდოს, თვალს ცუდი ცრემლთა დენადა,
მნებავს ამ ამბის დატკბობა, ყური მამიპყარ სმენადა,
სახელ-მძლევველ მყოს მაზედა, თუ ვინ გამამყვეს დგენადა.

შენ არ მოგეცა სადგურად, ვინ მომიყვანდა ამოსა:
მონა უხმარი, უდები, ვერ მივებაძე ამოსა,
მით შემიწყალე საქმესა, ვერას ვიქ შენ საამოსა,
შერისხდი ქრისტე, ვინ შენა ღვთაება არ იწამოსა.

არ მალმიძს, რაზომ ვირჯები, სიბრძნისა კართა გაღება:
არც არას აქა ქონება, არცა რას სხვაგან წაღება,
შეთხზვნა სურნელთა ყვავილთა, წალკოტ ქმნა, ანუ ბაღება.
სანოვაგეთა შეკაზმა, საგემოდ ვისმე დაგება.

რადგან მორწმუნე ტალანტი, არ მიხმდა დამემალა მე:
მაგრამ დავფარე ზოროტმა, სიმედგრე დამემალა მე,
წა, სინანული მომმადლე ცრემლს ქვეშე დამემალამე,
აწე არღარა დავფარო, ძლევა მეც მომემალა მე.

ვეშვ ქსე ჩემი ნათქვამი, კარგი რამ მოსაგონარი,
არ არს საკიცხი ამბავი, ამოდ მოსაწონარი
არ სხვათ ზღაპრულთა შაირთა, ტყუილად გასაგონარი,
ესევ ვარჩიე დუმილსა, წაწყმდარ ყოველი მცონარი.

სწორად უნდა ლექსი ვინ ითქვას, მართლა ცემდეს, განა გაჰკრას,
თავი კარგა ამოუღო, ბოლო გვამსა ზედ მოაკრას,
ვით ხუმალზა გამართულსა, ქვეიდამე ხელი აჰკრას
ტკბილად იყოს გასაგონი, განა თავსა ვისმე დაგკრას.

ზოგჯერ უნდა წასავლელად, ვით კაპანმა კაცი აბა,
გული ასე დაუყენოს, ეგონოს, თუ თოკი აბა,
ერთი რამე სალაღობო, ზედ ხუმრობა წამოაბა,
მერმე კიდევ ძნელსა რასმე შეიქმოდენ მაზე აბა.

კიდევ ვისმე დიდებასა, მისცემდეს და ამალოთ:
ჰგლავ სოფლისგან ნაღვლიანი, მიწამდისი დადაბლოთ,
დედ მამასა აყოლებდეს, უყმოდ მათგან დაობლოთ,
ლხინი ჭირად შეუცვალოს, ემდუროდეს მას საგმობლო.

სხვათ მელექსეთ არ ვახსენებ, არც ბააკა დვალიშესა:
არც დავითინა ქვაჩაანსა, შოთას რად ვერ წაბამესა,
რუსთველმა თქვა: კაცით კაცად საქმე რამე დიდი მესა,
ხედავთ ვარსკლავთ სიმრავლესა: ვერ ედრება შუქით მზესა.

ვისაც ეთქვას კარგად რამე, ნუ წაუხდენთ, თქვენცა აქეთ!
კარგი კარგად მოუწონეთ, ცუდის მთქმელი მოდაბაქეთ,
ვინ ვერ მიჰყვეს რუსთველის თქმულსა, გარდმობმანდეს ასე, აქეთ,
მელექსობა არ შეშვენის, დააყენეთ მოსაბაქეთ.

ქართველთ ენითა მელექსე და ვერ ედრების ამა ორსა:
რუსთველსა ენა რიტორსა, მეფეს ალვისა ნამორსა,
ერთმანეთის რად ვაბასებთ, უხამსთ უყოვდენ ამბორსა,
ქართველთა იტყვიან უცოტბად ამბავსა სპასთა ნაშჯორსა.

ზეკრჯელ მასმია ცილებს, ამბობდენ: სჯობსო ეს მასო,
შედარებასა ნუ მოკმლით, უნდა, თუ მათცა ესმასო,
ლხინსა გვიჩვენებს ამოსა და გაგვაგეთებს ეს მასო,
ჭირსა უჟუერის, სევდასა, გულთა ლახვარის ესმასო.

ვინ ლალთან დადვა აყიყა, მის წყალ ფერ გამომცემელი,
ან ტკბილ მეტყველსა ენასა, უდრის გესლ-გამომცემელი,
ეგრეთ ვერ მიჰყვე რიტორთა უცები ბრძენ საცემელი,
ბრძენო გენუკავ ტარიგსა, არა ხამს გამომცემელი.

რად ხამდა ეგ ზომ მუსიკთა, მელექსეთ თავსა შევრევდე,
მათ მარგალიტთა ნაფრქვევთა, ღორებ ვსთრგუნევდე შევრევდე,
ან ვარდის ბაღსა ბულბულის ნაყეფსა გავატევრებდე,
მაგრამ ამად ვქენ, სევდასა დავსცემდე, მიწყივ მოვრევდე.

მელექსენი ასე ითქვა, ბოლოც მმართებს შეუთაო;
ბატონი კი შეუდარო, სხვათ რუსიველი გაუთაო,
კარგადა ვთქვა ყველა კაი, არა მგონის ვნანუჩაო,
კიდევ რამ ვსთქვა, რასა ბრძანებთ, თუ ამაზე გავათაო.

სიბრძნის მცდელნო, ხელის მყრელნო, გაიგონეთ, განა გესმისთ:
ორთა ბრძენთა მუსიკობა გულს გაამებსთ განა გესმისთ,
ტკბილათ არის შესახვრევი, სამსალებრი, განა გესმისთ,
სიტყვა შაქართ იადონთა, მელექსობა განა გესმისო.

ჯაგლაგსა ფაგლენის შვალსა, არვინ ათხოვებს ყურსაო:
მას ვერცხლი დაუმსხვრევია და ველარ დაუყურსაო,
სულ მელექსენი შევყარე, მაგრამ ამ ორთა მშურსაო,
რა დავაბრალო ჯაგლაგსა, ვერ მიჰყვეს ბედაურსაო.

ქაიხოსრომან შიგ ჩართვით, ლექსად თქვა ომანიანი,
ომანის სიმხნე, სიქველე, ჯაჭვის ცმა მოემნიანი,
კარგად რამ უთქვამს მის გამო არა ვთქვი მისი ზიანი,
ყვავილშიც გამოერევა სულითა ქუფრი რიანი.

ფარსადანის ძემ ნოდარ თქვა ქება კარგა ზარამ გურის,
შვიდთ იულიმთა ხელმწიფეთა ხოტბა სრული არა გურის,
თვალნით თლილნი მოათვრქვივნა კარქვაყო არა გურის,
მის ლექსისა სასმენელად, მიპყრობა ხამს კარგა ყურის.

გარსევან ჩოლაყასშვილსა უთქვამს რამე რაების,
კიტრი ხილად რალას კარგა, ვაშლი მოვა რაების,
ვიე, სჯობს რაცა მასმია, მისგან მონახსენების,
გული კვდება ნარგიზთათვის, თვალნი გაუშტერების.

სულხან ვინ თანიაშვილი, მეც მახსოვს, იყო ჩემობას,
ცოდნა მას ჭქონდა ბევრი რამ, მაგრა სწამობდენ ჩემობას,
ამირან დარეჯანის მეს უქებდა გამომჩვენობას,
თუცა კარგად თქვა, მაშინცა ნუ ჭგონებს რუსთვლის ოდნობას.

ზარძიმ ვაჩნაძემ სამისა წიგნი გალექსა ოდიშსა,
სხვას მელექსესთან ჯდომაში უსამს, ისდიდეს ბოდიშსა,
თუ არ შეეძლო, რასთვინ თქვა, რად შეიქს საამბოდ იშსა,
ვეჰ, თუ არ ეთქვა, მით უთქვამს საქმეს უზემდენ საშიშსა.

აწ სამებელი იეკობ, კახსენო ბრძნად მოუბარი,
ამ ჟამად მას მეცნიერნი არსად არა ჭყავს უბარი,
სუცურის ენით ძელექსობს, არის საეროს მგმობარი,
სრულად ამისთვის არ ვაქებ, რომ იყო ჩემი მგობარი,

ფაშანგი ფაშვი ბერტაძემ ახლა თქვა ფირმანიანი,
სომხისგან კარგად ჩაგდეთ, სიმძიმით ვით ლიტრიანი,
გებრალებოდესთ საბრალო, ცსვირ მოჭრით თვალ-ცრებლიანი,
მე ვათქმევინე, მაგრამე ვერა თქვა მარილიანი.

იცით სიბრძნეს არა მალავს, მეფე არცა დიდებული,
გულსა შინა დათვარული, ამოილეს მიდებული,
მიჯნურობა მრავალ-გვარად, თქვეს სასმილებრ კიდებული.
ზოგნი მსიძავთ შეუდარეს, ზოგნიაო კიდებული.

ყურს მიპყრობდით წადიერად, ნურსად წახვალთ, აქავ ებით,
მას უბრძანა თამარ მეფემ, ბატონმა თქვა თავის ნებით,
ბევრი რამ თქვეს მათ ამბავი, გარდალექსეს თარგმანებით,
მას უკან თქვენცა მოგინდეს, მაგრამა მეკე დამანებით.

მეფე ბევრს რასმე შემოკრებს მიჯნურთა ერთათ მგობასა.
არ დასწყვეტს სიბრძნის წყაროსა ენისა მუსიკობასა,
აქებს შვენება სიტურფეს, სითვიცსე კისკასობასა,
თუმცა ეწყალვის, მაშინცა არ აკლებს ლახვარ-სობასა.

რუსთველი მოკლის სიტყვითა, მზესა ვით ათინათინებს,
მეფე თეთრს ცრემლსა ლაწვზედა ფერად-ფერად ათინათებს,
შოთა ზის სიბრძნის ეტლზედა, თავსა მით ათინათინებს,
ბატონი ჩარხავს სიტყვასა, ავს კარგ იქმად ათინათინებს.

თვალს მიჯნურობით დამბრმალსა, უნატრის ახლა ჩენასა,
უმზერდეს მოუცილებლად, უწყვეტლად ცრემლთა დენასა,
ენას ხმარულობს, მუსიკობს, ყურნი შეუძნდენ სმენასა,
მეც მათებრ მაქონ მსმენელთა, ვიტყოდე მათოდენასა.

ორი არის სიტყვის ცოდნა, სამღვდელო და საერიო:
სამღვდელოსა მცოდინარე, საეროსა მოერიო,
ამათ ორივ სცოდნებიათ, დაუჩაგრავთ მით სწორიო,
თქვენც მოგსურდესთ, მათი სიბრძნე, თუ ვინ ორმივ გაერიო.

აწ თქვენ გასინჯეთ მგითხველო რომელს რომელი სცოდნოდეს:
სამღვდელო ანუ საერო, მის მის დროს რომელს მოჰქონდეს,
ენას მსუბუქად ტკბილი ადრე, არ მობტყუდ მძამედ მოსწონდეს,
ამის შეტყობა მინდოდეს: ნუ მძრახავთ ეს მომნდომოდეს.

ვნახე ედემს ალვა რგული, რომე მზეებრ შუქსა შუქდა,
ამკირებდა სხივსა მისსა, არ იეფად არვის ჩუქდა.
არ მიმიშვა ახლოს შეყრად, გული ამად ამიჩუყდა,
წამოველ და ყოვლი ღონე იქავ დამრჩა, ჩამიქუქდა.

დილის ნიავმა მასარა, ამოსვლა მუნ მთიებისა.
უთხარ მუხლ-დაყრით: მიჩვენე სად ნათობს, სად ენათების,

მონამ მითხრა: ვაჟო ძნელა, ნახვა მისი საიუფოების,
სხვანი მნათობნი მონად ხამს, მას უმობენ და მას ეთნების.

თუ ნახავ, ვიცი უცილოდ გული მისწრაფელ დაგიდნებისა.
შენსა საწადსა ვერ შოვებ, სიკვდილი მოგინდებისა,
გასწყრების გამოგამქებენ არ ხელში დაგიბნდებისა,
არ დამიჯერებ, მიჯნურობ, საქმე სად გაგისთებისა.

წარბ-მონაზვეკი წამწამი, მიჯნურსა გულსა ქსოვა,
სული ჭკვლეუცთა, შვენება, მას დარჩა უკეთესობა,
უხამს მთვარესა უნდოდეს, იმისი უზეშთესობა,
მზე დრუბლით აღარ გამოჩნდა, მასვე აქვს უკეთესობა.

ზილს ივუშავს წამწამთ ნიავი წამასწამ წამონაქროლი,
დაწვს იქით-აქეთ ბრწყინვალეს ხან მისა საჭვიროს ხან ბროლი,
ჭკვლუცო შეიბრალენით თქვენი მჭვრეტელნი შემძრწოლი,
მათ ცოტას ხანსა იცოცხლოს, არ იქმნეს მწირი ობოლი.

ენათა სწვეთენ გოლეულის, ბაგეთა ამაქარებენ,
ხელ-ქმნილსა ხელ-ქმნილისა და სამებრად სადმე არებენ,
მიჯნურთა, მოტრფიალეთა მხეცებრ აგარეგანებენ,
კლავცა მებრძოლთა ძრიელთა, დევთასავრად ალაშქარებენ.

ვინა ვიწყო მათი შედრა, ვუდარებდა ვარგსა და ვით?
თუმცა ვჯდე სიბრძნის ეტლზედა, ვიხმარებდე ფიცხ სადავით,
რად ხამს ბრძენთა არ ხსენება, ვინ აჯობეს ქიმვსა და ვით,
მნათობთ, შუქი არ მოაკლდეს, დუხჭირს ქმნას ტურფა და ვით,

მათ დაურჩით ბევრი რამე, საბრძნეს ბოლო არ მოელის,
მეც რამ ვიცი, არ დავფარავ, ცოდნას ვარი არ მოელის,
აწ გასინჯეთ თქვენს წინაშე, ლექსი ტკბილი არ მომელის,
მაგრამ მაშინც ამას ბრძანებთ, მათგან რამე გადმომელის.

გასინჯეთ, სიბრძნის ტრფიალნო, კარგად მითქვამს, თუ არ ავად:
მინდა თქვენ გამოგაჩვენო, არ მინდა დასაფარავად,
ერისთვის უოველისა საქმისა ქარი მიქროდა არავად,
ბოლომდის არვის გაუშვებს, სოფელი გაუმწარავად.

# კარი პირველი.

რუსთველი და ბატონი გავაბაასე და ორისავ ვსთქვი, რომელს უფრო მართებდა მელექსობის გამოჩენა და თქვენ გაარჩიეთ უმჯობესი აწ ამაში.

---

თვით შექმნათ მათ ცილება, სხვათ მელექსეთ არ ირევენ,
სიტყვას ღრმასა, ბრძნად სასმენსა, შეაწყობენ არ არევენ,
სწორს ასხმენ მარგალიტსა, არ თუ მრუდის გაურევენ,
მათსა პირსა ტკბილი წყარო წმინდად მოსდის არ ამღვრევენ.

ნახეთ რუსთველი მეფესა, რა ტკბილად გასიტყვებოდეს,
ქსათნოება, ვკრძალვის, მას უნდა ეს ეტყობოდეს,
არა ჭხრის თავსა სამონოდ, თუმცა თუ დაეტყვებოდეს,
ესე სწადს მუდამ გვერდს ახლდეს, არც წამ არ გაეყრებოდეს.

## პირველი პასუხი მეფისა.

რუსთველო ყური მომაპყარ, გვადრიან მე და შენაო,
ზოგი შენ გაქებს, მე მეტყვის: შოთამ გაჯობა შენაო,
ხან კიდეც გამაგულასე, მათი მომინდა შენაო,
საკვდავად დამოვიმეტო, ან ამოვართო ენაო.

## პირველი პასუხი რუსთველისა.

მე რას ღირსვარ თქვენს დარებას, ამხანაგნი შემადარონ:
ჩემისთანა ვერსად ჰპოონ სულ ხმელეთი მოიარონ,
გრძნებაც რამ ჰქმნან, ცა დრუბლითა შეპყრობილი მოადარონ,
სულ მელექსეთ მიუფროსონ, ვით ისრაილი მღვდელი არონ.

## მეორე პასუხი მეფისა.

სულ მელექსეთ უფროსობა, რასთვის ბრძანე, არ გმართებდა:
არ მეც მათთან დამატანე, ეგ მე ჯავრით ამანთებდა,
ვით ჩამოგყვე, გითავმდაბლო, ჩემ კერძ მუფთათა ვერ ვამებდა,
სხვას, ვის გინდ რომ ვეუფროსო, ბოლოს მოსულს არ ემებდა.
არც მე მანდოდა ბაასი, მითქვამს: აქებდეთ რუსთველსა,
მას, ხარბად ენა-მეტყველსა, ვით ტკბილი მოსდის თთვეს რთველსა,
მაგრამ თეატრონს ავსებენ ასპარეზსა და კვლავ ველსა,
ბაასობენ და გვადრიან, ვხედავ ხანდახან თვალ-სველსა.

## მეორე პასუხი რუსთველისა.

თქვენ ნუ აჰყვები, იუბნან, ვინც უნდა თქვას რა-გინდ-არა,
ზოგთ თქვენი თქვან და ზოგთ ჩემი, მაგით ვინ დაგიბინდა-რა?
თუ კიდევ ბაასს მიბრძანებ, მე მანდა მოსვლა მინდ-არა,
ჩემსა დამეხსენ მეფეო, და თქვენი არა მინდა-რა.
ცუდად ლაყბობენ, შენმა მზემ, ვინ შეადარა ბატონს ყმა:
თქვენ ყურს ნუ უგდებ, ბატონო, იმახოს ტბაში ბაყაყმა,
სიტყვა მცდარმა და უცებმა, ცუდი თქვას სიტყვა ამაყმა,
მათ რომ იუბნან, ჩვენ რა გვჯის, ვინცა დაათრო არაყმა.

## მესამე პასუხი მეფისა.

რაღას უშველა, ამბობენ, ხან ჩემსა, ხან შენს ჯობნასა,
ზოგი ხმა მაღლა ბაასობს, და ზოგი იტყვის ქვე ბანსა,
ზოგთა ჯავრი ამატირებს, ლაწვთა შეიქმენ ბანასა,
აწ შენი მქება უფროა, ბოლოს შეიქმენ ნანვასა.

## მესამე პასუხი რუსთველისა.

სანამდი გავსძლებ პასუხის შენასყა უთქმელობასა:
ვიდრე დარევდეს სიფიცხე, გულსა მიდამო ღმობასა,
ძანამდი პასუხს არ ვიტყვი, შევკვეურო დიდს სალმობასა,
მერე მეც ვიტყვი პასუხსა, შევსწირავ ღმერთს მადლობასა.

## მეოთხე პასუხი მეფისა

რუსთველო სხვათ მელექსეთა თუცა შენ გაგითავესა,
მე არც გისწორებ, არ ვიცი კარგა მჭირსა, თუ ავესა,
მე ჩემი ჯობნა მგონია თუ სხვათ ვერ გამოგდავესა,
ერთი ამბავი აიწყე, ბოლოც სხვათ შეგითავესა.

ჩემოდნად შენ ვინ ჩაგაგდებს, რაცა სთქვი იძულებითა,
თამარ მეფემან გიბრძანა, ძალი გიყო, თუ ნებითა,
მე ჩემის ნდომით გამოვსთქვი, სხვის ვისით მეთქვა თნებითა,
შენ არ გასტყუდები, მე გჯობდე, თვარ შემოგფიცავ უმებითა.

## მეოთხე პასუხი რუსთველისა.

ქება მგონი არავინა თქვას, რომე თქვენით თავს იმკობდე,
[illegible]

იგინიცა მე მაქებენ, რაზომ გინდა მუსიკობდე,
თავსა არათ არ დაგიდებ, გასწორე გულით, ან სჯავრობდე.

მეფევ სამართლით ბრძანებდე, ხარ რაზომ შეუპოვარი;
მეც რამ ცოდნა მაქვს თქვენც იცით, არ პირუტყვი ვარ მძოვარი,
ვთქვი ჩემგან უწინ არ თქმული, არც შემდგომთ მოსაპოვარი,
თქვენ რა იშოვნე თქვენის თქმით? ბევრი ვქენ მე საშოვარი.

## მეხუთე პასუხი მეფისა.

ვერ გედარო, რით იქნება, როგორ იტყვით, ჭაი, ამას:
ერთის ამბის გარდალექსვა, არ მოხდება სჯობდეს ამას,
სჯობს გამიტყდე, ჩამომეხსნა, თორემ მოკვრი თვალეთა ნამას,
ართუ მჯობდე, ვერც მედრები, დავიფიცავ ჩემსა მამას.

ერთი კაცი ძალის საქმით, კარგს იქმოდეს, გინა ავსა,
მას იმდენად ვინ ჩაუგდებს, ვინ მისცემდეს ნებათ თავსა,
რა გასინჯავ ჩემ საქმესა, ველარ ითხოვ აგრე დავსა:
რა შარვანდი მზისა მოვა, სხვა მნათობი ყველა დასვა.

ასრე არ გადაგვიწყდება, რაზომ გაგრძელდეს ბაასი:
შინაგან მგელ-მტაცებელო, გარ ცხვრის გმოსია დაბასი,
ნაძლევი დავდვათ გაჯობო, მომცემი იყო დაბასი,
ვერ გაგიტეხო ტვირთითა, ფლური გიბოძო აბაზი.

## მეხუთე პასუხი რუსთველისა.

მეფევ მოწყალევ თქვენს წიგნში, მგონ ჩემი ქება სწერია,
ხელმწიფევ სიბრძნით სავსეო, მეც რამ ვსთქვა მოსაფერია,
თქვენ ბატონობა შეგშვენის, მე ყმა ვარ შესაფერია,
არ დაიმადლებ ამ სიტყვას, მაშ ძალი გამაერია.

საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს,
ვის ლხინი აქვს, მას უზნობენ, ანუ გული ვისცა უწუხს,
მხიარულად წაიკითხვენ, მაზედ თვალნი არვის უწუხს,
ნუ გასწყრები ხელმწიფეო, მოგახსენებ კიდევ პასუხს.

მე ვარ ძირი ლექსის თქმასა, მელექსენი ჩემზე შენობს:
ამაზედან რასთვინ წუხხარ, პირად მზეო იკრავ შენ ობს,
ლექსი ჩემი საამოა განსაწყენად მონა შენობს,
ნუ ეჭვ, მჯობდე სიხარულით, ცუდად იკრავ დაბადებს შენ, ნობს.

## მეექვსე პასუხი მეფისა.

ჩახრუხაძემ უწინ არ თქვა, რად იპარავ პირველ თქმასა?
რას მიერჩი მას რიტორსა, არ ანებებ მისსა მასა,
ვეჭვ მას დარჩეს პირველობა, დაგიხიოს შენი მასა,
თორემ ვკითხოთ ქორონიკონს, გაგიჩნდება მაშინ ბასა.

ერთი ვინმე ერთ საქმეზე, მოიცლიდეს იყოს მაზე,
რად დალონდეს მისსა ქნასა, ოდენ იყოს მონახაზე,
კაცს რომ საქმე დაბლა ჰქონდეს, ვინ დაადგო მონახაზე,
ვერ გაგტეხო, სისხლი ჩემი ხვრიპე, ხორცი გაიმაზე.

თუცა შენ იყავ აქამდი, უმჯობეს მელექსეთასა,
მთიები, ცისკრის ვარსკვლავი შუქს მაყვეს ვითა მზეთასა,
მეხუმლეს ვინ შეადარეს, ვინ მასთან ჰკრეგდეს ხეთასა.
მე ნუ მედრები: მიყვარხარ, უფრორე ჩემთა ყმებთასა.

ჯობს გამიტყდე, მართალი სთქვა, ის ომკი სჯობს, რას უარობ
მე შენ გჯობდე, რა იქნება, სხვათ შენ ჯობხარ, არ უარობ,
გული ამას დააჯერე, ნულარ სწმუნავ, ნუ მწუხარობ,
ვეჭობ, ეჭვი შეგვივიდა, პირველ ყმურად ველარ სარობ.

## მეექვსე პასუხი რუსთველისა.

წყლიანობ, მეფევ, ჯობნასა, არ ბრძანებ მართლის გულითა:
ერთი მე შეგრჩი არითვი, სხვა ყველა ანაზულითა,
თუ ვინ მაქებდეს, რა გავა, არ ვიყო დაგარგულითა,
მძიმედ გჩანს ენა ქართველთა, მაშ ბრძანე არაზულითა,

ხელოსანი იმას ჰქვიან, უნახავად შექმნა რამე,
ჩემს უწინა ვის რამ გეთქვა ქართველთ ენით ვიწყე ამე,
ჩემი თქმული სახედ გქონდა, მით რამ იტკბე, მით რამ ამე,
სხვათ მელექსეთ უმჯობესო, თუ არ სწყრები, მე კი დამე.

პირველ ხელ-ყოფა საქმისა თქმულა შემდგომთა უძნელად:
სად არ ნაობდეს მზის შუქი, ყოველი იქნას მუნ ბნელად,
შოთამ დაგასწარ მელექსეთ, თუცა მობძანდით თქვენ ნელად,
მე ვსთქვი სრულად და უკლებლად, თქვენ მოგეც შესაძინელად.

რაც კარგია მის ქვეყანას: ვიცი, მეფევ მიერთმისა,
მაგრამ ამას არ მოგართომ, არც სამართლით წამერთმისა,
არ მანებებ, ჰაი რა ვქნა, აღმოფხვრაა წამწამ-თმისა,
შემარჩინე, თუცა თქვენგან ჯავრი სხვას არ დაეთმისა.

## მეშვიდე პასუხი მეფისა.

ვერ წაგართვამ, გაგიჩნდება, რა ჩემ საქმეს ვიტყვი ყველას,
არა გდიო შესაპყრობად, შავარდენმა ვითა ველას,
დამალულსა არ გძებდენ, შენ სოროში შემძრომელას,
რა სიტყვაა, ან ვინ იტყვის, დაუჩაგრავს ლომი მელას.

ერთს ქვეყანას არ იყო და ვარს დაარქვეს «მთვარისახარ»,
თუ სცოდნოდათ მოახლობა და ენახათ ან «ისახარ»,

ვირსა რაღად დაარქმევდენ, აგრე ბრიყვი რასთვისა ხარ,
სხვა არ იყო, შენ გაქებდენ, რაზე პირს ჯვარს დაისახარ.

ერთსა უმეფოს ქალაქსა რა მოურავი დაჯდესა,
მას აქებდენ და მონებდენ, ყველანი მას კაჯდესა,
დარბოდეს მისგან წარგზავნით, გზირი თავს გაისაჯდესა,
პატრონი მივა, დაჩაგრავს, ტახტიდამ ვირს გადაჯდესა.

## მეშვიდე პასუხი რუსთველისა.

მეფე დიად ამიჩქარდა, თოფი მკარით, აწ გამისრეთ:
შემომკარით ხმალი თქვენი, ფრანგული და ან გამისრეთ,
რისთვის ჩავჭყევ ბაასშია, არ გგონებდი იმას ისრეთ,
რამაც კაცმა შემიბრალოთ, მტერთაგანამც თქვენ მოისრეთ.

გავს შედრასსა არ ჯერდება, ასე რიგად ამიჩემა,
მტერი ამას ვერ მიზამდა, მე რომ საქმე მიყო ჩემმა,
სხვათ მელექსეთ არ შეხედავს, ასე სულ მე დამეჩემა,
ან მე რაღას მოვახსენებ, მიკვირს რასთვინ დამეჩემა.

უთქვამს ვისმე: «ძველს მარას და ძველს მოყვარეს ნუ დაგდებთ».
ძველიდგანვე მელექსეთა მამობილებთ და მე მადებთ,
რაც კარგი თქვათ თქვენის ნებით, ისრევ თქვენვე მე დამადებთ,
უწინ ყველამ მე მირჩიეთ, ახლა როგორ გადამაგდებთ.

სხვა ჩემებრი არ ნახულა, თუცა ბევრჯელ მონახულა,
წყალობითა შენახულა, არ თუ რისხვით დამარხულა,
ხმალი შენ გაქვს სისხლის მღვრელი, მაგრამ ჩემზე იმარხულა,
ბევრს დიდს დარბაზს აჯობინეს, მონახაზეთ მონახულა.

შემძლე ცხენი იმას ჰქვიან, მალ მივიდეს მანძილამდის,
თორე ზანტმაც წყნარა-წყნარა მიაწიოს მას მილამდის,
აქა-იქი შეჰკრებ რასმე ყვავილებსა ენძელამდის,
იოსებას ქებაშია ბაბიასა ხაზთითამდის

## მერვე პასუხი მეფისა.

ღმერთმან იგი შენ დაგმართოს, რასაც ჩემთვის განიგულავ,
შენ გულანჩხლობ, ჯავრიანობ, მე მიძახი განიგულავ,
გულის კარი სათრგულოდ გაგიღია გაგიგულავ,
თუმცა უწინ შენ გაქებდენ, აწა ჩემგან დაკარგულავ.

გაიგონე, შენც გასინჯე, მე ამათგან არ მეცალა,
ბევრგნით საქმე გარდმეკიდა, ერთგნით სიბრძნე ამეცალა,
არას საქმით არ მომშორდა, არც ცოტადრე გამეცალა,
ჩემმან მზემან მთვარეს ლები დაამჩნია, ამეჯალა.

სად მეცალა ლექსისათვის, ჭირსა შინა გული იობს:
სხვას ჩემდენი განსაცდელი ვის გადახდა არ თუ იობს,
ის მოიცლის სამაიროდ, ვინ არ ჭმუნავს, ვინ არ იობს,
ჩემს ჯობნასა ვეჭვ რუსთველი, გულს აჯერებს, განა გიობს!

ვინ მოსთვლის ჩემსა სარჯელსა, ანუ ეგ ზომსა ჭირებსა,
სან ადვილ გამარჯვებასა, ხან ძნელად გასაჭივრებსა,
განსაცდელისა საგრველთა, იგ მაგრა მონაჭირებსა,
ჩემთა საყოლთა დახოცსა, ბროლ-მინა განამჭვირებსა.

მე და შენ ვინ შეგვადარებს, სად ჩემი საქმე, სად შენი,
თუ ჯობნა შენი ვინმე თქვას, სიტყვა არა მოსასმენი,
სიყმაწვილითგან სიკვდილმდე, საქმე მჭირს თავსა საშენი.
ამოსწყდა ჩემი ქვეყანა, ოხერი ვერ ავაშენი.

## მერვე პასუხი რუსთველისა.

მეფევ დასწყნარდი, ნუ სჯავრობ, ყური მომიპყარ, გონნია,
არ ხელმწიფობით მაჯობო, სხვითა ნურათი გგონია,
ნიადაგ ჩემის ლექსისა, ქება თქვენც გაგიგონია,
[illegible] შენ, სამ[illegible] გონია.

ათინას, თქმულა სიბრძნისა, მოპოვნა—მოშოებანი.
ჩემი ნათქვამი წინ-წილად, ტკბილ-გასაგონად ებანი,
მალვა მოგძახის მელექსეთ, ეს კმარა თუცა ებანი,
მაგ საქმით ნუ მედარები, სხვა გიჯობს ღონის მებნანი.

თქვენს წიგნში დაგიწერია: გულისობ ჩემსა ქებასა,
სხვა მელექსენი, მეფეო, თქვენ მეტი ვერ ვინ მებასა,
არ ჩამოგივალ მაშინცა, ყელზე საბელი მებასა,
თუ ვინ თქვას შენი ჯობნება, ნუ დამხსნი ცეცხლთა დებასა.

მო, ასე ვთქვათ თქვენი თქმული, ჩემისთანა ვითამ არის,
შევინახოთ საუნჯეში, მობარებით ვითამ არის,
მგონი წყრომა აღარ გმართებს, მიბრძანებდე ვითამ არის,
უშვერი და შეუფერი, სად რა მითქვამს, ვითამ არის.

## მეცხრე პასუხი მეფისა.

მე მიძრახე ქვეყნის მოკლა, არ გმართებდა გეთქვა შენით,
მართალია ბევრი ვნახე, ოხერი—და მერე შენით,
სოფლის საქმით შექცეულნი, სამთელიო და ზოგი სენით,
ერთის ამბის გადალექსვა რა ძნელია ბევრის ენით,

ქრისტე ბრძანებს, შენც გასმია, დევნულთათვის ნეტარებას,
სხვამცა რამცა დავაშავე, მისთვისა ვიქ მე ტარებას,
თუცა გქონდეს, არას ვირცხვენი ცრემლთა მილის კაჭკაჭებას,
მისთვის მიყვეს, რასთვინ მიგმობ, სიარულსა, კარ-კარ რებას.

რაცა ენა, ყველა გითქვამს, სომხური და მეგრულიცა,
ყოვლი არსი შეგიყრია, დაბალი და მაღალიცა,
რა გინდ ბევრი ცოდნა გქონდეს, ვერ აჭყევი, ვინცა იცა.
არ დასდგები, დაგარისხებ, ვინ ეგვიპტე გაიბიცა.

მეოდენ ქართულს ენასა მარილად ურთე სპარსული,
თათრულიც გამირევია, მიქია მათი არ სული,
აქ სამის მეტი თუ ჰპოო, გინახამსც ყმა გაპარსული,
ბაასის სთქელი წავიდა და დაგისქტყვა მასული.

## ႫႤႺႾႰႤ ႮႠႱႳႾႨ ႰႳႱႧႥႤႪႨႱႠ.

ჯაბანია იგი მოყმე, ვინც ქიშპისგან ადრე იძლევის:
სარბის კაცის წესი არის, თვით არ მასცემს სხვისგან იძლევს,
ნუ გამიწყრეს მეფე ჩემი, ვერ იშოვნი მაგით ნაძლევს,
ჩემს ლექსს თავი გასწყობია, ბოლოს თარგმანს ტანი აძლევს.

დავითის ნათესავიხარ, წართმა გასწავლა სხვისა მან,
ვის ერთი ჰყვანდა წაგვარა, პატრონმა ბევრის სხვისამან,
მაგრამ მან შეანანია, უჩვენა ცა რისხვისა მან,
რას მერჩი, რას გადმეკიდე, სამართალი ქნას ისამან.

ვერცხლი არ არის ტრიფიალი, ვერცხლისა გაძღა არაო,
რას მეცილები შენ ღმერთმა, მეფობა მოგაზარაო,
უსამართლოსა მეცილეს, კარგა ქნა, მან წაგვარაო,
მე დამეხსენ და შეგამკობ ვიტყვი: მელექსეთ კმარაო.

თამარ მეფით აქანამდი, მიმატე და... ძ ვიკარგე,
რა მომსდარა მაგისთანა, ახლა როგორ დავიკარგე,
ტანი ზროდ ვთქვი, ვის ვაქებდი, პირი მათი გავუმანგე,
თუ გამაგდო მელექსეოგან, შენ სამკვიდროდ ლელვი დარგე.

## ႫႤႠႧႤ ႮႠႱႳႾႨ ႫႤႴႨႱႠ.

რას მიძრახავ უსამართლოს, მითხარ: ვის რა გამოვართვი,
ვინც დამმონდა, დამმორჩილდა, მათ ბევრი რამ არ მოვართვი,

ძალად მივსცემ არვის არას, გაიგონე არ ხარ დათვი,
ბირთველმაც თქვა ჩემი მჭირი, ქნა ძირში ამოვართვი.

მე რუსთველი ვეღარ მომყვა, სჯობს სხვა ღონე მოინახოს.
თვითან მარტო ვეღარ ბედავს, სხვა მელექსე მოინახოს,
თუ ტკბილად შემეჩემოს, მობრძანდეს და მოინახოს,
ლექსის ყანა მგონ წაუხდა, აწ მოჰკაფდეს მთაში ახოს.

ნუ მოჰკვდები ამას იქით, გავშველდეთ შუამავლით,
შენ დაშავდე შენის ენით, ვით მიმინო მარხზე მავლით,
გარმეხვეწო ვერსად ვერა, სიარულით, აგრე მავლით,
კიდევ გული მომიბრუნდა, მოდით თავსა შემომავლით.

ამ სიტყვასა ტკბილად გითხრობ, გაგეხარდეს არ გეტყვი ზარს,
თუ შენ მჯობსარ, გრემს მოგცემ და ზედაგიდებ მერმე ბაზარს,
თავსა ჯიღით აგიმაღლებ, წამოგასხამ განა მაზარს,
ბერი ხარ და ლიტრით მოგცემ სიჭაბუკის შენათვაზარს.

## მეათე პასუხი რუსთველისა.

შენ არა გაქვს მე რას მამცემ, მაგ ნაძლევით არ იქნება,
მერმე ორივ ოხერია, ძნელი არის აშენება,
მე ეს მინდა, მიჯობინო და ჩამამყვე დამრთო ნება,
სხვამც რა მინდეს მოსაცემი, ჩემი გული მისთვინ დნება.

აღარ მინდა საშოვარი, გული ასე შემიწუხდა,
ერთხელ მქონდა დარი მზითა, ცა რისხვითა არ მიქუსდა,
მომამშლევე ჩემი ყოფნა, თვალნი მზერად დამიწუსდა,
შენამდისი სხვა მელექსე რუსთველის ბრძოლად ვინ მოუსდა.

აქანამდის არვის უთქვამს; შოთას ლექსსა შევუდარებ,
ეს არა სჯობს ცილებასა, მე ვიტყვი და თქვენ გაბარებ,

თუ რას ვიტყვი საკუთოისოს. მომკლავ. ვაცი, მასუდარებ,
აქ ალარსად დამაყენებ, გარ გამაძებ ცუდად მარებ.

ვიცი აკად ჩამამართმენ, რადგან სწორი სიტყვა გკადრე.
მაგრამ რალას გამოჳჩნდება, თუ მელექსეთ დაუკარდე,
კაც-კაცები კასახელე, ქალებს ლაწვი გავუკარდე,
მაშინ სცნობენ ჩემს ბაქებსა, თუ სხვას ვისმე დაუკარდე.

## მეთერთმეტე პასუხი რუსთველისა.

შენ ასეთი სად რა გითქვამს, მე არ მეთქვას უკეთასად,
ომი მისთვის არ გავლექსე, მე თვით ვქმენ მტერთა კვნესად,
უცხოდ გიჩნდა, შენ მისთვინ სთქვი მოუმკალი დანათესად,
ჩემთვინ კვესად არ ჩაგეგდო, მაჯობებდი მაგით მე სად.

გამისინჯე, სად მმართებდა გუნებასა შემოკრება,
თუცა მინდა გასამებლად, მაგრამ საბრძნე არ მეურება,
მამაგონდეს ჩემი საქმე, ბევრჯელ გულს შემომეურება,
არც სულ ჯავრსა დავმორჩილდი, ლექსადა ვთქვი შვიდივ კრება.

## მეთერთმეტე პასუხი მეჯისა.

კელარ გავსძლებ მუქარასა, არ ვიუურებ; ამბობ ტორას,
მარჯანი ვარ, მომიტიო, დამადევნო ჩიტსა ტორას,
სხვაგნით სითმე გარდგივარდე, კელარ დამგრავ თავსა ტორას,
უმანი უველა გაგეცლებით, გაგიჩნდება იქ მარტო რას.

რაც არ გგონია, იგ იქნას, ძვილ იქნას მოგონებული:
სიანჩსლესა ჯობს სიმშვიდე, უსმენსა გაგონებული,
პატრონის ყმისგან ურჩობას უკეთეს დამონებული,
მაშა სოფელმა დამაგდო მოწყლული საარებული.

## მეთორმეტე პასუხი მეფისა.

ღაზოდა სთქვი, შემოიღე ჯავასური ენა მშიშე,
ქისიყურად პასუხს მოგცემ: ამისკიდე შენ კინძი მე!
მოღან დიად მაწყენინე, მხიარულსა დამიმძიმე,
სიტყვის უქმსა რადგან ცუდი სიტყვა წაგცდა ნეტარძი მე!
უყურე ბრიყვსა მესხსადა, ამაყსა შეუპოვარსა!
რაღას გელ'უბო ჯავახსა, ღარიბსა, შეუპოვარსა,
ტუჩ'ას, მმოჩისა მჭამელსა, მროხსა, ბალახის მძოვარსა,
გაჭკაჭსა მომჩხიკანესა, ჩხიას ხმა ავად მყივარსა.

## მეთორმეტე პასუხი რუსთველისა.

რასთვის ჩამოგყევ ბაასში, რად შეგცდი, რა დამეფეთა,
ხმალიც მოგკრა საკვდავად, შენ ხორცი ჩემი გეფეთა,
სხვა მონა ვინ შეედარა, ჭკვიანი თვისთა მეფეთა,
ყვავმა, ყორანმა დამძასა, ძაღლებო თქვენც დამყეფეთა.
მეფეო გიხამს დიდება, მუდამ ქვეშ ფენა ნახლისა,
შენმა მტერმა და ორგულმა თავი მიწასა ახლისა,
საღვთოს სწავლისა მოსურნე ყველანი შენ გიახლისა,
თვით უწყი: სადა სწერია მკელი უმჯობეს ახლისა.

## მეცამეტე პასუხი მეფისა

მართალია შენი წიგნი, კარგი იყო აქამდისა:
ახლა ჩემმა დააჭკარბა, ამად ცრემლი ჩამოგდისა!
მთვარე ღამეს გაანათლებს, მერე ჰფარავს შუქი მზისა,
თქვენმა წიგნმან დააჩრდილოს წიგნს ვინც სწერე, ცუდად ზისა.

ჭე რუსთველო მოიცადე, დადეგ სიტყვა შეინახე,
საღვთოს სწავლით ვერ ამოხვალ, საეროვე მოინახე,
მაღალს საროს ვერ შესწვდები, გლახ დაბალი მოიმახე.
ქრისტე არის მართ-მსაჯული, მოციქული მოინახე.

## მეცამეტე პასუხი რუსთველისა.

მეფევ არ იყო სათქმელი, წიგნის წახდენა თქვენგანა,
ჯავრითა ბრძანებ მაგ სიტყვას, თორემ არ იცი შენ განა?
ქსე მერჩია მაგ სიტყვას — თავს გადმოგეკრა და, განა!
თქვენგან არ იყო სათქმელი, არ მიკვირს უჭკოთაგანა.

შენ უკეთ იცი მეფეო სტოლემოსისა ნაქნარი:
ვეზირთ უბრძანა მარჩიეთ: საქმე რამ ჩემგან საქნარი,
ყველა წახდეს და იგი არ ვით დავითის ებანსა ქნარი,
ერთი რამ მინდა დავაგდო, სოფლისა არ დასანთქნარი.

ვეზირთ ჭკადრეს: ხელმწიფეო, ერთობ ძნელი საქმე გვკითხე,
ერთის რჩევასა მოგახსენებთ, თქვენცა გული გაიკითხე,
ისრაელთა წიგნებისა, ბერძულ ბრძანე წასაკითხე:
თუ ვინ უკეთ მოგახსენოს, ის ლომ ჭქმენ და ჩვენ კი გვკითხე.

არ დარჩეს დაურღვეველი ნაგები ქვა-ქვაზედაო,
მადლი უბძანა მეფემა: მეც აგრე დამეხედაო,
მე თქვენი კითხვა კარგა ვქენ, არც ცუდად დამეყბედაო,
დასჯერდა ამა რჩევასა, დაასკვნეს ამაზედაო.

მიიხვნეს ყოვლი წიგნები წინასწარ თქმული შესაქმით:
გამოსვლათ მეორეს რჯულთა, მსაჯულთა, ნეშტთა, ეზრაქით,
დიდი საუნჯე დაუდგეს, ბერძენთ რა დარჩათ მას აქით,
წარმავალს ცოდნას რას მისდევთ წარუვალია ესაქით.

დაუყვეს ყოვლი წიგნები მწიგნობრებს საბრძნით ქებულსა,
მისცემდენ თვითოს ყველასა მუნ მდგომთა დარიგებულსა,
გამოაჩენენ განმარტვით, აქამდი ცუდად დებულსა,
წილად ხვდა ქსაისი, სვიმონსა მოხუცებულსა.

იკითხა, ჰპოვა ეს სიტყვა, შეიქნა განცვიფრებული:
«აჰა მიუდგეს ქალწული, შვას ძეო განკვირვებული»,
გაუუჩდა, ჩხრეკა დაუწყო, არ იყოს ასო კლებული,
თორე ვინ ნახა, ვინა თქვა, უნივთო განივთებული!

ამ სიტყვასა ვერ ვირწმუნებ, წავიკითხო ათასჯერა,
ვით ქალწულმა ქალწულებით ძე შობოსო, არა მჯერა,
ეგმანოელ თარგმანებით, ღმერთი არის, ვით მაჯერა,
ხმა მაღალმა ქსიამ რად დაწერა, გამაჯერა.

მას მოუხდა ანგელოზი: რად არა გწამს, რად ჰმიზეზე?
დაწერე და ვირ არ ნახო, შენ არ მოკვდე, იყო ზეზე,
ქვაბსა იშვას ბეთლემისას, სად მიუშვან ხარი ბზეზე,
შემოქმედი ხორცით ნახო, აღარ ქონდეს თვალი მზეზე.

ირწმუნა, გადმოსთარგმნიდა, დაეხსნა ამ დავებასა,
იშვა ძე ღვთისა ცხოველი, სოფელი დასხნა ვებასა.
ხამოთხით გამოძებული, ამად ვიქთ იქავ შვებასა,
უძლურმა მკლავსა მიირქვა, ეკედრა განტევებასა.

თუ წიგნები წახდებოდეს, მაშ პოტლემოს ცუდათ შერება,
ერთობ ასე შემაწუხე, მომინდება სხვაგან რება,
ერთხელ კიდევ გამაგონებ, ხორცსა სული გაეყრება.
ნუღარ ბრძანებ მაგ სიტყვასა, შენი ჭირი შემეყრება.

ამასაც ვიტყვი მეფეო, თუ თქვენი ყური ინებსა,
მონანი შენი ერთგულნი რაკ გამოგართმენ სიგლებსა,
თხელს ქაღალდს დაიწუნებენ, ეტრატზე სწერენ წიგნებსა,
თუ კიდევ ბრძანებ, წახდენას საქმის იქ თასსაქირებსა.

აწ თქვენ ბრძანე რაც გინდოდეს, გარდამიწყდეს ერთხელ რამცა:
მას ვმადლობდე, ვინ ქვეყანა დაამყარა, შექმნა რამცა,
თუ ავად ვთქვი, თამარ მეფემ საჯილდოო რასთვინ მამცა,
ვინ შენს თავსა მაბაასებს, მიღალატა, დანა დამცა.

## მეთოთხმეტე პასუხი მეფისა.

ბოლოს სადვთო შემოიღე, არ გიჯობდა მაგისი თქმა,
პასუხს მოგცემ ბაასისას, განქნევინო ვეშობ აღთქმა,
სადვთოთ მაშინც უეჭველად შემიძლია შენი დათქმა,
შენ ტალანტი დაგიმალავს, აღორძანდეს ჩემი დრაქმა.

მართალია არ წახდება ეგ წიგნები არაოდეს,
წყეულია იგი კაცი, არა წამდეს, მაგას ჰგმობდეს,
ანუ მართლა არ ესმოდეს და მუცლითა მოზღაპრობდეს,
არ ემთხვიოს სასოებით, ავად ხელსა მიაპყრობდეს.

ზოგი ახლა აღასრულეს მაგ წიგნებმა თვისა თქმული:
სხვანი არის აღსასრულად, თუმც ჯერ არის დაკარგული,
რქა დონისაც არ წახდება, არც იოტა აღანთქმული,
მთქმელთ იშოვნეს ცხოვრებისა წარუვალი მათ მამული.

კვალად მოვიდეს იესო, მუნ აღსასრულსა ჟამისა,
ანგელოზთ დასნი მოყვება, გვიჩვენებს დიდებას მისა,
მისთა დამსჯელთა წყეულთა, ნიში უჩვენოს ჯვარისა.
მაშინ ტიროდენ, ურგებად, მუნ დენა იყოს ღვარისა.

სახარებას ხელთ დაიჭერს, ჯვარსა წინა მოიძღვანებს.
საყვირსა ჰკრავს ანგელოზი, შემოქმედი რა უბრძანებს,
ყოვლნი მკვდარნი აღდგებიან, ვინ იგლოვს და ვინ იხარებს,
ცეცხლის ალი საშინელი ცოდვილთ მწარედ ამწუხარებს.

მაშინ დასხდეს მოციქულნი, ათ-ორმეტსა საყდარზედა,
ორ ქქვს ტომთა ისრაელთა, მუნ განკითხვად მართალზედა,
მუნ ცოდვილთა თვალდ უსვავად ქმსილება ზედი-ზედა,
სხვათაც ჰკითხე, ვინც იცოდეს, თუ გავმტყუნდე ამაზედა.

წინასწარმეტყველთ ქქნება, წიგნები მათი ხელთაო,
ეს ამისთვინ ვთქვით, გერწმუნათ, რად არ ირწმუნეთ ხელთაო,
სხვა რამ სიბრძნისა წიგნები, არ გამოჩნდების ხელთაო,
ცოდვილთ რაღა იქვან მის მეტი, ვაი დამწვართ ხელთაო.

ზოგთ გონია ცა ქვეყანა, ორნივ წახდეს განჰქარდესა,
ორივ იქმნას ახალიო, ესაიამ თქვა ესეცა,
დავითც ამას ემოწმება, ერთ სწერენ და მოსეცა,
ცეცხლისაგან გამოხურდეს, შეიცვალოს უმჯობესცა.

შენ მარტო ეს გისწავლია, მე გიამბობ თითო თითოს:
უკეთა ვთქვა ყოველმა კაცმა, შენმა მჭვრეტმა მოითითოს,
ასე ჯობნა დავასრულო, შეგანატრო ცოდნით თვითოს.
გამოგამო სამყოფთაგან, სხვამ აღარვინ შეგითვითოს,

ათ-ათს გეტყვი მოსეს თქმულსა, მცნებასა და წულღულებასა:
მველ წიგნთა და აწ ახალთა, ერთიათა ვიქ გრულებასა,
შვიდსა მადლს სულის წმიდისას გათავებით უკლებასა,
ოთხთა ნივთთა სოფლისასა, იგ არსამდი დგმულებასა.

პირველი წიგნი «შესაქმე» იტყვის არსთ დაბადებასა.
ცისას, მზისას, და მთვარისას, ვარსკლავთა ცეცხლებრ დებასა,
ზე სამყაროსა, წყალ ქვეშე ზღვებს ქვიშით გარმოდებასა,
მიწისგან შექმნას კაცისას, სამოთხეს შიგან დებასა.

მეორე «გამოსვლათასა» მეთაგან ისრაელისათ,
მაშინ ქმნილ საქმეს მოგვითხრობს, მისვლამდე მთისა სინაისასა,

ვითარ წიაღჴსდენ მეწამულს, ფარაოს დასანთქმისათ,
ანუ თუ პირველ რა იქნა, შემდგომით შემდგომისითა.

კვალად მესამე «რიცხვთაა»—მუნ დათვლა ისრაელისა,
მათ ტომთა იტყვის თვის თვისად, ვინ ვისკე მთავრებულისა,
სიმშვიდეს, ხოლო სიცოფეს ან ვინ ვინ ჯაჯგულისა,
სასჯელის თქმაცა მწადიან, არც მეტად არც ნაკლულისა.

მეოთხე არის წოდებით, სახელით «ლევიტელია»:
ლევითგან ნამოვიდოდეს, ყოველნი მაშინ მღვდელია,
ვით უხმდა მათ მსახურება სიწმინდისა მისა მთქმელია,
ზოგნი სავსენი მადლითა, ზოგნი გამრყვნელნი მელია.

მეხუთე არის სხვა კიდევ «წიგნი მეორეს რჯულისა»,
გამოსვლით ვიდრე მთად სინათ მეტყველი მოკლედ თქმულისა,
მაგრამ რჯულს ვრცელად მოგვითხრობს, მთქმელია არ ნაკლულისა,
ამ ხუთთავ წიგნთა უწყოდე მოსესად რწმუნებულისა.

მეექვსედ აწ ეს ჩაგდე, მუნ თქმულა ისო ნავისად:
ისრაელთა ვით არ შეიყვანს მოსით სინათ ქვეყნად აღთქმისად,
მოწაფე არის მოსესი და სწორი მისვე ძალისად,
ვინ მზეს აყენებს გაბაონს, მთვარეს ველს აილონისად.

კიდევ სხვა არის მეშვიდე, «მსაჯულად» სახელდებული:
ვით დაემკვიდრეს ქვეყანად, აღთქმისად გამომებული,
ვინ დაუეყნეს მსაჯული, სჯად მათდა გარიგებული,
ამათ მოგვითხრობს განმარტვით არ არის მიდმოდებული.

ამის შემდგომად მერვე, წიგნი «მოთხრობა რუთისა»,
სილვადაც გმარა, სიბრძნეთაც, მდინარედ იყო რუდისა,
დედა-კაცობად ქუოფა არ არის სხდვად ბრუთისა,
დედაა იობედისა მეფესელმუნისა პაპისა.

რუთად მით ითქმის, მოვიდა ისრაელშიგან მოაბით,
თუ ვით მოვიდა ეს ქალი, ან რა ქნა, თქვა რამ მოამბით,
მე ეს მითქვამს და აწ შენ თქვი, ცხენით მოვა თუ მოაბით,
კიდევ სხვასს გეტყვი წიგნებსა, და თქვენ ამაზე მოაბით.

ორნი არიან «მეფეთა», ათს ჰყოფენ შესრულებულად,
შემდგომად «ნეშტად» წოდებულ ეზრასი უკანასკნელად,
ნეშტში ნარჩომთა აღწერა მიზეზი არ დაკლებულად,
რამეთუ ხუთნი სხვა არის სახელით ეს წოდებულად.

პირველ ღვაწლი იობისა და მეორე დავითისა:
შენც გასწია გოლიათსა, ვით მძლე ექმნა დავითისა,
ან ვით ამკობს გალობასა, ან ახსენა და ვით ისა,
მამად ექმნა შემოქმედსა, იტომა და ითვის-თვისა.

სამია სოლომონისი «ეკლესიასტე», «იგავი»,
«ქება ქებათა» მაღალ არს, ხედვითა არ თუ იგავი,
წვრთილება სიბრძნის ტრფიალთა და სწავლა განარიგავი,
ამოებნ ამოებათო, სოფელში ცუდა მბორგავი.

წინასწარ-მეტყველთ სხვა ხუთი, თვით სახელებსა გიამბობ:
ესაია და დანიელ, მე თუ არ გეტყვი შენ ვერ სცნობ,
მო, ეზეკიელს გიქებდე, იერემიას შეგიმკობ,
ოთხი ეს არის თვის-თვისად, რასაცა ამბობ, არაკობ.

კვლავ ერთ წიგნად ჩაგდებულა, ათ-ერთმეტთა რაც თქმულია:
ოსე, ამოს და აბდია, იოველ მებრ ქებულია,
იონა, ნაუმ, მიქია, ამბაკომ სმა-მაღალია,
მალაქია და ანგია, ზაქარია ვით ვმალეა.

ძველი წიგნი ოც და-ორ არს, ვით ებრაელთ ანბანთასო:
წინასწარ თქვეს სულის წმიდით ხილვის ერთით არა გასო,

მუცლად ღება, შობა ნათლა, ჯვარცმა, ძმრის სმა, ვინ ჯვარს ასო,
სერობასა მოციქულთა, ხორცს აჭმევდა, სისხლი ასო.

მოციქულთ ქს შეიწყნარეს მღვდელთ-მოძღვართა დაამტკიცეს,
სხვა რაც მკვლი წიგნი იყო, ეკკლესიას არა მისცეს,
სიკვდილს რიდეს არ ქრისტესთვინ, და ლაჩვარი ხორცთ გაიცეს,
ქვე მეთრევთა, მიწის ნაშობთ, საუფევარი მა ო გაიცეს,

სხვა არის ახლის რჯულისა, იმასაც გეტყვი მაცალე,
წვრილად მოგითხრობ წიგნებსა, თუ თავი არ გამაცალე.
მე სხვაც რამ ვიცი ბევრი რამ, რაც გქონდა შენ კი დასცალე,
მოდი ეგ შენი ნათქვამი, ჩემს თქმულზე სართით გასცვალე.

ოთხი თავს სახარება სად დასწერეს თუ იკითხავ:
მე არ გითხრობ, შენ არ იცი, ანუ სხვასდა ვისდა ჰკითხავ,
თვით საქმესაც მოციქულთას კათოლიკეთ წაიკითხავ,
ძნელს საქმესა შეეწიდე, უმეცრულად წლილოვით ფსხავ.

პირველ მატათა საღვთომა აღწერა ურიასტანსა:
იტალიასა მარკოზ სწერს, ვიტყვი იმისა მომტანსა,
ლუკა აქიას დაიწყო, საბრძნესა სულ შიგ ატანსა,
იოანე პატომ-ჭალავს, ნეტავი იმის მომტანსა».

ერთათ კიდევე ესე ვსთქვა, საქმე ბრძენთ მოციქულთანი.
და შვიდი კათოლიკენი, არ უზის ზოლს სულთანი,
გაუყოთ პეტრეს, იაკობს, იოანეს, იუდასთანი,
შემდგომ რიტორის პავლესი, ეპისტოლე ათ ოთხმეტთანი.

ერთია იაკობისა, ქრისტეს ძმად წოდებულისა,
ორი პეტრესი თხებისა, მოციქულთ უმწვერვალისა,
სამი ამასი ნათქვამი ვინ არის მე ქუხილისა,
ბოლოდ იუდა მოშურნის ყოველთათვის მიწდომილისა.

ქს არის ახლის აღთქმისა წიგნები დამტკიცებული,
ივანეს გამოცხადებით ერთბამ გაცამეტებული,
თქმულნი და აღმსრულებელნი არ ჭმუნვით მყოფი კებული,
აწყა შენ ბრძანე რუსთველო, რად ჰყოვნი გაოცებული.

## ᲬᲧᲚᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲘᲡᲐᲜᲘ.

მო ეგვიპტელთა რად ვერ სცნეს, შემოქმედის რისხვა დიდი:
წყალი სისხლად გარდაექცათ, დღე შეიქნა მათთვის ბინდი,
მათ გულთ ზრქელთა, უცნობოთა, არ შეუშვეს ამის რიდი,
შენც თუ მათებრ არ გეშინის, მო წაბრძანდი, მათთან მიდი.

ბურნაკთა მიერ მოიცო; აერი, მიწა და ველი:
და მყვარი აღმოეცენათ, ბორორტი მათ მოსასრელი,
ანაზდათ მწერი მაღლისა გამოჩნდა ფრენით ფიცხელი,
ფანქალი კაცთ სხეულზედა სიმძიმე ჰქონდა მებრ ძნელი.

ოთხ ფერხთა ზედან ეწია სულ ერთათ მოსასრელია,
წვიმას და სეტყვას საშუალ ცეცხლი აღეგზო მწველია,
მკლისაგან წარწყმდა მწვანვილი, მოიმკო მან ყოველია,
კვლავცა პირმშოთა სიკვდილი, მეათე სატანჯველია.

წყალი სისხლად გარდაექცათ, ისრაელნი წყლადვე სმიდენ:
ვეღარც ახლოს გაუვლიდენ და ვერცა ვის შიგ ჩასმიდენ:
ღამედ ექმნათ მათ მზის შუქი, ისრაილნი დღედ ხედვიდენ,
შეანანა მოწყალემან, ვეღარ ისე ხელს დასხმიდენ.

## ᲐᲗᲘ ᲛᲪᲜᲔᲑᲐ ᲦᲕᲗᲘᲡᲐ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲝᲡᲔᲡᲓᲐ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ

პირველ ღმერთი სხვა არ იცნა, იმას ჰპატივეც მხოლოდა,
არა აღმართო მგზავსება, ცუდი, უსულო ძლობა,

ამაოდ არჭუო ხსენება, სახელი ღვთისა მჴელოდა,
შაბათთა დაიმარხევდეთ, მღუდელნი გვჳეს სანატრელოდა.

მშობელთ პატივეც, ჰკლტოდი, საქმესა კაცის კვლისასა:
უცხოის საწოლსა კრიდე, გული ნუ გითქვამს სხვისასა,
რაც შენი გქონდეს, დასჯერდი, ნუ ხელ ჰყოფ მოპარვისასა,
ცრუს წამებასა დაესხენ, ნაპერწკალის სიკვდილისასა.

ოდეს დასხმიდა ამ მცნებას, უფალი ქვის ფიცარზედა.
ის არის სხვა არ სცოდნოდათ, ვინ რომ ზის ქერობინზედა.
მიკვირს შემოქმედს რად სცვლიან მოლცროსა ხბოსა თავზედა,
ჩვენ დავიწყეროთ გულებსა თვალნი გვეჭიროს მაზედა.

## შვიდი სულის წმიდის მადლი:

შვიდს მადლსაც აგერ მოგითხრობ, სხვაგან ნუღარ ჰყოფს მებნასა:
მადლი სიბრძნისა იოტებს კაცთა უგუნურებასა,
მადლი გულის ხმის ყოფისა განსდევს უგულისხმებასა,
მადლი ზრახვისა დაჰფარავს გულის განკითხველობისა.

ძლიერებისა მხნე დაჰყოფს, და ძალს მისცემს უძლურებასა.
მეცნიერთა მადლი ვის აქვს, უჩინო ჰკოცვს უმეცრებას,
მადლი ღვის მსახურებისა განვაქარვებს საცდურებას,
შიში ღვთისა ცოდვას დახსნის, მართლის გზისკენ აქნევს რებას.

რუსთველო სიტყვით დაგაბი, და შემიპყრისარ გაწყრამდი.
შემედარე და ვერა ჰქენ შენ შემოწდომა ბეჭამდი,
ლომი მკვდარ ნადირს არა სჭამს, დიდითგან მცირე გოჭამდი,
აწ მკვდარს რა გიყო, თორემდა ნუ ცოცხალ იყო, შეგჭამდი,

ათინას გაზდა იჩემე, თქვი რამე ათინურია,
ან სიბრძნე მათი რა არის, საჩინოჲ უჩინურია,

ეს შენ მითხარ და მე გეტყვი, ბერძენთა ელინურია,
რას ენით ლაპარაკობდენ, სხვა აქვთ, თუ ლათინურია.

ელენთა სიბრძნე ბევრი აქვთ, ზღაპრული შეტმასნილია,
ბერძენთ აქვთ თორმეტი სიბრძნე, მუნერთათ შენათისხულია,
არ მათებრ საგონებელი საღვთო აქვთ გასიბრძნობილია,
ეს უნდა კაცმა მოიმკოს, იმათგან დათესულია.

ათინელთ სიბრძნის წიგნება ესე და სიცბილიასი:
ბირგილონი, ლალინოს, უმისოს, სიბილიასი,
არისტოტელისა, პლატონის, ასკლეპიოს, მკვდართ მისნობასი
იანესთ და იამბრეს, ევსებას გლას სავსებასი.

რაც რამ კაცს დაემართება, ავი თუ, უკეთესი რამ,
ვარსკვლავს და ეტლს აწყმებენ, ვინ თქო ესე, თუ არ ვირამ.
სულისა კარგი ვერვინ უყოს თუ არ ღვთისა შენამზირამ,
რადგან სული ასე იცნობენ, მაშ გაუშონ ვითა სირამ.

ცუდი არს მათი სიცრუვე, უკვლი არს ღვთის ბრძანებითა,
მრავალი სული იშვების ერთ ჟამ და ერთ წამებითა,
ზოგ-ზოგნი დიდათ იშვებენ, ზოგნია გამწარებითა,
ერთი დაჯდება ხელმწიფედ, სხვა ბევრი არს მონებითა.

ესრეთ მრწამს: უფალი აგებს საქმეთ ებრ კაცად კაცადისა,
თუ მორჩილნი ვართ, ნუ ვიტყვით საქმესა ავდასაცავსა,
ვინ ჯვარს დავებათ ვიქმოდეთ მისვე წყალობის მოცდასა,
მხნედ მოვითმენდეთ უდრტვინველათ განსაცდელთავან განცდასა.

იტყვიან ვისმე სახელით პასიფეს ასულსა მინოსსა,
ეს ქალი იქმნა სიცოფით მორჩის ტრფიალი კუროსა,
განმოუცხადა ბრძენს ვისმე ხელოსანს დედლო სუროსა
მან ასეთი რამ შემზადა, ვით კურომ ფური ჭედლოსა.

შეშისაგან ფური შეკრა გარედამე არ მოუკროს,
დახატო მროხის სახედ, განა გარ შემოუსტაკროს,
შიგ შევიდა პასიბიო, კურომ გაკადა შესჩაროს,
მათგან იქმნა, იტყვიან, სახელით მინაუტავროს

ორფევსი ჭკრავსო უბანსა, სიტკბოთ ჭყო ქვა შენაძრავი,
რით ირწმუნება ეს სიტყვა, ნივთი აქვს ქვასა უძრავი,
ყველა ზღაპრული ცოდნა აქვსო, მართალთან არ შესართავი,
მუდამად ხელთა უჭ..რავსთ ტყუილის მათ მოსართავი.

## მეთოთხმეტე პასუხი რუსთველისა:

სხვისგან ჩემს ქებას წყენულობ მე ვითღა გაგაგულისო:
თქვენს უკეთ ლექსი ვის უთქვამს მიჯნურთან მარგე სულისო,
შვიდის სარწმუნოს კრებისა ნიშები სასწაულისო,
მაგრამ ნაყოფი მოგისთლავს მის ჩემგან დანერგულისო.

თუცა სჩხრეკენ ჩემს ლექსებსა, ვერ ჰპოებენ ვერსად ნაყ..შს,
სადმე პოონ ავათ თქმულნი, ანუ წყალი ვინ დანაყის,
ბრძენი მიქებს ენის სიტკბოს ხორხისა და მერმე ამყის
აელვარებს მიჯნურთ ქებას, ვით მელანსა შერთვა სამყის.

მოაბასითა მოაბასითა, მოესო მითხარ, ვით მოეკიდე
მოაბასითა, მოაბასითა, მოესო ტვირთად ვით მოეკიდე,
მოაბასითა, მოაბასითა, მოესო ცეცხლო და მოეკიდე,
მოაბსითა, მოაბასითა მოესო, იფერდე ან მოეკიდე.

ჩემს მოსწრებაში არ ოდეს კვლავ მე ეს არ დამემართა:
სპარსთ შეტმასნილი ამბვი, მე ლექსად არ დამემართა,
ასე ვით გამომიმეტე, ჯობნას მიპირებ მემართა,
ნულარ მიბძანებ ჯობნასა, შუა მავალად მყავს მე მართა,

ორსავ, მეფევ, ნუ წამართომ, შეჭირვებულს ლხინი მომე:
შენ გაქებდე, შენ განატრიდე, ხოტბა გკადრო, შეგამკო მე,
მეომართა შეთხზვნა ლექსის, ჩემთვის დასვი, მაგრა ბომე,
საღვთო შენთვის დაიჭირე და საერო მე მიბოძე.

## მეთხუთმეტე პასუხი მეფისა.

ჩემი საქმე ყველა კა ვთქო, კვეხნაშიგან ჩამეგდება:
მაგრამ შენი დადუმება სხვის საქმითა არ იქნება,
რა გასინჯო, შენც ჩამომყვე, პასუხის თქმა არ ეგება, .
თვარ ხმალს, ხეტარ მოტეხილსა სხვამცა პირი ნუ ეგება.
ბრძენთა ჯობნა ვათქმევინო, ამის მეტი რაღა გიყო:
გაწყენინო ასე ვითმე, გულს ლახვარი ვითამ გიყო,
მე ვარდსა ვკრეფ გაუფრჩვნელსა, შენ ზამბახი გაგიდიყო,
სულ მობრძავსა დაგაგვანო, რა გინდ რომე კარგად იყო.

## მეთხუთმეტე პასუხი რუსთველისა.

ხლაიავ ლექსსა ასულს რათმე, მე რომ ვსედავ კიდეც დამას:
არ უშურვებ ასულს დასდებ, მისგანც ელი ნაცვალს დამას,
აჭა უშვრეტ ასულს ნორჩად, შენ საყვარლად აჭ და მას,
ესრეთ გიღირს ასულს არჩევ და დაცლი მისცემ და მას.
ჩემს ზამბახსა რა დასჭკნობს, არ გაუწყვეტ ცრემლთა ნამსა:
მიჯნური ვარ, ვის მნათობნი, ვერ უჩრ ექმნეს ვერცა წამსა,
დაუჭრია გული ლახვარს, შავთა რაზმთა წარბ წამწამსა,
ვით შემიქნა მე ზამბახი, დიყად, ვინ რომ სულს მიდგამსა.
თქვი რაც გინდა საბრძანებლად, გარდამიწყდეს ერთხელვე რითმე:
ისიც აგად ჩამამართველს, თუ აქამდი არ დაგითმე,

ასე მმართებს ფეხთა გბანდე, გარმორტყმული არ დაგითმე,
ერთისხელ ფეხად სთქვი ჩემი ცოდნა, ასეა ბრძანე გინდა რითმე.

## კარი მეორე.

### ამბავი მეფის თეიმურაზისა, რომელი სიყმაწვილით სიკვდილამდის გარდაჰხდეს.

ისმინე ჩემი ამბავი, ყმაწვილობიდგან გაცებად:
მართალი, არ თუ ტყუილი, ამ მიზეზისა მოდებად,
საბერით სიკვდილამდისან, სამუდამოთ ცეცხლთა მოდებად,
რაც მახსოვს უკეთას გიამბობ, არ მინდა სხვაგან გაძებად.
პაპა ჩემი ყვდა სქემწიფედ, კასეთის ღვთისაგან წყალობით·
მშვიდი, მოწყალე, მდაბალი, რჯულისხედან ერთობ მკრძალობით,
ქვრივთა, ობოლთა შემბრალე, არ იყო მათზე მალობით
კვლავ მშვილდოსანი ყისხო, ცხენ მალე მშვილდ ფიცხლობით
პაპის ჩემისა ქებასა ვერ ვიტყვი მე ერთ სელადა:
ღვთის მოშიში და მლოცავი, იგ არ თუ იყო სელადა,
მტერთა მძლეველი ძლიერი, ლომი მიაჩნდა მელადა,
მუდამ მას ყინად ნადირთ სვრა, აქლო ერთობ სელადა,
ოთხი შვილი ჰყვა იმათი, აწ მოგახსენო სახელი:
დავით, ერეკლე, გიორგი, იესეს სიკეთით ერთ სელი,
მეოთხე კონსტანტინეა სხვეფ კარგი, ჭკუა-ნათსელი
გულ-ყვავრიანი ამაყი, მეუპოვარი, ვით სელი.
მამა ჩემს საპატრონოდ ჭკუას უქებდეს, მერმე ბაქეს:
ერეკლეს სიუხვესა, უწონებდეს დიად აქეს.
გიორგისას მას უბნობდეს, იქ ტარიელ იყო აქეს,
როცა არის, მასცა გეტყვი, კონსტანტინეს ბოლოს საქმეს.

ასე მმართებს ფეხთა გზანდე, გარმორტყმული არ დაგითმე,
ეროსხელ ფხად სთქვი ჩემი ცოდნა, ასეა ბრძანე განდა რითმე.

## კარი მეორე.

### ამბავი მეფის თეიმურაზისა, რომელი სიყმაწვილით სიკვ-დილამდის გარდაჰხდეს.

ასმინე ჩემი ამბავი, ყმაწვილობიდგან გაცებად:
მართალი, არ თუ ტყუილი, ამ მიზეზისა მოდებად,
სიზერით სიკვდილამდისან, სამუდამოთ ცეცხლთა მოდებად,
რაც მახსოვს უკელას გიამბობ, არ მინდა სხვაგან გამებად.

პაპა ჩემი კვლა სქემწიველ, კახეთის ღვთისაგან წყალობით·
მშვიდი, მოწყალე, მდაბალი, რჯულისედან ერთობ მკრძალობით,
ქვრივთა, ობოლთა შემბრალე, არ იყო მათზე ძალობით
კვლავ მშვილდოსანი უსახო, ცხენ მალე მშვილდ ფიცხელობით

პაპის ჩემისა ქებასა ვერ ვიტყვი მე ერთ ხელადა:
ღვთის მოშიში და მლოცავი, იგ არ თუ იყო ხელადა,
მტერთა მძლეველი ძლიერი, ლომი მიაჩნდა მელადა,
მუდამ მას ყინად ნადირთ სკრა, აქდო ერთობ ხელადა,

ოთხი შვილი ჰყვა იმათი, აწ მოგახსენო სახელი:
დავით, ერეკლე, გიორგი, იესეს სიკეთით ერთ სხელი,
მეოთხე კონსტანტინეა სხვაზე კარგი, ჭკ-უა-ნათხელი
გულ-კაკრიანი ამაყი, შეუპოვარი, კით სელი.

მამა ჩემს საპატრონოდ ჭკუას უქებდეს, მერმე ბაქეს:
ერეკლესა სიყვარულსა, უწონებდეს დიდ აქეს.
გიორგისას მას უზნობდეს, იქ ტარიელ იყო აქეს,
როცა არის, მასაც გეტყვი, კონსტანტინეს ბოლოს საქმეს.

რუსთველი და აბელ ძმანი ორნივ თავსა დაანჩხეს:
ვის უქნია ამისთანა, ცა რისხვათა მოაქუსეს,
მას ანგელოზის ხემწიფესა ისე ხელი ვით შეახეს,
მაგრამ იგი ეშმაკისას გაათავებს დანამკვასეს.

რა ესე ქნა, ადვილად სჩნდა, მას ურწმუნოს ყოვლი ავი:
მოანდომა დედა ჩემი, უცხო რამე შესართავი,
მოციქულნი გაუგზავნა შეაძლია თურე თავი,
შეუთვალა არ შემართავ მალად გშოებ მიიქვამს დავი,

რა მივიდენ მოციქულნი მოასხენეს შიშით ძრწოლით,
უმარჩილე სარ, თუ დაგუსოცო, რასთვის იქ არ დავიქოლით,
მაგრამ რა ვქნათ, მან ურწმუნომ გამოგვგზავნა დიდის ძალით,
ქრისტიანეთ არ საქნელი, ნასწავლი აქვს იმას მოლით.

გაიგონა დედა ჩემმა, ბრძანა: ესე ვით და ვითმე:
ვინმცა მკადრა უკადრისი, დავივიწყო ან და ვით მე!
ვინ ჩ ქალა შემირცხვინოს და სუზბული რომ დავითმე,
ღმერთმან მისის რისხვით მკითხოს, შემოუშო იჭვი რითმე.

შეუთვალა: ღვთის მგმობარო, მამის მკვლელო და ძმისაო:
ავის მქნელო, ავის მთქმელო, შენ უღირსო სულთ დგმისაო,
ყოვლის კაცის საძაგელო, სულ მოქმედო ავისაო,
ღვთით ადრე ვეჭვ შეგანანო, ჩემი თხოვნა დავისაო.

მოციქულთა მიუტანეს, მას ეს საქმე დააჯერეს,
კიდევ ცდასა აპირებდა, მაგრამ სიტყვით შეაჯერეს,
მწვე გაჯავრდა თათრებიან, ჯავრით გული გაიჯერეს,
სხვას ამბავსა ჩამოვესხნათ, გავათავოთ მოდი ჯერ ეს.

ამ საქმების წინას სნითვე დედამ ყეენს შეეხვეწა:
აქ გაიგო ს შეუშალდა, ამად მისკენ გარდაიხვეწა,

მან შემიტკბო ვითა შვილი, არ თუ შიშით მე დამხვეწა,
გამიხარდა მასთან მისვლა, ლაწვი ცრემლმა არ დახვეწა.

მე შერმაზან თან გამომყვა, ზნეობისა სასწავლებლად:
მწვრთნიდის სალვთო საგაცობოს თავი ჰქონდა თავს-სავლებლად,
ჯორისა შიგან გამამაგრის, გული შექნის ვით სალებლად,
მამისა დამმსახურებლის, ლაწვსა მწვავდა არ სალებლად.

კოსტანტინეს თან ხლებოდა მირვანელი და ყაჯარი:
ბაზარს იდგა, წამოვიდა, ეშმაკისგან დასაჯარი,
აქათ ამას შეეყარა თჳისნი ყმანი კახთა ჯარი,
შებმულიყვნენ მოცა ეგლათ, თუმც ეხმარა ხმალ-ხანჯარი.

ჩვენცა გვესმა ეს ამბავი, რაც ქნილიყო და რაც არა:
ყეენს ვეხმე, მიმიყვანეს, მიმატანეს დანაც არა,
შერმაზან თქო: სახლთ-ხუცესმა, გითქვამს ცოდნა, არამც არა,
ამ ეშმაკის დაგრეხილი საბელიო დაგეცარა.

შემომძახა მირზავ იცი, კახეთს ქნილა დიდი ძალა:
შემბულან და კოსტანტინე დედაშენს მოუკლავს მალა,
მეც მიამა კარგა ქნილა, მოინდომა რასთვინ რძალა,
ავის მქნელსა ასე უნდა: რა იქნება ჩემი ნალა.

მიბრძანა თუ აქამდიცა მე მინდოდა შენთვინ კარგი,
მოდი, მადლი გარდიხადე, ეს წყალობა მტკიცედ დარგი,
რადგან შენი სამკვიდროა, ან მე რასთვინ დაგიკარგი,
ჩქარად წადი, მალ მიბრძანდი, თუ უნდა კი დაგრჩეს ბარგი.

## კარი მეოთხე.

### ყეენიდამ პირველი ბატონის თეიმურაზის საბატონოდ კახეთში წამოსვლა.

გამამისტუმრა, წამოველ მიბოძა ბედაურები:
ცხენები ოქროთ ნაკაზმი, არ იყვნენ უსუსურები,

შესამოსელი სალუქი მნახავთგან მოსასურები,
სუფრისა გაწყობილობა მურასა, თასებ-სურები.

წამოვედით მადრიელნი პირველ ღვთისა მერმე მისგან:
სიარულსა არ ვითმენდით, რა განათლდის დამე მზისგან,
შევამოკლეთ გრძლად სავალი, ისრე ფიცხად ჩვენის სვლისგან,
უეჭველად პატრონობა დავიჭირე მე ღვთისაგან.

ქიზიყს მივედ ერთს სოფელსა უმეცარად შეუტყობრად:
ერთი კაცი მოგვეგება მათ ვეგონეთ ჩვენ მეგობრად,
რა გამიცნა, თაყვანისმცა, ენა იწყო შესამკობრად,
მადლი ჰკადრა შემოქმედსა: ნეტარი ჩემს ამ დროთ მოყრათ.

დაიძახა: მე საბრალო არას ღირსვარ პატრონისას:
მოვახსენო მობრძანება ჩემსა ვითა სართულისას,
ჩამოხდებით, არას დავჰკლავ; თავსა ვფიცავ შენის მზისას,
მეფევა უწყი, ისერებდა ქრისტე სიმონ კეთროვნისას.

მან შერმაზანს სახლთ-ხუცესსა, უთხრა: შენ ხარ ჩემი ღონე
მოახსენე ერთი სიტყვა, ნულარ უფრო დამალონე,
თავი, სახლი, საქონელი ყველა მე შენ მოგაძლონე,
ერთი ღვინო დამილიეთ, ხვალ წინ მევე წამიძღონე.

ვთქვი; თუ რაღა გაეწყობა ასე გულით მოპატიჟეს!
მოვეწიოთ მხიარულსა, ნურას ვუზამთ საპატიჟეს,
გარდავხე და კარს შევედით, ღობეს ვერ ვინ გარდაბიჯეს,
დავჯე გარე შემომისხდეს: ჯგვანდი მთვარე ბაკით იჯდეს.

ღმერთის თურე წყალობა ქნა: აღარ იღებდა ვახშმითა,
ბევრი რამ ჰქონდა მზაი მისად, არ გვაკვეთებდა საშმითა,
უცხოთ დაგვიხვდა მეზეგრე მცირეს თავისა ვახშმითა,
მან ადრე აღარ გაგვიშვა, ღვინითა ერთ სახაშმითა.

მოიყვანა ცხრა ყმაწვილი აკვნებითა შიგ ჩაკრული!
ვიცი არას გამამართომ, ძღვენი გიძღვნა თუცა სრული,
სულამც შენა განაცვლება დედ-მამიან შენთვის სრული,
შენის ჭირის ჩვენ სანაცვლოდ სული გვქონდეს ამოსული.

დილა გათენდა, ხმა გაჴდა, ყველგან მოსვლისა ჩემისა:
მუნ სიხარული შეიქნა გულით არ შესაჩემისა,
სხვანი ნახულნი ჩემთანა უკვირდის, არ ეჩემისა,
იტყოდენ: ამას შეშვენის მპყრობლობა თემთა თემისა.

პირველ კაცი გამოვგზავნე დედა-ჩემთან მახარობლად:
ღმერთსა დიდი მადლი მიეც, აღარა გუო საწყალობლად,
შეგვიბრალა, ვით გვხედვიდა, შენ ქვრივად და მე გლახ ობლად,
ჩემი აქათ გამოგზავნა არ შეგექნა საბრალობლად.

მახარობელი მოსლოდა, ბევრი რამ მას ებოძადა:
მამული, ანუ სასახლე ქვითკირით არ ებოძადა!
კვლავ ტურფა შესამოსელი, ცუდ-მუდი არ ემონძადა,
მას სიუხვითა სხვა ქალი, ვერსად ვერ შეებაძადა!

თუმც კაცნობე ჩემი მოსვლა, ასე ადრე არ ეგონათ,
წუნარად მოვა შექცევითო, სხვის ვისგანმე გაეგონათ,
სულა კახნი გრემს მიეხმო დიდებულად ჭყვა ვინ მონათ,
თვარ აქ უნდა დამხდომოდა გამჩვენებით მოსაწონათ.

დედა ჩემსა მოახსენეს ჩემი მოსვლა ასე სწრაფად:
მას ენაღვლა: ვერ დავხვდით, ვით მინდოდა კარგა დაფად,
კახნი ამად მოვაწვიე, მიმეგება, განმეყვა სეფად,
მოურავი მომაგება სხვად დიდადა თუმც არ მეფად.

# კარი მეხუთე.

## კახთ-მეფის წინ მოგებებისა.

მასვე წამს თვით მოურავი, თამაზ სულ მისის დროშითა:
სხვა მოხელენი შინაყმით მოვიდენ კრძალვით შიშითა,
თქვეს ვსწუხთო აქ არ დამხდომნი სხვაფერ არა ვართ იმითა,
მე უალერსო მათ შიგან კაცი დავაგდე იშვითა.

მოვიდენ და ჴელს მაკოცეს, ზოგნი თავსა მევლებოდეს,
შენი მტერი ამას იქით, შენის ხმლითა მძლევლებლობდეს,
თავს ათასჯერ განაცვლითო, დაჩაგრულსა ვინც გგონებდეს,
შენ გასინჯე ამას იქით, თუ გრემს არ მიმესვლებოდეს.

ხუთ დღეს იქივ მოვისვენე, შორის გზიდამ დაღალულმა:
თავი კარგა მომაწონეს ჩემს წინაშე მათ მოსულმა,
მაშვრალობა განგვაშორა ზედაზედრე თვალთა რულმა,
დიაღ კარგი ყმანი დამხვდეს მეტის-მეტად ჩემა სულმა.

გაღმა გავედი ენისელთ, იქ დამიხვდა მოურავი:
სულა თავის დროშის კაცით, სიმრავლითა უამრავი,
კაცი თვალს ვერ გარდაწვდენდა, იდგეს ტბა საცურავი,
რა მოვიდენ, ტკბილად დავსხდი და არ ვუთხარ სამდურავი.

ასე ვთქვი, თუ ერთს ბატონსა, ამის უფრო რაღა უნდა:
თავადნი და დიდებულნი მოვიდიან გუნდა-გუნდა,
ანგარიში ძნელი იყო დამთვლელს გული დაუჭმუნდა,
ისინიცა თან ვიახლე, ვინ გვერდს მახლდა, არ დაბრუნდა.

დილას ავდექით წასასვლად, ცოტადრე წავიარენით:
ალავერდელი მობძანდა, დიდებით ითქმის არ ენით,

მშვიდად ამბორი ვუყავით, შეყრა არ გავიმწარენით,
მერმე სხვათ უთხრა: მობრძანდით, აწე თქვენ შეეყარენით.

მომიკითხა: აჰა, ბრძენო, თქვენ ამბავი თქვენი გვითხარ,
ღვთის-შიშსა და სიყვარულსა უჩქველად ვიცი მზახარ,
შორის გზისგან დაღალულსა, შამოგხვდა,, ლომი ვით ხარ,
ის აკურთხა, შენ რომელი მოხველ და კვალად მოსვლად ხარ.

ჯაურითგან წასულნი იმ ღამეს არბუხს დავდექით,
წმიდის თევდორეს საყდარსა ვილოცეთ, ცისკრად ავდექით,
ღმერთსა ვმადლობდით წყალობას ხვეწნითა ცუდად არ ვდექით,
ავიყარენით, მივხართობთ, იქიდამ წინარ წავდექით.

მუნით წავედით გორემისკენ აწლა რუსთველი მოვიდა,
სულ ნაპირისა ლაშქრითა, წითელი ეცვათ მოვიდა,
მათს ანგარიშსა დამთვლელი, ანგარიშს ვერ აუვიდა,
თუ მტერს ესენი მიადგენ, ვთქვი ამათ სად წაუვიდა.

მოვიდენ და მესალამნეს თაყვანს მცემდენ დას-დასებით,
დიალ ბევრნი შეყრილიყვნენ სიმრავლითა ათასებით,
მხიარული სიტყვა ვუთხარ, შევიქმოდი ლხინთა ვსებით,
სიხარულით ენთებოდეს სიმწუხარე დანავსებით.

რუსთველმა სთქვა ვით ბრძანდები, ღვთის წყალობით შენ მოსრუ-
სახლოთა შენთა სამაგრეო, სამარკვლო, არ დაძრულო, [ლო,
ვარდო ახლა გაფურჩქვნილო; თრთვილისაგან არ დაზრულო,
თვალად მზეო, ძალად ლომო, ნორჩო ედემს ამოსულო.

დედის ნახვა მწველ მინდოდა, თუმც გავფრინდე ვით გავაზი:
მომახსენეს: რად დავაგდოთ ჩვენ ულხინოთ აქ გავაზი,
დავუჯერე გარდავხედით, მოუწონეთ, ვუქეთ ვაზი;
მათ ბევრი სცეს, მე წვრილად ვსვი, ვაშლი ზედა გვიამოსა.

მეორეს დღეს გრემს მივედით, ერი დამხვდა ქალაქისა:
ჩვენი ყოფა ერთ-გულთ ლხინი ორგულმანცა მალ აქისა,
ფიანდაზსა მიფენდიან, ხორა იდგა ნაქსოვისა,
თქვეს: მზე არის ქვეყნიერი ნეტა გავსო ესე ვისა.

სრას მივიახლე გარდავხე დედოფალი დგა ქალებით:
მუნ ბანოვანთა სიტურფე, ჯარად დგეს ბროლ ფიქალებით,
ლაწვი ბრწყინვალე ვარდები არ ჰქონდათ ცემა ჩალებით,
ტან ალვა, ნაზნი; ზარითვნი, მდედრნი არ გულად სალებით.

დედა წინ წამომეგებება ცრემლის ღიმილსა ატანებდა:
მოშესვია გარდამკოცნა პირ-ყელ მკერდსა ატანებდა,
მერმე მითხრა: წავიდეთო ხელს-ხელ წამოატანებდა,
შენ შეკედით ქალებიან, სხვას ჯარის არ შემატანებდა.

მიბრძანა, თუ: «შვილო მადლი, ვის შენ მაგ დროს მოუყრიხარ:
ღვთით მგონია არა გჭირს რა, მე რომ გატყობ აგრე ვით ხარ,
შენიმც ჭირი შემეყრება, შემოგხედავ დიდად ვიხარ,
სხვა სარჩელი არ გაჩნია, ცოტად პირზე შეუხრიხარ».

გრძლად არ ვიტყვი მაშინდელსა შვებასა და გახარებასა,
დიდთაგან, თუ მცირეთაგან შეჭირვების ცეცხლთა ვსებას,
დედისაგან ხელის წყობას, ნებიერად მოსვენებას,
მალ აღარვინ მოელოდა სოფლისაგან შეჩვენებასა.

ორს კვირასა დედოფალი ყოველს დღესა მასპინძლობდა,
მაშინ ჭირს და მწუხარებას ათას წილად ლხინი სჯობდა,
მას ჩემ მეტი არვინ შერჩა მე, ასული, არცვინ რძლობდა,
მაგრამ ბედს არ ემდუროდა, რა მე მიველ, ღმერთის მადლობდა.

# კარი მეექვსე.

## ბატონის თეიმურაზის მეფეთ კურთხევა.

ამავ ხანში მცხეთას მიველ, და მეფედა დავმკურთხე,
გამოველ და პალატს დავჯე, ვინ მადიდსა, ის ვაკურთხე,
მამა პაპათ დანარჩომი დავიჭირე ოთხივ კუთხე,
უსამართლოდ არ ვის უყავ, ქვრივნი ობლით განვიკითხე.

წამოდგენ, მომილოცვიდენ, თავი მანაცვლეს სულები,
მოყარეს ოქროს ნალბაქნი და ზოგნი მოყვითლულები,
სხვა სურა, თასი, ჯამები, ყოვლ ფერი ვერცხლეულები,
ათი გოდორი აილეს იმ დღისა იქ დადგმულები.

ამათ გარ გამოზიდევდენ, ივსებდის ფლურით ხელებსა,
მესამედის კათალიკოზსა მისცემდენ არ მოხელებსა,
ორის წილს სუფრაჯის და ერთ პირად სულ ერთად ჩემს მოხელებსა,
იქ ცუდ მუდს ვერას ჰპოებდი, იარაღს განათხელებისა.

წამოველ გვირგვინოსანი, პორფირ ცმულ, ხელ-სკიპტრიანი:
გამდიდრებული, სვიანი, მაშინ არ ვიყავ მტრიანი,
შეუპოვარი ღვთის გარდა, არვისგან მქონდა ზიანი,
მოველ და დავჯექ ტახტზედა, ნათელ მოსილი მზიანი.

ცამეტის წლისა შევიქენ, რა ქსეები იყოდა,
ვნადირობდი და ვბურთობდი, სხვა საქმე რა შევიტყოდა,
საპატრონოსა საქმესა, სულ დედოფალი იტყოდა,
სრულიად გააგის სამეფო, და ურჩი მალ და იტყოდა.

# კარი მეშვიდე.

## მეფის თეიმურაზის ქორწილი.

ამხანშიგა მოვიწიფე, სხვას ქებასა ვიტყვი არა,
მაგრა სხვანი მას უბნობდეს: მზემ ღრუბელი მოადარა,
მისმან მზემა ხმელეთზედა, ვერვინ ჰპოოს ამის დარა,
თუ ეს არის ამისთანა იქმნებაო ამის დარა.

დედა-ჩემი თვისად სარძლოდ დაემძახლა გურიელსა,
მალ მომგვარეს შესართავად, არ უხანეს მას ჩათელსა,
შემომყარეს ჟამიერად, მხიარულსა ლხინთა მზმელსა,
ეს სოფელი ვედარ შეიქს სხვას მისებრი სულიერსა.

ენა ვით იტყვის მაშინდელს, ჩემსა ლხინსა და შვებასა,
ორმოცს დღეს ქორწილობასა, სიხარულს, არ თუ ვებასა,
სულ გათავებით არ ითქმის, ზოგთა ვიქ გარდაშვებასა,
მაგრა სოფელი მაპირებს, ჩემს სისხლთ-მსმელთ ზედ მოშვებასა.

თოლას ვიდექით, როდის ვჰქენ ქორწილო-გამოჩვენებია:
ცხადად არ დაიჯერება, თუ იყო ძილ-მოჩვენება,
მუნ ორმოც დღემდი ზედა-ზედ სმა, ლხინი, არ მოსვენება,
ბურთობა, ყაბახის სროლა, ვის რა ასპარეზს ერება.

დილას შევსხდით, ვინადირით, შუა დღისას შემოვიქცით;
აწ ბურთობას ხელი მივჰყვით, მუნ საძილოდ არ გავიქცით,
მერმე დავსხდით, ერთა ჭამად ლხინი-ლხინზე ზედ დავიცით,
ვზემდით, ვმღერდით, ღვინოს ვსმიდით, ვირემდისი გარდავიქცით.

ძლივ ითქმის მაშინდელთ კაცთა, საკვირე, საბეკრესია,
სიმდიდრე, დიდებულობა სიმძიმით ვითა ბრპესია,

ქება არ ითქმის მსუბუქად, არც ადვილ მოსასმენია,
ვაი აწ მათსა მგონესა, რა ბევრჯელ ცრემლი მდენია!

სამრავლით იყვნენ მრავალნი, თავადი დიდებულნია,
აზნაურნი მათთა მზგავსად მაზედან მოკიდულნია,
შინაყმანი და მონანი, ბევრ-ბევრად დას-დასულნია,
სხვათ ვინ ხუა სათქმელად, გარეშეთ ვინ მოსულნია.

ბანოვანთა სიტურფესა ვით შეუძლოს ენამ ქებად,
ღვთის მოშიშნი, რჯულზედ მტკიცნი, იესოსა ქრისტეს ნებად,
იქ მოდიან ერთათ შეყრას, დუხჭირი გარე გამოძებად,
ჩარიგდიან მის მის ალაგს, მთვარე ქმნიან განქიქებად.

ზევით ვთქვი რიცხვი დღეთა, გირემ იყო ქორწილობა,
აწ გათავდა მისი საქმე, გაიყარა შეყრილობა,
მაყრებიცა გავისტუმრე, ბევრი მიხვდა ლართ წილობა,
დატკირთულნი საბოძვრითა არ შეექმნათ მათ წბილობა.

ვინ მომგორა დედა-ჩემმა, ის რებეკა, თვითან სარა,
ტბა მელნისა უცხოდ რამე გარ გიშრითა მოქსარა,
ბალსა შიგან ვუმაწვილობდით, სადა გვედგა ტურფა სარა,
ვაი გაარმდა ეს სოფელი, ჩემთვინ შემრჩა დიდხანს არა.

სხვა ქება ვით ვთქვა, თუ არის აუგი ჩემგან სათქმელად,
არა ვთქვა მთვარე ვით შექმნა ვეშპისა გლას ჩასანთქმელად,
ვთქვა და სირცხვილად დამიდონ, არ იყო მისგან საქნელად,
ვითა დავმალო მთიები, ჟამი დილისა ვყო ბნელად.

არას ვიტყვი, თქვენც გასმია ქება არ თუ ცუდი ხოტბა,
პირ ბროლი და ბაგე ძოწი, თვალებია მელნის ხოტბა,
ხმა ბულბული, სვიფიონი შაქრისაგან უფრო მოტკბა,
მე არ თუ მითქვამს მართალი, ბრძენთა ჴკითხე იქ შემოკრბა.

სოფელს კარგა დაუწყნარდი, სამეფოსა გავაგებდი:
ერსა ვსჯიდი სიმართლითა, საბრძვარს ზედ წავაგებდი,
ეკლესიათ დარღვეულსა სიძველისგან აწ ვაგებდი,
ვიშვებდი და ვიხარებდი ცუდ-მადს არას შევიგებდი.

## კარი მერვე.

### ამბავი მეფის თეიმურაზის სიმდიდრისა, ნადირობისა და ლხინისა.

ამის მეტი სხვა რა არის, წყლის ბრუნვა და ანუ თარი:
ოთხი არის ვით ნივთია: მიწა, ცეცხლი, წყალი, ქარი,
გაზაფხული და ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი,
ამათ გამოიხარებენ მიწის არსი რაც რამ არი.

პირველ გაზაფხულს გიამბობ, სხვის დროსგანც უკეთესია,
ამით იხარებს ყოველი, დანერგულ-დანათესია,
ნადირობა და ბურთობა, ლხინიც აქ უკეთესია,
ვარდზედან დაჭყეფს ბულბული, აღარვის ახსოვს ერია.

რა მარტი დადგის, მოვიდის, შეიქნის ირაობანი,
ჩიტებმა შექმნის გალობა, სიმღერა ჭიკჭიკობანი,
შეეწყვის მაღალ-დაბალი, მობანემ მობანობანი,
ალონი დაშვენდებოდა, მჭვრეტო ვიწყით მისი მკობანი.

იქ მოვა ყოველი ფრინველი, წყლის მჯდომი, წყალში მცურავი,
სონდული, ბატი, გავაზი, შავარდნით მოსასყურავი,
ვადევნებდით და ვხარობდით საწუთროს მოუმდურავი,
ბაზიერთ ხუცეს უმცროსით, უბოძა დასაურავი.

ფიცითა მათქვამს: არ ვიცი მე რიცხვი ბაზიერისა,
ბაზიერების შიგ-მდეგი, ოთხმოცი ანაწერისა,

თავადნი, აზნაურშვილნი: არ ჩოსა ამოწერისა,
ერთი ბაზიერთ ხუცესი, სიდიდის მქონე ბეკრისა.

ასე ჭურნდათ დამართულნი, მათ ფრინველები გაამყოლი,
ზოგს იქივე დაიჭერდენ, მაღლა ამსვლელს თან ამყოლი,
კვლავ მხვეველს და მოთამაშეს იქით-აქეთ მიმომყოლი,
ხოხბისა და დურაჯასა ზოგთ გამბმელი, ზოგთ მიმყოლი.

ბედაურთ, ქორთა სიმრავლე იყვის თუღუნი მალები:
წითლები, მედიდურები, გამძლე, ხან შემომწყრალები,
ახალს მწყაზრებსა შვენოდეს გვარი და ყვითელ თვალები,
მიმინო, ფალო, მარჯნები, კადეკნით ხან ალალები.

## კარი მეცხრე.

### მეფე ალექსანდრესაგან ფარშამანგის დაჭერა.

ჰაჰის ჩემის ბაზიერად, ქება ვეჭობ შენც გასმოდეს,
მისგან იყვნეს დანაზარდნი, იმას აქეთ აწ მე მყმობდეს,
ფხიზელნი და უმთვრალონი, სამსახურს ვერ ამაყობდეს,
იტყოდიან ირაობას ფარშამანგიც მას მოსლოდეს.

ასე მითხრეს, მინდვრის მცველმა ნახა უცხო სანახავი:
მოირბინა მეფესთანო, მოახსენა უსახავი,
ამ ფრინველმა შემქნა ასე ბევრ ნახული უნახავი,
რა თქვენც ნახოთ, არ გაჰკვირდეთ, იყვნეთ ჩემი დამძრახავი.

თქვეს, თუ მეფე მასვე წამსა შეჯდა, ბძანა იყოს რამცა:
დაგვიმასხეს ბაზიერებს, თან გამამყვეთ ყველა კაცმა,
სულ ფრინველები წამოასხით, მედიდურნი მერმე მომცა,
დაბლის მპყრობნი და ამყოლნი მაღლა უნდა მიცამცა.

მიბრძანდა მეფე, რა ნახა, გაკვირდა მეტადიოდა:
ზოგს ბოლო წამოეხურა, ზოგნი ხმა მაღლა ყიოდა,
ბრძანა, ვის გაუგონია ან ამბად აქამდიოდა,
მეყურუღემა იკადრა, გეგონა ტყუილიოდა.

ბრძანა მინახავს სადაღაც სახე ამისი ნახატად:
თვარ ვის ასმია აღონში კვლავ მოსვლა აქ ამის მეტად.
თვალნი დამიბა შვენებამ, ვეღარ მოვისხლიტე მე ჭვრეტად,
გვიბძანა, თუ არ დამიჭერთ, ცემით დაგხდით თქვენ რეტად.

მოვახსენეთ დედალს ადრე, დაიჭირენ ეს ფრინველები:
მაგრა ვაი თუ გერ შეიპყრონ, ბოლო დიდი ის მამლები,
მოუტიოთ გავაზები შავარდნითა სონღულები,
ზევით იმათ არ აუშვან, დავახვედროთ ძირს მაღლები.

მეფემ ბრძანა, მე ეს მინდა: სულ ცოცხალი დავიჭიროთ
შევინახოთ, მოვაშენოთ, ლხინად გვეყვანდეს არ საჭიროთ,
მო ასე ვქნათ, გარეშემო შემოვერტყნეთ, მოუჭიროთ,
აწ ფრინველები მოუტიოთ ვეჭვ ეს გვმართებს დავაპიროთ,

დავუმოწმეთ ამ თათბირსა, ჯარი გარე შემოარტყა,
უბრძანა, თუ სასიკვდილოთ ჯოხი არვინ არ დაარტყა,
მინდორს ისხდეს გამოჩენით, არ უნდოდა ტყეთა ბერტყვა,
იპეპლიდეს მათ დედლებსა, თან არ ახლდათ წვრილი ბარტყა.

გავაზები და ბარები გაჭყუარეთ, მაღლა აუშვით:
მეფე შავარდნით ცხენ-ფიცხად მიუხდა, ჩვენცა მიუშვით,
მიბძანდა, ზოგი მივჭყლევით და ზოგი ტბაში შეუშვით,
დაფრინდენ, მოუტივაცა, შესძახა: ვა თუ გაუშვით.

შავარდენი მასვე წამსა დედალს მოხვდა, შეცაიპყრა:
მეფე მისდევს სიცილითა, მისაშველად იწყო წაყრა,

სხვა ფრინვლებიც დედლებს იჭერს, მამლებს უწყეს ძირს ჩამოყრა,
წაეხვივნენ, და იჭერდენ ჯარმა იწყო იქ შემოყრა.

გალახამც გამხიარულდა მეფეს შექნა შვებაო,
იცინის, ამბობს: კარგა ჰქენ ამათი არ გაშვებაო,
ბაზიერთ ხუცეს უბძანა: დღეს ბევრი გეშოებაო,
ამისგან უკეთ შექცევა. არ ოდეს არ გერგებაო.

მას აქეთ კახეთს მომრავლდა, ოდიშსაც აქეთ მოშენდა,
ქალს გაატანა ზითევად. მოკარგამეკ იყოს. მოშენდა,
არა აკლდა-რა მას მეფეს, ესეც წყალობით მოშენდა:
ძმანო, ისმინეთ გიამბობ, უყურეთ, მოდით, მოშენდა.

# კარი მეათე.

## ამბავი გაზაფხულის ნადირობისა

იცია, ირაობასა ქოჩობაც თანა მოყვება:
მაშინდელს ნადირობასა სულ წვრილად ვინღა მოყვება,
ზოგი კი რამ ვთქვი, უფროსი დამრჩება, გადამეშვება,
თუცა არ მინდა სათქმელად, მელექსე არ მოეშვება.

ქორობის სიხარულითა, უველამ ბოძლები მოლესა,
მშვილდისა უკდებდენ ფარცხვეზისა და ცხენი მოიმალესა,
ქვეყანას გახარებულსა ვსჭვრეტდით, ახალსა მოლესა,
ბერნიცა გაჭაბუკდიან, არ თავი მოიმოლესა.

ალონს ვიწყით ნადირობა, მერმე ქვევით ჩავჰყვებოდით,
უკეთ სროლის ბასითა ერთმანეთსა აჯყვებოდით,
ვინც ნადირი იქ არ დავსცით, შორს ალარვინ გავჰყვებოდით,
მოვიდით და ლხინად დავსხდით, ვინ ვის რასმე ვლაყბებოდით.

რა აქედამე წავიდით, კარამდის მოვინადირით,
მუნ განსვენება სად იყო, იმუშაკებდა ნადირით,
ტყეებსა ვრეკდით ყოველ დღე. შამურით, ბედიურის თირით,
გაზაფხულისა აერი, შვენოდა კარგა, მუნ ნირით.

მცირეს ხანს ბაზარს ვდგებოდით სალხინოთ სათამაშოთა:
ჩვენის ბასსი ჯობნაზე, ნუ გონებთ, მალე დამაშოთა,
სად მომეცალა სალექსეთ, მიბრძანე, ბრძენო ფაშოთა,
კიდევ ბევრს რასმე ვუამბობ, ხელიდამ არსად უშოთა.

მაისი დადგის ტურფა-თვე, ვარდი აყვავდის ბაღებსა,
ველნი შეიმკვის ყვავილით, გვანდის წითლითა ნაღებსა,
ბულბულთა ყეფა ისმოდა, ვერ ვსჭვრეტდით სულ დანაღებსა,
მე ვინ მნახევდა იმ დროსა, ულხინოდ სუფრა ნაღებსა.

იქ მოვიდიან ლეკები, მებატონენი გაცები:
მოკრძალვით გულ-ხელ მოჭდობით, მშიშრად, ვით ცხვართა ვაცები,
ფეშქაშსა მომიზიდვიდენ ვერ რბევით შემომხოცები,
ზოგ-ზოგს იქ დავიტევებდი, სხვანი გავუშვით ვაცები.

მინდორს ბალახი მომაღლდის, ხბოს დამალევდა ნადირთა:
იმ წამს მიმართის ირემმა შამბს მალვის მუნ დანაპირთა,
ჩვენც თანვე გავჰყევით სიმრავლით გაწყობით, არ მებოძირთა,
ალაზანს ნავით გავიდით სასროლად ზედანაშურთა.

მივიდით მინდვრებს მივადგით, დავუწყით ჯერგას რიგება,
შუა ლამისგან უწინვე, ნადირს ვერ ექნა შეგება,
ასე შეჰკრიან სამგნითვე, მხეცი მათ ვერ გარდეგება,
დაიწყის მოსვლა კარზედა, პირს ვერ ვინ ვერ შეეგება.

დილა გათენდის, შეიქნის აწერითა და კრებანი:
ვინ არ ვიახლი ჩემთანა, ვერაქნის მოკარებანი,

შეიქნის სროლა უცდური, დანაცდენთ მკირად მკბანი,
კარგ სადავენი მომხრედ მყვის, ავისა შორს გამკბანი.

ასე უნდა მშვილდოსანი არა კრევდეს ყოვლსა ასოს,
მართალ მხარსა შუასა კრას, წინ გადამხტარს ფერდს დასოს,
მხეცი სადგომს წამოიდოს, მწუხრკალს მინდორს სისხლი ასოს,
ერთს გაზაფხულ თიბათვემდი ოთხმოცისგან უფრო ასოს.

ნადირზე ასე მივიდეს, ეგონოსთ — შეემგერათ:
მერმე სადავეს გამოჰკრას, რას ქვია გულის მგერათ,
ხარსა და ვაცსა მოჰკლევდეს, ცუდია მელა მერათ,
მოუწონებდენ სითვიცხეს, ინატრონ მისი მზერათ.

რა ნადირობა გათავდის, გრემისკენ წავეერებოდით:
მუნ მოყვარულნი ქალ-ვაჟნი, ერთმანეთს შევეერებოდით,
ვარდი დაგვიხვდის გაშლილი, ვკრეფდით და შიგ ვეყრებოდით,
ასე გვიამის იქ მისვლა, მალ აღარ გავეყრებოდით.

გრემსა იყო ბევრის ქვეყნის უცხოები იქ მოსული,
ფშოდა სული სურნელისა ყვავილთაგან გამოსული,
ბაღებშიგან კვიპაროზი ალვის ხითა ამოსული,
მისის ნახვით გაერმდებოდა სიჭაბუკის მალ-წასული.

ერთი ბაღი და სასახლე გრემს იდგა ლეკან მეფისა,
მას შენობაზედ ეტყობის გაცემა სიიეფისა,
ყოვლი ყვავილი ხეხილი გარმოცულიყო სეფისა,
განცვიფრდებოდა მნახავი, იქმნის სიბრძნისა მკრეფისა.

## კარი მეთერთმეტე.

### ამბავი ნადირობისა და საზაფხულო ალაგებისა.

ბარობა იქავ მოვისთვლით, მერმე მივმართით ზეგანსა,
ბარზედან დაცხის ამად, რომ მზე წამოვიდის ზეგანსა,

ჭ-ედ ჩააგდე ეს ლექსი და მოგახსენებ ზეგანსა,
არას დავაგდებ უთქმელსა, ბანზე მოვაბამ ზეცანსა.

უწინ შუა მთას მივიდით, ცოტას ხანს იქავ ვდგებოდით,
რა დასცხის უფრო და უფრო, ზედ ადრე შევუდგებოდით,
ორს კვირას გომბორს ნამყოფნი საერწოდ ავიყრებოდით,
ვმწყერაობდით და ვკურდღლობდით, სტუმარს წინ მივეგებოდით.

ერწო კაი საკურდღლეა, მწყერიც მრავალი დაჯდება,
წვრილმანს ტყეებში ნადირი, ბევრს ჯარს არ უნდა მოდება,
ჩალებში წერო ბევრი სხედს, საგვერცხოდ უნდა დადება;
მერმე თიანეთს ვინც მივა, კალმახით იქ გასჯერდება.

თიანეთს სხვას მთის ალაგი, ვერ შაადარონ მას შურით:
სალხინოთა და საბურთლად, ერწოდამ იქ მივაშურით,
კალმახა დაულევნელი ბადებითა, თუ წყალ-წურათ;
ლხინებს ვნახევდით ასეთსა, შორს მყოფთ იქ მოსვლა ვასურით:

ლეკს ზეით სხვა მთის კაცები იქ მოვიდიან, ვინც მყმობდა:
დიდონი, თუშნი, ფშაველნი, ხევსურნი ვერ მეკობრობდა,
ქისტი, ღლიღვი და ძურძუკი ერთ პირად ძღვენს შემომძღნობდა,
ჩოხა ნაბადსა, შავს ცხვარსა, ფეშქაში არ უნახლობდა.

თიანეთს ეს სჭირს სიკეთე დიდია, მერე გაშლილი,
მოედანს მწვანით მოსილსა, მობურთალი ყავს შეშლილი,
მწყერაობაში რას ვარგა უსეფქო კაცი, მოშლილი,
ქალები მოვლენ ტან-წვრილნი პირ-თეთრა, შავ-თმა ჩაშლილი.

ერთი წყალი საკალმახედ იორს არსად შეედრება:
სხვა არა სჯობს იმ დროს რამე, იმის წურვას გახარება!
მოწყენილმა კაცმა ნახოს ჯავრი სხვაგან გაუქრება,
მთითგან ნადირს მოიტანენ, გორა-გორად დაეყრება.

# კარი მეთორმეტე.

## ამბავი შემოდგომის და მყვირვალობის ნადირობისა.

აგვისტოსი გათავდის ლხინითა და უკუყრითა,
მერე კახეთს წავიდოდით გარიგებით მუნ აყრითა,
მხიარულად ჩავიდოდით, მექორწილე ვით მაყრითა,
აწ მზადება დაიწყიან, სამყვირვალოს შემოყრითა.

ღვთის მშობლობასა შუა მთას მივიდით, იქ გადვიხვეოდით,
შევეხვეწით სასოებით, მის მეოხად იმას ვხადდით,
მოძღვართ-მოძღვარს მასპინძლობა, იმ დღესაც ქვევრებს ავხდიდით,
ჩვენა ვართო ამ ყოფაში, მტერნო, აბა თქვენ კი წახდით.

ალიონმა აიზიის, შევსხდით ცხენსა, დაუკარდით,
წუნარა-წუნარა მივჰყვებოდით, ცუდმადს არას გავუკარდით,
ვისცა ჯოგი მოგვივიდის, კარგ სადავეთ ზედმივარდით,
სროლითა და სიკვდილითა, დავილალით და დავარდით.

სულ დიდი ჯოგი მოვიდის, ანგარიშს ვერ ავიღებდით,
ვირ არ მივიდით ნადირზე, მშვილდს აქ არ ამოვიღებდით,
მივისროდით და მივხოცდით, მინდვრის სისხლითა შევღებდით,
ამდენი მოკვდის ნადირი, სულ თან ვერ წამოვიღებდით.

მაშინდელთ კარგთ მშვილდოსანთა ამად არ ვამბობ სახელებს,
საბატიოთა კაცთა და კაც-კაცთა ბევრს ასახელებს,
კაცებს შიგ რჩევით მოკლევდენ, ვერ მომკვლელს მგონ ქსახელებს,
ზოგს ვუქებ მშვილდოსნობასა, უცოდნსა დასდებს სახელებს.

სხვა მინდვრები ირმით სავსე, ყარაიას ჯერანია,
კარგს მშვილდოსანს გაახარებს გულის გასაჯერანია,

ვერვინ სრულ ჭურის ჯოგთა რიცხვა, ქვე დასაჯერანია,
თუ იმდენს ჯოგს შეეყარო, მოკლე კახი, ჯერანია.

ზოგნი იტყოდის: აქა ვჭკრავ, მიყურეთ, უსაცილოდა,
სხვამ თქვის თუ, იმ კაცს მე მოვჭკლავ, შევლებო ისრის კილოდა,
კვლავ ამ დიდს ჯოგში ხუთს მოვჭკლავ, სროლა არ ვითაკილოდა,
ძალიან მშვილდსა მოვზეკდე, მკლაო არ ისარ წვრილოდა.

მალალს აკრევდენ ივრთეებსა გრძელს ისრებს, მათთა მკლავთასა,
იტყოდეს: ასლოს ქვე სჯობს, უკეთ იქს ხორცთა ფეთასა,
შორს სროლა რა სადავეა, ასლო სჯობს ქს უკეთესა,
ბევრჯერ მინახავს, იქმოდეს, მსხვილ-ბარკლის სულ მოკვეთესა.

უმაწვილები არ არჩევდეს, არც გუროს და არც ნადირსა,
თუ სადგომს კი ბევრს მოვიტანთ, ოსტატობას ჩვენ რა გვჯისო!
დასულებულს ვინ ნახევდა სიცილითა იმათ პირსა,
ის დრო იყო და წავიდა, სხვა ველარვინ ვერ ეღირსა.

მინახავს ბევრჯერ მინდვრებში მოკლული უფრო ათასი,
ჩემს მოკლულს სხვანი გეტყვიან, მოგახსენო სხვა ათასი,
ერთს ზაფხულს ზამთრის პირამდი ჩემი თქვან ვეჭრობ ათასი,
ლხინსა ვნასევდით ამოსა, ზოგთ ჯამითა სვეს სხვა თასი.

ერთი თამაშა არ სჯობდა ჩვენს მაშინ ნავით გასვლასა,
ბაზრიდამ აურას დიდებით, სამინდოროსა წასვლასა,
კაცი ვერ იტყვის ენითა, ვერცა იქს თავის ასვლასა,
ანგარიშს ვერვინ აიღებს, თუ არ ჩააგდებს ნულასა.

ოთხმოცს ყათარსა, აქლემსა, ცხენ-ჯოროსა, აჩავერს გარდა,
გარვებს მისმოფენილობით ჭკიდებდენ, იდვის მუნ გორდა,
ტყუილი ეს არ გეგონოს, მართალი არის, არ ჭორიდა,
ნუზლიც მრავალი წავლით, მინდვრები ლოფლებს გაშორდა.

შვიდს, რვას დღეს თუ ნავს გავიდით, რაზომ მალე ვასწრაფდითა,
გამოღმართისა ჯურღას გარეთ, ოდენ ისევ გაღმა მხრითა,
აქათურიც ნავზე დამხვდის, ნაპირულნი გვეონაქითა,
გვიან ვერვინ მოვიდოდა, თორ გავსეთქდი მე ზაქითა.

ჯარის სიმრავლე რა ვითხრა, დიდებულთა თუ მცირეთა.
ახალ ვაჟ-კაცთა სიბევრე, ვარსკლავთა გვანდა ციერთა,
ვინც ის მოშალა, კრულმც არის, მან ღმერთი აღარ იღმერთა,
ვაი რამდენი სხვა კარგი სოფელმა გაწამაერთა.

მან იცის ბედაურთ ცხენთა შეკაზმვა, გამომჩვენობა,
ტანის-სამოსთა კეკლუცთა შემოსა, ტურფად ჩვენობა,
ქარქაშის გაწყობილობა, ისრების ორბის ფთით შვენობა,
ვაჟ-კაცებისა სუმრობა, მან ჩვენს ხელთ იყო ჩვენობა.

ასე დადგიან კარვები, კაცს თვალს ვერ გადაწვდენოდა,
იყვნიან მშვიდად, უშიშრად, ვერავინ ვერვის აწყენდა,
მესისხლედ ვინ ჰყვა ვინ ვისმე, იქ სისხლს ვინ გამოადენდა,
ღვთის რისხვით მოხდა, თორემა მათ ის რავა წაახდენდა.

თორმეტი არის მინდორი სხვებისგან უკეთესების,
ირმის, ჯერანისა, დათვისა, ღორისა, ტურის და მგელების,
ავთრისა, შვლისა, ფოცხვრისა, კურდღლის, მაჩვისა, მელების,
ბევრს ჯარს რომ მოინდომებდა, მათ სახელები ეს ების.

წინა მინდორი შირაქი და ორნივ ტარბანაები,
ორი ელიდრის მინდორი ჯერან ჩუხურში დაები,
უაჯირ, ლუხ, პაიდი, გოლა, სამგორი ჩადივარები,
აწლა რას სჭორვენ არ მასხონს, მაშინ ყარაის დავები.

ჯვართ ამაღლებას ალავერდს, ჩავიდით, იქ ავამაღლით,
ფილიპეზე ალავერდელი ლხინით ვერავინ მოვლალით,

ამან აავსის საჩუქრით იქ მყოფნი მაღალ დაბალით,
ნაზარხოშევნი ვიყვენით, არ მთვრალნი ღვინო მომბალით.

ერთს სიტყვასა ის იტყოდა: არ ვარ სხვისგან განაგონად,
ასე იტყვით საქონლითა, ვერ გავძღებით, ვყავართ მონად,
ამდენი მაქვს, აღარ მინდა, ოქრო მიჩანს ჩალის წონად,
ბევრი გასცის უცხოთვერად, იყვის ყოვლთა მოსაწონად.

მაგას ნუეჭვ, რასაც კაცსა მალად რამე გამოართვის,
ასე მე ის საშინლობად არ მნახვედა, არ მომართვის,
მან მომცის და მე რაც მივცი კიდევ სხვა რამ ზედა ურთვის,
ლოცვა ჰქონდა წესისაებრ, მერმე ჯვარის ლხინი წართვის.

მოკლედა ვთქვა, მეირვალობაც ალონს ვიწყეთ იმავ წესით,
უჭირველად ვნადირობდით, სენით ვიყვით, არა ვკნესით,
ჭაკს ცხენს ზისარ ჯავახურად, წოტას ხარჯზედ მოაწევსით,
ქს თვეც წავა კაის ყოფით, გაზაფხული მოაწევსით.

მოვიარეთ ტყეები და რაც მინდვრები გითხარ პირველ,
ვირ დრო მქონდა სიხარულის, ხელი ვყარე, მწვერვალს აველ,
მყვარვალობა გავათავე, აწ საჯერნეთ მინდვრად წაველ,
ყარაიას მივადექით გარეჯიდამ მტკვრის პირს დაველ.

იქ ჯერეს არ წავიტანდით ქვეითს თუ არ ცხენოსანსა,
ქისიხით წამოიყვანდენ თორმეტჯერ ათიოსანსა,
სულ კარგს ულაყზე მჯდომელსა, ვინ ნახავს მათ ჭაკოსანსა,
მარტოკა იმასულით იტყოდეს შვიდასსა ჭარმავოსანსა.

ერთის სიამით ეს მოვიდინ, ნახე თუ სხვა რამდენია,
შვიდს წელიწადს ისე ვიყავ, სათქმელი რამ არ მწყენია,
უეჭველად უტკივარად, ცხვირთა სისხლიც არ მდენია,
ბოლოს საქმე გამისინჯე, რამდენი ავი მსმენია.

პირველ ღამესა დიდს კარცლას მივიდით სრულა ჯვარითა,
დავუწყეთ ჯვერგას გაშვება ერთმანეთ დასაჯვარითა,
მაშინ იქ მეოთმა ჯვერგამა თავი არ გასაჯვარითა,
გათენებისა მომლოდნემ იქ ძილი ისი ჯვარითა.

ერთს დიდს მარცვაში ნაგებს კდეკ, რომელ არს რუსთავ ქალაქი,
აღდგომაც იქ გადვიხადე, ახალი ჩვენი პასაქი,
რასაქნევ ინდსა, არაზსა ესე სცობს, შენცა ეს აქი,
კელარ თამამად ბაასობ, უჩდა ცილებისა ბაქი.

ამ აღდგომის დღის ლხინები ძნელია გამოსათქმელად:
საღვთო წესი და რიგები ნათელ არს არ დასაბნელად,
ბურთობა, ყაბახის სროლა, გაცემა მქონდა არ ძნელად,
თუმც კიდევ ბევრჯელ მინდოდა, აღარ დამცალდა საქნელად.

გულმუხელთ და გახთ სამრავლე ამად გასინჯე კუხორი:
ყაბახს ესროდა ოთხმოცი, მარტო ჩერქეზი და ოსი,
მე არ გავუშვი იმ დღესა ჩემი ყმა მუნ შევუმოსი,
ლხინზედა კსვემდით გავაზურს, ხვრეპა არ იყო იქ დოსი.

ამ დღეს გავეც, სხვას გარდა ის, ასი ჯილა, ასი ტუავი,
ველავ ცხენები ბედაური, ართუ ზურგზე განატუავი,
ამათ გარდა აბრეშუმი სამოცს ატლემს ნატვირთავი,
არ დავაგდე უბოძარი ღარიბები, მოურთავი.

მანამდის არ ჩამომეხსენ, არ მათქმევინე მე ვირეს,
მიქებდენ დიად სიუხვეს, არა მძრახვევდეს სიძვირეს,
კაცი ამ ყოვლის პატრონი, რად შეგედარო მე ვირეს,
ჩამოგიყარე ყურები, ჯობნისა შენ დანაპირეს.

თუმც არის წელიწადშიგან ეს დროცა გასახარონი:
აივსებიან ყველანი, ჭურები, ბეღელ-ხარონი,

შიმშილისა და წყურვილის არვის აქვს თავის ხარონი,
სიმსუქნე სჯარბობს სიმჭლითა, არ ვინ არს შენახორანი.

სულ გაძლებიან ღარიბნი, გლახა და მუნ მდიდარია,
თავსაყარად აქვსთ მთხოვართა, მათ მათი სამუდარია,
ანგართაგანც მიიღონ, წყალობა სათხოვარია,
ამ სიკეთესა მოუსწრო, მერმე ზამთარმა დარია.

ვით წესია ამ თვეების, მის-მის დროსა ხელსა უკრიდით,
მევირვალობა რა წავიდის, ქორებს ზარში გამოვურიდით,
სანამ წყალი არ გაყინის, ვერ მოგვყვანდა სიცხის რიდით,
რა აცივდის, მოვიყვანით ფრინველებს, ზედ ხელს წავურიდით.

აწ ზამთარი შემოვისწრით თოლასა და ბოქთანსა,
შამულსა და ლანუხშიდა სხვას აინ ნახავს ამისთანასა,
ყოვლი რამე სანადირო ასე ახლავს ინა თანსა,
მაშინ მე რას ვახსენებდი ხანებსა და ან სულთანსა.

სულ წვრილად, ვსთქვა ვერ გაუვალ, არც ვინ მართლა დაიჯერებს,
თვარა ვიტყვი ბევრს ასეთსა კაცისაგან გასაჯერებს,
ცრუ არის ეს სოფელი, ბოლომდისინ არ მაჯერებს,
ფიცით მითქვამს, დამიჯერე, მცილეს ფიცი დააჯერებს.

რაც მინდოდა, ყველა მქონდა, მე ნაკლები გულს არ მაძე,
მუნ სიმრავლე სპა ლაშქართა, ჩემი მტერი ყოვლგნით ვაძე,
ჩემის სახლის მეფეებსა წარვემატე არ წავბაძე,
ეს კი მაკლდა, მართალს გეტყვი, ძმა არა მყვა და არცა ძე.

ჩემის სახლისა ჩემ მეტი, კასეთის არ მოიძეოდა,
მოწყალემ მომცა ორს წელსა ყმა შვილი, ორი მეოდა,
შემექნა ლხინ-სიხარული, ვთქვი: დავდექ ასლა მეოდა,
მათის იმედის ქონება, ვა ადრე დამქცეოდა.

მაშინდელს მახარობლობას სულ კაცთა იქ შემოყრასა,
მათ გასარჯებ-ლხინებას, იმათ იმ დრომდის მოყრასა,
მოსალოცავთა ტურფვათა, თვალ გუართ თავს გარდაყრასა,
მეობა ღამის იქვასა, მილად არვისგან წაყრასა.

მომეზარდენ ორნივ შვილნი ხუთის წლისა და ოთხასა,
ტურფანი და ჭიკჭიკანი, ორნივ ნორჩნი სამოთხისა,
ძლივ ღარს ვიყავ, გამეზარდნეს ტანად ნაკვთი ალვის ხისა,
ცხენს სხდებოდენ ყინწაყურით, ცრემლი დაწვს არ დაეჩთხასა.

ვით წესია სოფლისაგან, ლხინს არავის გაუთავებს:
ჯერეთ მამყვა, მწვედ მაამა, აწ საქმესა მიზამს ავებს,
ლხინის ნაცვლად გლოვასა და, სიმღერასა მუქფად მავებს,
ლხინის შემცვლის გლოვა ფლასად, წითელ-ყვითელს გამიშავებს.

## კარი მეცამეტე.

### ამბავი მეფე თეიმურაზის მგლოვიარობისა დედოფალზე.

ჟამი გარდახდა შვებისა, მოვიდა გლოვა-წუხილი,
ლხინმა მიმრიდა, შემექნა გულს ურვა, თვალთა წუხილი,
ღვარად მდიოდა სისხლისა ცრემლი, ისმოდა ქუხილი,
ნადიმი აღგრბა, სერობა, ოდენ მაჭამეს წუხილი.

მოვთქვემდი: «მზეო დამაგდე, ცეცხლო მომიდევ წამალი,
მე გლახ უშენოდ ოხერმა შენი ვერ ვპოვე წამ ალი,
ბროლი და ლალი შეთხზნილი, მიწათა შიგან წამალი,
სუფევა ჰპოვე უკვდავი, წმიდათა თანა წამალი.

წამწამთა რაზმმან დაჰფარა თვალნი გიშრისა და ღულა,
მშვილდი შავისა ყუმუხტით შემოსით ვით მოწეულა,

თმა აბმრის ფერი შეწმასნით მიწამდა ჩამოწეულა,
ვითა ვთქვა საქმე საზარო, ჩემზედა რა მოწეულა!

ბაგეს, ვით ვარდის ფურცელსა, აწ ვხედავ გაყვითლებულად,
მაშიგნით თეთრსა კბილებსა, სადაფ მარგალიტებულად,
ერთსა შაქრისა უტკბოსა ვხედავ უმრავად დებულად,
აჰა, ვაიმე! რადა ვქნა, აქა ვზი ცეცხლ-მოდებულად,

ცხვირს ზომაერად ჩამოწდილს, სული ფშვის სურნელებისა,
პირი ერთ პირად შექნილი, უალოდ გამთვარებისა,
რომელმან ენამ აღმოთქვას სინაზე მკლავ ხელებისა!
ვითა გაწირვა დასკვენ შენ ჩემი გულნალებისა.

ვაიმე, წახდა ვის ჰქონდა ყელი ბროლისა სურათა,
ვერ გამოხატოს მხატვარმა ჩინელმა მისი სურათა,
მჭვრეტელთა სატრფიალოო, უნახთა მოსასურათა,
ვი! რა უბრალოდ გამწირე, სისხლის ცრემლ გასაცურათა!

ვა რად მიეც შავს მიწასა პირი ვარდი ბროლ ფიქალი!
ბრწყინვალე და შუქთა ძვენი, აწ ეთერი ფერ გამქრალი,
შენს საქციელს ვერ აიღებს ბევრის ცდითა სხვაღა ქალი,
შენ გამხადე დასაწვავად გარ მომეგზნა მე აქ ალი.

რათ დაგდე ეს სოფელი, რა გაკლდა მისი ნივთი?
სახელმწიფო, ქმარი, შვილი რად გახადე ოხრად ვითი,
სამუდამო ლოცვა წირვა, ფსალმუნება ან დავითი,
პირსა შენსა შუქი კრთოდა, ასე ადრე რად წარითვი.

მე გამწირე საყვარელო, ლევან რად ჰყავ საბრალობლად!
ალექსანდრე ნებიერი ვით დამიგდე მე ეს ობლად,
შენ უდროოდ ტახტს აოხრებ, თავსა შეიქ საბრალობლად;
მე გამხადე მტერთ გულისად, ბედისა და სოფლის მგმობლად.

გვირგვინის ნაცვლად ჩაჩნს მხურავ, სკიპრად მომამლევ შავს ჯოხსა,
ბორწვირად მაცმევ მამასა, ტახტად დამიდგამ ბნელს ქოხსა,
გამაზედითე, დამაგდე, ვჭკვირვარ მე გუშინ დამნახსა,
უდროოთ ამყოფისათვის, უზრობენ სოფლის საძრახსა».

ვით წესია, გარდვისადე გლოვა დიდი, სულთ წესები,
სულთქმა ახი სამუდამო და ტკივილისა კვნესები,
ვიჯექ ბნელსა ცეცხლ ნადები, ნათელ შრეტით დანავსები,
ნაღვლეს ვსვემდი სამსალითურთ, გული მქონდა შენავსები.

ორმოცამდისი ბნელსა ვჯექ, სინათლეს მე სად ვნახევდი?
თავსა ვიცემდი, ვსტიროდი, ცრემლითა ღაწვსა დავკჰევდი,
შენც შემიბრალე არივო, მოდი და ჩემთან ახევდი.
ნუგეშინის მეც სიტყვითა, ღონეს რას მომანახევდი.

## კარი მეთოთხმეტე.

### მეორედ მეფის თეიმრრაზის მგლოვიარის ყეენისაგან დაპატიჟება.

მე გლოვიარე ყეენმა მიმიხმო, მიმიპატიჟა,
თუ გლოვის გამოსასვლელად კვლავ უფრო გამიპატიჟა.
ახლა მიბძანა შავისა, ხორციცა მან დამპატიჟა,
უარი არ მათქმევინა, არც ხანი დამიდარიჟა.

ვით მართებდა მასთან მისვლა მედა ჩემსა სიდიდესა,
ყოვლიფერი თან ვიახელ, ვინ იცის რა მამინდესა,
მას ვმეტობდი გარიგებით, ვინ რომ დავი მომინდესა,
მე რჯულ-მტკიცედ შეზღუდული, იმათ თავი მაინდესა.

წავედ, მივედ, მომეგება ომარება, კარის კაცნი
ბედაურის ცხენებითა, არ იახლა მათ საკაცნი,
სიმრავლესა ჯვარისასა, წინ უძღოდეს ვითა კაცნი,
გამკვირნეს სიკეთესა, ხელთა ჰქონდათ მალ-მალ ტკაცნი,

მივედ, ვნახე, მიალერსა ხემწიფემა ვითა შვილსა,
მიბრძანა, თუ «მწვეედ მაძმიმს, გხედავ აგრე შემოსილსა,
მაგრამ რა ვქნა? რა გავაწყო ღვთის ბრძანებას ვინ მოშლისა?
გლოვაზედა რად წაბამე შენ ჭკვიანმა სხვათ შეშლილსა?»

დაჯდა ნადიმად უცხოდ რამ, მის ლხინს რა გაეწყობოდა:
მუნ რამდენ ფერი საკრავი ერთმანეთს შეეწყობოდა,
გაურას ვინ მოინდომებდა, გული იქ დაეტყვებოდა,
მას დაფარული მტერობა მაშინ არ შაეტყობოდა.

გათენებამდი ნადიმად იჯდა და არც მე გამიშო,
მიბრძანა: გამხიარულდი, ჩემგან არა ხარ საშიშო,
ბევრს კარგსა გიზამ, იცოდე, საქმე არ გიყო საიშო,
გულსა სევდა და ნაღველი უგუ-გუარო და მოკიშო.

პირველი ნახვა გათავდა, მერმე მიმახმო სალვათათ,
მითხრა: ლუარსაბ მეფესა გამოუვრებ მალე ამლათათ,
ორნივ მეფენი გაერთდათ, ის შენთვინ იყოს, შენ მათათ,
ჩემიცა ქვისლი იქნები, საქმე არ დარჩეს სახლათათ.

მოვახსენე: ხემწიფეო ეგ ჩვენს რჯულში არ მოხდება,
ახლო არის ნათესავი, საკანონად დამედება,
თუ შევირთო ნათესავი, საბოლოო წამიხდება,
უარი არ გამიგონა: «ცუდიაო მიდ-მოდება,

არ იქნება, დამიჯერე, ქართველთ მეფის უმოყვრება,
სხვას უკეთეს ვერ შეირთავ, მეც მასქია დიად ქება,

ზურგად მე გუკე, ის მოყვარედ, ვისდა მალუც შენი ვნება;
ქე მწადს მერმე თქვენ მოგხვდება ლხინით შეყრა ერთად ხვდება».
კიდევ რამე მოვახსენე, მე კი საქმე არ მექნება,
არაფერი არ გავიდა, უარისა მოხსენება,
კვლავ მიბრძანა: ნუღა იტყვი თუ არა იქ არ იქნება,
რათგან ისე მოინდომა, რაღა მექნა, დავრთე ნება,

## კარი მეთხუთმეტე.

### ყეენისაგან აბელის შვილის თხოვნა და არაკის მბობა.

მერმე მითხრა: აბა მომეც აბელის ძე კარგი ადამ,
თუ არ მომცემთ არ იქნება, ვერ დაიხსნას მაგისმა დამ,
გამიჭირდა მისაცემლად, იქ მისვლით და მერმე სადამ,
ჩემს სიტყვასა დააჭარბა ხელმწიფისა მოსაწადამ.
მოვახსენე: ვერ მოგართომ, ნუ მიბრძანებ, ცრემლს ნუ მადენ,
ნასისხური კაცი არის: მამით, ბიძით, თავით რამდენ,
გამორთმასა ნუღარ ბრძანებ, წყალობა ქენ შენ ამოდენ,
მე მას მისი ჯავა ჩემსა მმიან ორნავ თავს დავკვდენ.
პასუხს გეტყვი მაგისასო, დაჯექ მანდა მომიცადე,
კარგიაო, არ მოგცემო, მართლა სთქვი, თუ გამომცდე?
თუ გიყვარვარ, ვიცი მომცემ, წამომგვარე გამომცადე,
მაგრამ ფიცხლავ არ წამოველ, კიდევ ხანი დავაცადე.
არაკი მითხრა მართალი, სიტყვა რამ დასსამაო:
ერთს ხელმწიფესა ვეზირნი მუდამ გვერდს ასხდენ სამაო,
ერთი გვარით და თვითანცა, და ორი არ საიმაო,
უფროსი ყოვლის სიკეთით, გულ-ქველი ვითა სამიო,

ერთმან მონამა შეკადრა, ხელმწიფეს ღარიბობითა:
ქათასი მომეც თუმანი, არ მითქვამს სათნოებითა,
ასეთი რამე შეგიძლო. შენ იყო არ ქონებითა,
რა ის მოგართო გაკვირდე, ბევრი სხვა მომცე ნებითა.

ხელმწიფეს დიდათ იამა, უბოძა დაუყოვნელად,
ხანმა რომ წავლო, მიჰგონდა, რაც ჰქონდა საიმედებლად,
ბრძანა: მომგვარეთ იმითურთ, რბილს აკეთებს თუ სალებლად.
მივიდეს წამოიყვანეს. პირი შეექნა ნალებლად.

მივიდა მონა, უბრძანა: რას ჰქენ, რაც გამიკეთეო:
მან მოახსენა: ხელმწიფევ, რაც გინდა ის მომკვეთეო,
ღარიბობამ და შიმშილმა მირჩია ეს უკეთეო,
ყველა დავხარჯე, შემისჯამე, გინდა ცეცხლს შემიკეთეო.

სინამდი მქონდა, ამ სოფელს ყველას რამ მე ვიამეო,
თუ ის არ მექნა, აქამდი ვერ მოვაწევდი სამეო,
ამისთვის ვქენი მეფეო, თუ ღმერთი გიყვარს დამეო,
თვარე რაც გინდა, ისა ჰქენ, შენ მანდ ზისარ და ჰა მეო.

ერთხან დაფიქრდა, ვეზირთა უბძანა: ხედავთ ამასა,
რას არჩევთ? რისგა რა ვუყოთ ერთსა თვალისა წამსა,
ეს მონამ ვით შემომბედოს, შვილმაც ვერ უყოს მამასა,
შიშით არა ძრწის, თავს იდებს, მისის ტყუილით ჭამასა.

ხაზაზის შვილმა შეკადრა: თორნეში გამოაცხეო:
მზარეულისამესე თქვა: შეწვი, ზედ ნავთი წასცხეო,
გვარიანმა კი ურჩია: მწვე კარგა შეინახეო,
მას მიემოწმა ხელმწიფე: ეს უკეთ დავინახეო.

მეც მაგისთვის გთხოვ მაგ ადამს, გვარად კარგა და თავადა,
უგვარო კაცო ასე იქს თუ ძირად არ ითავადა,
იმ ვეზირთ სიტყვით გასინჯე, რომელმან რამ თქვა ავადა,
ჩამამავლობით სიკეთე კარგია, ბევრათ გავადა.

კაცი უნდა ან გვარადა, ან სწავლაში გაიზარდოს,
თუ სიბრძნეში გაიწრთნება, უგვარომაც გაავარდოს,
თვარ უგვარო გვარიანსა ცუდად ვინმე შეუფარდოს,
უგვარო თუ არას იწრთნის, სიკეთე ვით გაიმართოს».

რა ზომ ვიტყოდი უარსა, მან კიდე დაიჟინაო,
ტკბილის სიტყვითა წამართო, არ ბაქით შემაშინაო,
აღარ მაცალა პასუხი, სულ იმან დამიშინაო,
მივეც, რა მექნა, ვიტყოდი: ნეტამც დამეგდო შინაო.

გამამისტუმრა წამოველ, კაცი თან გამომატანა,
მეც ნება დავრთე, დავასკვენ მე მისი აქ წამოტანა,
კიდევე მას მაბარებდა, სათუო არ დამატანა,
მოველ ვემოურე მეფესა, პირად მზემ ალვა მატანა.

რა მოველ, მეფეს ლუარსაბს ლავმოურდი მისის ბრძანებით:
მან ზაკვით თურე არჩია და საქმით კიდევ განებით,
ჩვენ სულ მართალი გვეგონა, ვიყვენით სხვის არ გონებით,
ვინ რას მიუხვდა, ლიქნით იქს, ან რასმე მონაგონებით.

ავემზადე საქორწილოდ, მას ქალს ჩემად მოსაგვარად,
პირველისგან უკეთესზე თავითაც და მერმე გვარად,
ქორწილიცა ეგეთი ვქენ, შესაფერი მის-მის გვარად,
ყოველი ნივთი უკლებ იყო, რაი მქონდა მოსაგვარად.

მას თურე მაშინ უნდოდა, რაც ბოლოს ჰქონდა საქნელად:
გუნებაშიგან ნარჩევი, პირად არ გამოსათქმელად,
მაგრამ ორნივე მეფენი ჩვენ კუნდით მას დასანთქმელად,
არ სიყვარულით შეგვიტკბობს ჩვენზედა გული ათქნელად.

ყაზასის ხანსა მოსწერა: ლუარსაბ მეფე მოკალო,
ან აქ გამომიგზავნე, ქართლი გალეწე ვით კალო,

მეფეს სხვა წიგნი მოსწერა: ეგ ხანი მალვით დაკალო;
შიშით დახეთქე უაზახნი, შეაქენ თრთოლა განჭალო.

მას ეგონა თუ, უაზახი ხერხით ამას აჯობებდა,
მოიგონის უცხო რამე, ლიქნით ასე გააკებდა,
მაგრამ მეფე არ გაება, ის რომ საფხეს მოუგებდა,
მეფემ მოკლა, გაუგზავნა, თავსა შუბზე აუგებდა.

თუ მე მაზრალებს ბაბისას ძველს რასმე დანაშავებსა,
ლუარსაბ მეფეს რათა კლავს პირად მზეს არ თუ შავებსა,
სვიმონ მეფემა მსახურა, ურუმებს სთხოვდა დავებსა;
ქართლი სულ ურუმთ ეჭირა, გაუყრის იმათ ფაშებსა.

ურუმთ ეჭირა ქართლი და ადრი, ბეყანი, შირვანი,
ასრე მათ ეპყრა ციხები, ვით შიგნით ბასრა, იქ ვანი,
უცილებლად და უომრად არ ვისგან ქონდათ მათ ვანი,
არიგებდიან მათ წესზე, მათი აქ სწერდა მდივანი.

ვინ არ მივიდის მათთანა, ყეენთან მივლენ მჩივანი:
დაიპყრეს ადგილს აქათ ერანელთ მოსაყივანი,
აქა-იქ იმალებოდეს, ამაოდ ვეღარ მყივანი,
ზოგნი, განერეს ივლტოდეს, შორს მყოფნი იყვნეს სვანნი

ეს როდის იყო, დედასა მცირე ყრმა ყონდა შააბას,
სვიმონ მეფესა უბრძანა: ტყვეს ხმალი უნდა შააბას.
ქართლს გამოგზავნა საომრად ურუმთ ულამის შააბას,
არას ნაღლობდენ სვიმონის, ბოლოს თუ ვინმე დააბას.

ბეგთუმმა თქვა: მეფეს სვიმონს შეუძლია გამებანი,
ამის მეტსა არვის ძალუძს, გურჯასლანის ბაძებანი,
კაცით ჰკადრა: შენ გაგიშვებ იქმენ ჩემი ძმა მებანი,
მრავალს მოგცემ, რა იქ მიხვალ, აღარ გინდა ჯართ მებანი.

სვიმონ მეფემან მესითვალს: საქმე ვჭქნა არ უკადრის:
გმსახურო, არ დამისწავლით, ეს თქვენი რა საკადრის?
ღვთის მადლით ქართლში ურჯულნი მოკლა, გავამო ადრის,
რაცა გმსახურო, მოგესმას, მოწმად მეყვეს თქვენი სადრის.

ძველი რამ ვიცი ამბავი, მე ვახტანგ გორგასლისა:
სპარსით მეფის ლაშქრით წაყოლა და სინდეთის მის მისვლისა,
მისგან გოლიათთ დახოცა და მერმე ვინ მოშლისა,
მასავით მიზამთ, მე ვიცი, მოდგმა გაქვსთ თქვენ ასლისა.

დიდმა ვახტანგ სინდით მეფისა გოლიათი ამოსწყვიტა,
ციხე ხელში გამოჴლო, მეფობისგანც გამოსწყვიტა,
მერმე უთხრა სინდთ მეფემა: ვახტანგ შენთვინ ავად ჭყვიდა,
მისი ხელი დაკამართა საქმესა იქს რას უკავე და.

ერთმა უკავმა ქორის ქუდა ნახა სადმე დავარდნილი,
მიიყვანა თავის ბუდეს, შემცდარია, ავარდნილი,
მოიზარდა, უკავმა ნახა ბახალებზე მივარდნილი,
დაუჭამა, ახლა დარჩა უგავო დრო შემოვარდნილი.

ბახალაები დაჭამა, გაშალა ბოლო მწვერვალი,
ახლა ყვავს გამოუგვარდა, მან თავს დადვა ესე ვალი.
რად მოუკლ ჩემზედ ამასა, გრძლად გქონდა აქათ სავალი,
მე გამათავა, აწ შენზე მოიცლის არ აქვს ზავალი.

მისი არ იყოს; მე ვიცი, ჯერ სამსახურსა დამაცდი,
ღვთით მე მგონია ქართლიდამ ურჯულთა ადრე გაგაცლი,
ჩემზედ მოიცლით მას უკან, ციხეებს მათგან რა დაგიცლი,
გამომიმეტებ ადვილად, წყალობა პატივს ამაცდი.

მათ უთხრეს ფიცი საშიში, და გამოგზავნეს ხლმიანი,
გამოისტუმრეს მებრძოლი, ყაიმათ ნამუსიანი,

მოვიდა, ბევრჯერ შეება და ურუმთ უყო ზიანი,
მუდამ მას გაემარჯვოდა, ბოლოდ ვერ არის სვიანი.

რაც ციხე ქონდათ, აილო, არც ერთი არ დაანება;
ურუმნი ქართლით განდევნა, ყეენისა ქნა მან ნება,
ქართლი იმათვე უშოვნა, თავის თავს უყო სავნება,
ძისი არაკი ლუარსაბს მეფეს არ მოეგონება.

გორი, ქალაქი, სამშვილდე, ალჯა, ყულა და მანისი
ურუმთ ეპყრა ერთ პირად, ვით ვარი, ანუ ანისი
სულ სვიმონ მეფემ აილო, რას გარდეკვიდა ან ისა!
მალე ჩაივლის მათ წანა, ნაქნარი ეს სვიმონისი.

მერმე ურუმთ დაიჭირეს მეფე სვიმონ ალყეთს ფარცხის,
ბევრჯელ ომი კარგა მოხნის, ხან დარჩის, რომ ვერ დაფარცხის,
სისხლსა ღვრიდა მტერთა მასთა და თავისა მას ჩამოსცხას,
ბოლო ამით გარდაუწყდა: წაიყვანეს სტამბოლს მარცხის.

ასე იყო ნამსახური პაპათა და თვითან თავათ:
მსახურებდა, აჰქებდა, არ ვის ახსოვს მაზე დავით,
არასოფერსა არ აწყენდა, მიყვებოდა, ვით სადავით,
მათ ბევრიც რამ კარგი გიყონ, ბოლოთ მოაქვს ისევ ავით.

ამას ნუ ბრძანებთ ნურავან —მე მისთვან რამე მეწყინოს,
უარი მეთქვას რისამე, ან წყენა მე დამერჩინოს,
მაგრამ ეს სწადდის საკუთარად, კახეთი მან დაარჩინოს,
ბაგრატიონნი გასწყვეტოს და არსად არ მოარჩინოს.

პირველ მივედ და მივართვი და მერმე მძაც იქ ჩავგბვარე:
რაც უმა მოხოვა, ყველა მივეც, იმას რამცა წამოვგბვარე,
მაგრამ ვერათ შევიჯერე, ვერაფერი მოვუგვარე,
თუმცა უფროს აგი მიყო, მაგრამ მეც რამ გავაჯავრე.

## კარი მეთექვსმეტე.

### პირველი შაჰაბაზ ყეენის კახეთს და ქართლს მოსვლა ორთავ მეფეთა კახთ-მეფისა თეიმურაზისა და ქართველთ მეფისა ლუარსაბისა იმერეთს გარდასვლა.

იწყო შაჰაბაზ ყეენმა, საქმენი ეშმაკეული:
აიწყო ჩემი მტერობა, ბოლომდის არ დალეული,
ქვეყანა ამომწყვიტა, თავადნი მუნ ბეკრეული,
არ გაძღა ჩემის სისხლის სმით, ვირემ არ მოკვდა წყეული.

შაჰაბაზ მოვა მოპარვით: ამბავი ვერ სცნან მოსვლისა:
სიტყვა რამ შემოეთვალა, იქამდინ სხვაგან წასვლისა,
გამწარდა საქმე სოფლისა, მზე მიდრკა ქედად დასვლისა,
გვილამის ბნელი დაფარვას, ჟამია ნათლის ჩასვლისა.

დაიწყო თხოვა შვილების, უფროსი ერთის დედის ერთსა,
მივეც ყველა, რაცა მთხოვა, არ დავრიდე ცოდვას მათსა,
დედა-შვილთა გაყრისათვის მარისხებდეს ცათა ღმერთსა,
გვანდა მაშინ კახეთშია ეგვიპტურსა რისხვას ათსა.

მაშინც არ იქნა, არ დასცხრა, ზღვა ქარით იმღვრებული;
ზირ-ცეცხლიანი, უწყალო, ვეშაპი განძვინებული,
მრავალჯერ გამარჯვებული, მტერზედან ალაღებული,
მომსვლელი ამომწყვეტელი, დამწველი, ცეცხლ-მოდებული.

აწ ესელა ვთქვა ამბავი, ვაი ამ დღისა მხსენესა!
რა დიდი მტერი ამვიდე, ბოლომდი არ მომხსენესა,
რაცა დანასკვა ჩემზედა, აროდეს არ გამხსნესა,
რომელიაც დამრჩეს, ჰკითხევდეთ, ამისა თქვენ მომხსენესა.

დედა მისმა ჩემთვის შობა იგ ეშმაკის ჩანასხამი,
უკუღმართი სისხლის მსმელი, გესლიანი ჩანასხამი,
ტახტზედ იჯდა სამესისხლოდ, არ ეხვია ჩანასხამი.
ტანს იცვემდა სასალუქს, სხვაგან ედვა ჩანასხამი.

სულ მოვიდა ერანითა, თურქთ, ლორით და არაბითა,
ნახირი თან მოიტანა ურმებით და არაბითა,
ღვინოს სვემდა სისხლად ჩემდა, თრიაქს სჭამდა არბითა,
ჩემი ცოდვა თქვენ გკიდია, ვინ მოუშვით არაბითა.

სპანი ბევრი უამრავნი ერანიდამ მან მოასხა,
ჩვილნი მოსრა ვით ეროდე, მოწიფულნი თან წაასხა,
მაჭმადისგან ჩანთხეული გესლი მაშინ წამოასხა,
ერთგულები დამიხოცა, ორგულთ ტყავი წამოასხა.

მოვიდა მძლავრი უწყალო, არათ არ შეიბრალებდა,
დამიწვა სულად გახეთი, სახმილს გამიალებდა,
ვერსად დაუდგა ციხემა, სიმაგრით თუმცა სალებდა,
მას ქურუმთაგან ნასწავლსა საქმესა მე მაბრალებდა.

შვილი ეთხოვნა მამეცო, გავზარდო შენებრ სათუთად,
სიტკბოდ და სიყვარულითა, არ მეყავდ, ვითა ხართუთად,
მოიწიფოს და მალე მოგცე, ასპარეზს შიგან საბურთად,
მესროდა მწარე სიტყვასა, წინ ვუჯე სროლად ვით ბუთად.

ვიცოდი არას ფერითა დაშლიდა აღარ მოსვლასა,
რაც ქნა ეს სწადდა საქნელად, ტყუოდა სხვაგან წასვლასა;
მაოხრებს შვილის მიცემას, ჩემთვის მზის შუქის დასვლასა,
შევხვეწნას დედის გაგზავნას, უთუოდ მის წინ მისვლასა.

მივაგებე დედა ჩემი, ალექსანდრე თან წაგვარა,
ცოტასო: არ მინდაო, დაუწყნი, რა მიგვარა,

აწ უფროსი უნდა მივსცე, საქმე ასე მომიგვარა,
ეს სწადიან ამამწყვიტოს, თავ-შვილიან გვარის-გვარა.

ეთქვა, თუ: ასე ცოტასა რას ვაქნევ, არ ვარ ძიძაო:
რაგავათ მე გაგიზარდო, ვითამ ყოფილვარ ბიძაო,
გულში სხვა უძე, ენითა მან ჭლაკვი გააქანძაო,
მწარესაც ტკბილად იტყოდა, ბადე მათ დამიხინძაო,

მეორე კაცი მოვიდა, მათის საფიცალს მტკიცითა:
ერთი ღმერთი და მეორე მაჰმად ფეღამბრად მტკიცითა:
აქაც მყოფი და ყოველგან ქვეყნათ, და კვალად ფიცითა
თუ ლევან მომცე, ეს მოგცე, ეს დამიჯერე ფიცითა.

დედა ჩემს შემოეთვალა, კვლავცა მინახავს ესეო:
წამოსვლა აგად კარჩიე, მოვიმკე დანათესეო,
უწინ რომ მაპატიკებდა, არ არის მის მოწესეო,
რას ჰქვიან ეგეც არ მომცე, თვით არის უკეთესეო.

ვიცოდი უსაცილობით, რაც იმას სწადდა საქნელად:
მასრულებს ამოსაწყვეტად, წყნარად და ასე ნელ ნელად.
მაშინ თამამად წახდენა, მას ჰქონდა გულ გასაძნელად,
ორთავე თვალთა სინათლე უნდა შემაქნას მე ბნელად.

ვუთხარ: კახნო დამეხსენით თქვენი რჩევა არ ივარგსა,
რა ამასაც გამომართვამს, ჩვენ გავასწორეთ ველარ ბარგსა,
შემოგვიტევს მასვე წამსა, სულ წამოსვლის მისსა დარგსა,
ლევანსა და ალექსანდრეს რად მივარგავთ ორსავ კარგსა.

გარდაიცვლეს თავსსაბელი, კახთ სულ ასე დაიწანეს,
ქვეყნისა და თავისათვის რად არ დასთმო თქვა ეს ვინეს?
რა მე კიდე უარი ვსთქვი, გამოჩენით მათ იწყინეს,
გამომართვეს, გაუგზავნეს, გაზაფხული მომიყვინეს.

ორი შვილი გამომართო, მერე მეც არ დამიბარა,
თუ მეც მასთან მივსულიყავ, ჩემ წილ აქლა დამიბარა,
რა არ მიველ, შემოვიდა, ბარი მთათ ყო მთა მიბარა,
სულ კახეთი ააოხრა, ვითა ბაგა დამიბარა.

დამიყენეს მეც ზოგზოგმა: თუ არ მიხვალ, თემი წახდა,
შიში ათქმევს უქნელ საქმეს, თორე ამას ვინ ვერ მიხვდა,
თუ მეც მასთან მივსულიყავ, კიდევ უფრო არ გაოხრდა,
აგვერია შიგნით საქმე, ღვთის რისხვითა ასე მოხდა.

მაშინდელი საქმეები არ იქმნება სულა წვრილად,
ასე ვამბობ სულ ნაკლულად, ვითამ იყოს რამე ჩრდილად,
წყრანა წყნარა მოგვახლოვდა, იგი სადმე სიტყვა რბილად,
ვირე მართლა არ მოვიდა, მოსვლა ჰქონდა ზოგს საცილად.

აწ ეგება ეს იქვონოს, მაშინ ვიჩას ვერ შევსძლებდი
თავს გავრჯიდი სასიკვდილოდ, ზოგს მის რასაც დავაკლებდი,
ქვეყანასა დანდობილსა არც სულ ისე ავავლებდი,
დაგვამშვიდა ტკბილის ენით, ჯებირს არსად არ ვავლებდი.

რა შევიტყვეთ მაღლა მოსვლა, სხვა ვეღარა გავაწყევით,
მუყეზნიდამ გაღმა მთამდის სულ ჯებირი წავავლევით,
გავჯებირეთ ორს მთას შუა, უკან რაზმი დავაწყევით,
რა შეიტყო მოგვაშურა, ვით შმაგი, მოვა წყევით.

ზოგი კიდევ მისვლას მირჩევს და ზოგ-ზოგი არჩევს შებმას,
რჯულისათვის სისხლის დაღვრას, და საომრად ხლმისა შებმას,
ასე მოაქვს რჩევაშია ერთმანეთის სიტყვის აბმას,
ომი ვეღარ გავუმართეთ, რა ლამოდეს ჩემს იქ დაბმას.

ვინც ან ღმერთი შეიყვარა, და არუ მე მიერდგულა,
წამამყვეს და წამოვედით, ჯებირს კარი დავეგულა;

ვინც იქ დარჩეს სიავკაცით მგონი ავაი განიგულა,
ამოსწყვდენ და დაცატყვევდეს, დარჩენ დამწვარ დადაგულა.

## კარი მეჩვიდმეტე.

ქალეთს ყეენისაგან ჯარის დახვედრება და მეფე თეიმურაზის გამარჯვება.

რა შეეტყო ჩვენი წასვლა, ჯარი ქალეთის გარდგვაგება,
მივედით და წინ დაგვიხვდენ, რაც მათ უნდა, არ ეგება,
მივახლოვდით, შემოგვებნეს, ჩვენიც წინა მიეგება,
დავამსხვრიეთ ზედ შუბები, მერმე მათიც მათ ეგება.

გაგვემარჯვა უზიანოთ, შევანანეთ წინ დახდომა,
წავიქციეთ წინ მეოტნი, ვაწყვებინეთ კლდეზე ხლდომა,
თუ კაცი მხნედ დაუხვდება, ისე იცის მაიმა ტომმა,
პირველ ესე გამემარჯვა, მახალისა ამა ომმა.

## კარი მეთვრამეტე.

შეყრა მეფე თეიმურაზისა და ლუარსაბისა მეხრანსა და რჩევა მათი.

გავლეთ ერწო და არაგვი, შევეყარეთ მუხრან მეფეს,
მომილოცა გამარჯვება მე, იმათის სისხლის მჩქეფეს,
მერმე მიითხრა სიცილითა; არ უჯობდა შენსა სეფეს,
ვარგს დროს დრო რამ ავი შეგვხვდა, ჩვენ ორთავე გარდით მკრეფეს.

მიბრძანა, თუ: როგორ დასხდი, მტარეს სტუმარს უცებ მოსულს;
პურადობას იჩემებდი, არ უწყერდი სტუმარსა სულს,

მხიარულად დახვდებოდი, აწ გეძებენ სხვაგან წასულს,
პურად კარგს და გულად უხვსა, ახლა გხედავ შენ დანასულს.

მოვახსენე: შენც გეწყევა, გაგიჩნდება, ვით დახვდები?
თუ შენ მაშინ ლხინს აჩვენებ, ჩემგან უფრო გაუკვდები,
ან გაიცდი თვალთა წინა, ანუ ხელში მოუხვდები,
ნუ დამცინი, შენმა მზემა, გავს რომ მარტო მე არ ვხდები.

შეგვექმნა იქაც რჩევა და ერთად რამ შეურილობანი,
გაგრძელდა რჩევა ქართული, სიტყვა და გაზირობანი,
ჩვენს ყმათა მასთან ყოფადა, ჩვენ მეფეთ მით შემცდრობანი,
უცოდნნი გვაბრალებდიან, გვიძრახეს მათ შემცდრობანი.

ქართველთა დიდებულთაგან უფროსი იმას ჰყოლოდა,
არაგვთ თავადნი და ქსნისა ერისთვებ კაამულოდა,
ანდუყაფარი, ფეშანგი, ალათანგც მას აჰყოლოდა,
ნოდარ და დავით გახი ჰყვა, მე ვინღა წამამყოლოდა.

მორავიდოდა ესერი, უწინვე მასთან წავიდენ:
ზემოთ ყმანი რომ გახსენე, ჩემგან გაჰზავნით წავიდნენ,
ვსთქვი: სიკვდილს ვერ ავცილდები, სისხლს ვადენ ანუ დავადენ,
ხორცი აქ მიწად გარდიქცეს, სულები ზეცას ავიდენ.

ვერც არა ერთათ გავაწყეთ, რადგან ეს სწადდა ღმერთსაო.
სხვაზე რაზედამც დავდექით, გაბრალებთ ერთი ერთსაო,
ველარცა ქართლში დავდექით და ველარც ქვე ერეთსაო,
ავიყარეთ და გიარეთ, მივმართეთ იმერეთსაო.

გარდავლეთ ლიხი, მივედით ადგილსა იმერელთასა,
გიორგი მეფე მობრძანდა, სამყოფსა წერეთელთასა,
წინ მოგვეგება, გვესალმა, საჩხერეს, ადგილს ველთასა,
გავაცადენით ზემო მხარს, მენ სახლსა გარგთა ქველთასა.

მიგვიპატიჟა ქუთაისს, მუნ ტახტსა, მეფეთ დგმულებსა,
გვიალერსებდა, ვით შვილსა, განაცვალებდა გულებსა,
შეწირვებისა სევდასა უკუ გვყრის იქ მისულებსა,
მასთანა მყოფნი მეფენი, ვგვანდით მართ უფლის წყლებსა.

## კარი მეცხრამეტე.

### შაჰაბაზ ყეენის გორს მოსვლა და მეფე გიორგისთან ელჩის გაგზავნა.

აწ შაჰაბაზიც თანვე მოგვყვა, მოვიდა, დადგა შიგ გორსა:
მეფეს დაუწყო ელჩით გზავნა: ნუ შეიხაზნავ შენს გორსა,
რაც გინდა ფიცით აღგითქვამ, თუ ხელად მომცემ მაგ ორსა,
მე დამიჯერე, ეგ გიჯობს, სამანით მოგცემ თვალ გორსა.

თუ არ მომცემ, უსაცილოთ, მთის ძირს მოვალ სომხეთსა,
კარგი თურმე არ გდომია, მაშ შეგებნეთ ერთმანეთსა,
სხვა რაზმი რომ აქავ იდგეს, წინა მოვა სავანეთსა,
მანდ კი ველარ დამიდგები, წაბრძანდები თუ სვანეთსა.

მეფეს ასმოდა მუნ მჯდომსა, ჯანდარს ქვეშ სდგმოდა სელია,
გაჰკვირვებოდა ამაზე, ელჩი რა მოსასვლელია,
გაცა ეფრინა: მობრძანდენ, დადიან გურიელია,
უამათოთ ელჩს არ შევყრი, მათცა სცნონ რა ურიელია.

მოვიდენ გეგუთს, ჩვენც სამნივ, მეფეწინცა მუნ ჩავედით,
გიორგი მეფე მაშინღა მდიდარი იყო სვებედით,
სხვა მისი მჯობი ხემწიფე, სიტყვით, თუ ვინ დაიუზედით,
ჯავრი კაცსა ჩამოჰკრევდა, ცეცხლს გვიდებდა ჩვენ აზედით.

მერმე ელჩი მოიყვანეს, ჩვენ რამ საქმე ეს მოგვიხდა,
მოახსენა რაც იცოდა, მას სიტყვის თქმა არ მოუხდა,

უბრძანა, თუ: კაცო, რა სთქვი, მეფეს აგრე ვინ მოუხდა,
ნუღარ იტყვი მაგ სიტყვასა, ჯავრით გული შემიწუხდა.

ვით მოხდება ეგე აგრე, ძმა და შვილი ადვილ გაჰსცე,
ლიხს იქითი საქართველო ავილო და პარქვე დავსცე,
ჩემ გორს მას ვინ დაანებებს, ან ეს ყმები შე ვით მივსცე,
ლხინი ანუ გახარება უამათოთ მე თავსა ვჰსცე.

არჩიეს... მეფემ დაასკვნა, თავის ელჩისა გაგზავნა,
ათხაზთა კათალიკოზი, ვინ ანგელოზსა ეგვანა,
სხვა აბაშიძე ლევანცა, თვით სიტყვით მას შეეგვანა,
დილა გათენდა, ელჩიცა მოიხმეს, სად დაევანა.

აბარებდა: «მოახსენე ხემწიფესა მას მაღალსა:
სამართალი მეფეთ ეს არს, ღვთულებ ვინ კაცს შეიწყალსა,
თუ რამ ამათ დააშავეს, ვხედავთ თავთა დანაბრალსა,
რისხვა დიდი გადახდით, გეხვეწები აწ წამალსა.

თვით იცი დიდო ქვეყნო ჩვენც მეფენი ვართ სვეფენი,
გვარი გვაქვს დავითიანი, მას მონდა ყოვლი მეფენი,
აწ უპატიოდ ნუ გამხდი, ხვეწნით ვარ შემომფეფენი,
უბოძე ორთავ თვის უხო, ჰქმენ მაგდენ სიიეფენი.

აწ ეს შეიძლვენ ფეშქაშად ხვეწნა და მუდარობანი,
შენ ბრძენო კარგა ისმინე, ეს ჩემი უშეცრებანი,
უხვად წყალობა მოჰფინე, ხმა ტკბილი ვითა ებანი,
პატივი დამდევ, წაბძანდი, ამათ ქნან მადლით რებანი».

დაიბარა ესე სიტყვა, ფეშქაშიცა გაუგზავნა,
ესე არის ჩემი ხვეწნა, ნუღარ არის ძალით თხოვნა,
სულ არც რბილი შეუთვალა, ნება ძალისა დაავგვანა,
ესეც ჰკადრა ბოლოს სიტყვად: არ იქნება ძალად შოვნა.

მერმე უთხრა, კათალიკოზს, ვის ჰწოდა მალაქია:
მიდი, სიტყვა გაუსინჯე, ბრძენი ხარ და მალაქია,
ამით ბაღსა ვარდი დარგე, მოგვესწრება მალაქია,
ჰკადრე: თუ კი არ უბოძებ, ოხრად გახდეს ქალაქია,

რა მივიდა, კარგა დახვდა კათალიკოზს და ელჩებსა:
აწ უშურე მას გძნეულსა, ვით მოიხმარს მის ხლათებსა,
უალერსებს ტკბილად რამე, სიტყვას ეტყვის საამებსა,
ძალის საქმე გადასწყვიტა, ხელს მიიყოფს ილათებსა.

მოახსენეს ელჩით მათი და თოთონ არის ამის მთქმელი:
ლუარსაბის სამდურავსა, კათალიკოზ, ნუ მოელი,
ჩემი არის თეიმურაზ, მკვლიდგანვე სისხლის მსმელი,
მამა მისმა ქალი მომცა და წამართო რად მეო ელი?

რადგან ორნივ აღარ მომცა, მაშ ლუარსაბს შემარიგოს,
თეიმურაზს ნუ აყვება, მეფემ ასე დაარიგოს,
ფიცი მივსცე საშინელი, გძლად რაც სიტყვა წა არიგოს,
ქართლიც მივსცე, სხვა წყალობაც, შევანატრო აწ არ იგოს.

აავსო საჩუქრებითა ბერი და ერი ორივე,
ჭოი ბოროტო მაცდურო, სიმართლეს ვითა ურევე,
გული დამკვრიმე საკვდავად, ლახვარი ესრეთ არივე,
ამხანაგსა და მოყვარეს რადა მერი, ხნით ვართ სწორივე.

ესენი გამოისტუმრა და აწ მიიხმო შადიმან,
ბარათას შვილი სუფრაჩი, უბრძანა: «მიგჩით შადი» მან,
მეფის სახელი ახსენა, ცრემლად ადინა შადიმან,
ეს რა ქნა ჩემა ლუარსაბ, აღარ მახსენა შადიმან.

უბრძანა: მისო გამზრდელო, რა უყავ ლუარსაბ ხანო:
რად აყოლეთ გახთ მეფეს პირ უტყოვ დასაძრახანო,

ჩემი სევგული მისი და, ჩემი გულისა საფხანო,
უბეებს მივსებს ცრემლითა სამუდმოდ, არ ხან-და-ხანო.

აწ ასეთ წაჰყევ ამ ფიცით, მაჰმადმცა მამათხრიათ,
ღორიმც მის საფლავს ჩამაკლავს და მის წილ ჩამიყრიათ,
ის სახემწიფოს წამართმევს და ჭკვაზე გადამრიათ,
სიტყვით ეს უთხრა, დაწერა, რაყამში განამრიო.

მალ მისვლასა აბარებდა სხვასაც მიჰსცეთ, ქართლს ვინც უჭერს,
პაპის მისის შვილის-შვილი, აჰყოლია რად ის ჩემს მტერს,
მას არ ახსოვს, სვიმონ მეფემ თუ რა უყო ურჩუმთა ერს,
არა ჯერა ამ საფიცარს, იმას მიჰსცემ, ვით ის დასწერს.

ერთი ხოჯა მუსაიბი, შანად ხმალი მურასობილა,
ამათ თანვე გამოგზავნა, ერთმანეთთან ამგზავრობდა,
არა გვანდა გაიავება, ბოლოდა ჩანარასობდა,
დამაც წიგნი მიუწერა, ვინ ყეენსა ბაასობდა.

რა ეგონა შადიმანს, თუ კაცი ცრემლს ტყვილად დაღვრის,
წამოვიდენ მხიარულად, თან სვლა იწყეს მათ წინამძღვრის,
გადმოვიდნენ იმერეთსა დამგდებელნი ქართლის სამძღვრის,
ბოლოდა სცნო ცრემლის წვეთა, ჯავრით თუ რე მან აამღვრის.

რა მოვიდენ, ეს ბრძანება მეფეებსა მოგვარტანეს,
ლუარსაბის შეწყნარებას სათუო არ დაატანეს,
მალ დაჰპირდა ესეც წასვლას, სხვა სიტყვა არ გაატანეს,
მეფე უშლის ასე მალზე, მათ ხელებიც წაატანეს.

არ დამალა იმან წასვლა მეფის თქმით და ჩემის ჭკვათა:
«ამ საფიცარს რად არ ვენდო, შევუშანდე ამას ვითა,
ანუ ქართლი ავაოხრო დახოცით და მერმე წვითა»,
მითხრა: წავალ უსაცილოთ, აბა თქვენ კი აქა სვითა.

ლუარსაბ მეფეს ადამის ერთი არ სჯობდა ნაყოფი,
თვალად და ტანად უცხო რამ, მართ მზისა გამონაყოფი,
უხვი, ზნესრული, მამაცი, ლახრულებ მტერთა ნაყოფი,
მაგრამ მას დაყინებაზე დაედგა მისი სამყოფი.

მეფე უშლიდა უცხოდ რამ, შვილებსა ამას არჩევდა,
მტერზედა ეხმარებოდა, მის წილად თავსა უსევდა,
თვით ლევან დადიანიცა წაუსვლელობას ურჩევდა,
და აძლია და მოყვრობა, მაგრამ ის კიდევ ურჩებდა.

რაღას უშველა ამ ამბის ვრცელად თქმა, გამოკიდება?
გული განფიცხდა, მაშინ ყო ნავთმა ცეცხლ გამოკიდება,
არ დაიშალა, ავად ქნა, ჩვენგან მან გამოკიდება,
გუთხარ: ჩემს ხმალსა უმისოთ აწ ვითა გამოკიდება.

რა ბრალია ბევრს კარგ შიგა მცირე ავი გაერიოს!
ანუ სჯული სიმტკიცესა, წვალება რამ შეერიოს,
ან რიტორად ლექსას მთქმელსა ზოგან სიტყვა აერიოს,
ზვაობა და ამაყობა სხვას სიკეთეს მოერიოს.

სიჩქარით კარგად ნაქნარი საქმე არ მოვა ბოლოსა,
ვინ აუჩქარდეს სავეელსა აკოლმდეს, აებოლოსა,
დაყინებისა მოყვასი დაემხოს, დაებოლოსა,
სჯობს ავის საქმის შემოცდა, კარგსა არ დაებრკოლოსა.

ზოგი სხვა რამ იმწვიტინა, მისგან იყო აწ ყეენი,
მეფე გვიჯდა შუაშია, არზეზე წამოაყენი,
ერთხან ქუდი მოიხადა, იქნა ამით მონაწყენი,
თქვა, თუ: არის ამხანავი, რა შემექნა ეს ყეენი.

მოვახსენე: თავის წინა არ სჯობს ეგრე გაიზიდო,
თუ სოფელი შენ არ მოგვყვეს, შენ გისმს მისგან მიიზიდო,

აქანამდი თუ მალობდი, ახლა ცოტათ დაიზიდო,
გულიც გქონდეს ფოლადისა, ზოგჯერ მშვილდებრ მოიზიდო.

რა მომხდარა მაგისთანა სათუოში თავი იგდო,
შენ წახდე და საბოლოოდ საძრახისი რამ დაიგდო,
დამიჯერე: ასე გიჯობს გულიდამე გარდაიგდო,
ადრე მტერი მოგიკვდება, ადრე შენ დრო შემოიგდო.

შახის შვილთ და უიზილბაშთა ამბავი თუ შენ არ იცი,
მე გიამბობ უკქლაკასა, რა გვარად სწამს იმათ ფიცი,
მაჭმად ასე დაუწესა იმათ ფიცი დანამტკიცი:
რითაც მტერი მოატყუო, ნუ უზოგავ და მე ვიცი.

ამას ბრძანებ: თუ არ მიხვალ, ქართლს კახეთებრ წაახდენენ?
შერის მისვლით რომ წახდება, თუ არ მიხვალ, არ მაგდენენ,
რა წამს მიხვალ, თან წაგიტანს, თვალთა ცრემლსა მოგადენენ,
ქრისტიანეთ მქმედ წილად მერმე ხანებს დაადგენენ.

თუ შენს მეტი საპატრონო ქართლს რამ უნდეს შენიანი,
ანუ ძმა და ანუ შვილი, გიყვარდეს შენიანი,
არ დაგიშლი, მაშინ წადი, სიტყვა მჭევრი ენიანი,
არა გვყავს რა თავის მეტი, სოფელია სენიანი.

მართ აგრევე მე გამხადა, რაცა მქონდა ხელთა მივე,
მაგრამ არათ არ დამინდო, რაზომ მისკენ მივიწივე,
დარჩომილვართ ორნივ მარტო და შენც მისკენ გაიწივე,
თუ ეს კარგა მოგივიდეს, მეც მომკვდარვარ და შენმივე.

აწ მეფემა დადიანი, გურიელიც თან იახლა,
მივიდენ და დაუმალეს, მის წინ იწყეს თავის დახლა,
ბევრჯერ უწინ მოგახსენეთ: «დაგვიჯერე მოდი ახლა,
ნუ წახვალ და მოგვიხმარე», მან მკვლივე განიახლა.

მან მადლი ჰკადრა მეფესა წესისებრ მას მართებული:
ღმერთმან ადიდოს ვით დიდ არს სვე თქვენი დოვლათებული,
ვით შენს სიკეთეს შეფერობს, ეგრეთ ხარ მზაზე მზებული,
მაგრამ რაღა ვქნა მას უგან, ქართლი უთ ცეცხლ-მოდებული.

კვლავც უთხრეს: ცუდი მიზეზი აიწყე დაყინებული:
შენს იქით ქართლის რას ხელსა ური, რა დარჩეს სახლ დაკსებული,
მიხვიდე, მოგკლას, ან ტყვეთ გყოს, შეიქნა დანაღვლებული,
ნუ წასვალ, ეს ჯობს, ხმალი ჰკრათ, გაკაძოთ კაგლახებული,

რას უშველა გმრად სიტყვის თქმამ, თუ კაცი არ კაიგონებს,
კაცი ბრძენი გულ მოჩნილი ერთის წოთნითა შეიგონებს,
დაყინებისა ეტლზე მჯდომი მასვე მისა წაიგონებს,
დასჯერდება მის რჩევასა, სხვას ადარას მოიგონებს.

დაშლა-ს სიტყვა არ ისმინა, ვერ დაჰყარეს დგომის დონე,
წამოვიდა, თან გამოჰყვა მეფე მისი წინ მომძღონე,
კვლავცა ჰკადრეს: არ გვისმინე შენის წასვლით დაგვაღონე,
რადგან წახვალ, გვემჩვენე, თავი კარგა მოაწონე.

გამოგვესალმა, წავიდა დაგვყარა ღვიძლ, დაკოდილნი:
იტყოდა კაცი ამასა: ერთათ ყოფილან დაზდილნი,
მზე გარდეფარა მაღალს მთას, ქვეყანამ შექმნა აჩრდილნი,
ესრეთ დაბნელდა ჩემთვის დღე, ბინდად მჩნდა დილა სადილნი.

მივიდა, გორს დგა ყეენი, შექნეს თურ შეყრის ცილება:
არ მივეგებო ცხენზედა, ვით შეჰქმნა ცივთა თბილება,
მივეგებო და არ ხამდეს, მით საქმე დაიჩრდილება,
ეს თურმე გამოარკვიეს, იქეს მათ მათი ზდილება.

დილას შევხვდეთ სამინდოროდ და მიზეზით ნადირობის
ისრე ცხენზე შევიყაროთ, ჯარი შეხვდენ ერთ პირობის,

განით სითმე მოვიყვანოთ, ვითამ ზედა მოგვესწრობის,
მიგებებად ჩამოგვართომს და სხვათა თქონ არაობის.

შეიყარა ამ წესითა, მიიჩნივა თავის სწორათ:
ერთხან ყველა გაუგონა, სიტყვა არ უთ მისი ორათ,
მუსაიბათ ლხინობდიან, არ დაისვის მისგან შორათ,
მაგრამ უნდა საბოლოოდ დასარჩობლად-დასაყორათ

დაუვეს ხანი გორს მცირედი ლხინთა და დიდის შვებით:
მგოსნებით და მოშაითით მწუხრი ქმნიან გათენებით,
ალერსით და ტკბილის სიტყვით, ფერობით და მისის ინებით,
რაც იამისამებდა, ხელს, უწყობდა მოსვენებით.

კაი თუ თავი შეგაწყინე, გმადლობ სიტყვისა მოხსენებით:
აიყარა გორიდამე, ესეც მიჭყავს ვითამ ნებით,
აწ შეიქნა მწუხარება, ბევრი ჯორი ცხროოსნებით,
უთხრა: ქალაქს დაგაგდებო მტერთა შენთა მოყივნებით.

ქალაქიდამეც წაიტანა ყარაიას სანადიროთ.
უთხრა: არ მით ვინადიროთ მნათობთ წინა თავი ვგმიროთ,
რაც ვისროლოთ ჩვენ ორთავე, კარგ სადავე მხეცსა ვგმიროთ,
ნუღარ მოვშლით ამ რჩევასა, ესე ასე დავაპიროთ.

აიყარნენ და წავიდნენ, მათ შექმნეს მინდორობანი:
გარ შემოერტყეს ველებსა, ნადირთა უტყვეს სწრობანი,
თვითონ შუაზე დაგარდენ, სროლით ქმნეს მკლავთა შრობანი,
ქალნი ციხიდამ აჭვრიტეს, ვინცა ქმნის ისრის სობანი.

მათ მოსლოდათ ჯოგი მრავლად და ესროლათ ქალთა ჭვრეტით,
უცხოთ თურმე მოიწონეს, შექნილიყვნენ ცნობა რეტით.
მიემგზავსა როსტენ მეფეს, ენადირა როს სპასპეტით,
იმ ერთის დღის მეფის მოკლულს დასთვლიდიან ოცზე კენტით.

ებრძანა, თუ: მეფევ გხედავ: ნანადირევს კარგ დამალით,
ამ მინდვრისა შენ შექცევა დაგავიწყოს ყარაბაღით,
იქამდიცა თან მიახელ, იქ ვისროლოთ კლა ნასაღით,
რა ეს ესმა — ჩემი სიტყვა მოაგონდა გულსა დაღით.

წაიყვანა, დაბრუნება აღარ მოხდა გამოშვებით
აწ აშრაფი, მაზანდარა უქო, ლხინად ისხდეს შვებით,
«ისიც ვნახოთ, ვინადიროთ, იქ ვისროლოთ კვლავ დაკებით»
ამან სულ თქმნა: მე არ მინდა, მაგრამ ვიცი არ მეშვებით.

ყარაბაღიდამც წატანა, გავიგონეთ დასტურობით;
ეთქვა: მივვირს იმერეთსა რა მიმძირდა მე სტუმრობით,
ღმერთმან იცის კარგა მითხრეს ზოგთ ჭკვითა და ზოგთ მოყვრობით,
მაგრამ, რა ვქნა წასვლის საქმეს, ახლა რითღა მივესწრობით.

მიიყვანა მაზანდარას, მან შეიტყო თვის სიკვდილი:
უთხრა ოთხე მისთა ყმათა: სიკეთესა ვით ვარ ზდილი,
მომიტირეთ ცოცხალივე, ვარე გიხნდესთ ჩემი ზრდილი,
გამიცუდდა ყოვლი კარგი და მალისა მე ქადილი.

დაჯდა, ყმათა მიუტირეს გამზრდელთა და ვინ ყვა ზდილი:
ყოვლთ ხელწიფეთ უმჯობესო, აღავისრულე ჩვენ წადილი,
უბინდოვ და მოწმენდილო, ვით ღამდება მოდან დილი,
ოდეს მოსრენ თათარხანი, ხელთ მახვილი ქონდა წვდილი.

ეტირათ ვითა მართებდათ, უქეს საქმესა საქმე:
მშვიდო, მდაბალო, მოწყალევ, კვლავ უჩნს გალევდა ბაქები;
ვინ შენი მჭვრეტი, ეტყოდა, მჭვრეტთა ჩუ მიხვალ აქ ები,
ყოვლის სიკეთის უკლებო, რაღა ვთქვა იქი აქები.

ეზიარა, გარდაწყვიტა, სიცოცხლისა მან იმედი,
ემდურა და დაყენებას, დაიწყევლა ჭკვა და ბედი,

ვინ მირჩიეთ აქ წამოსვლა, რა მწვე ავად დაიუბედი,
ყმათ გაყარეს, მზეც ჩავიდა და დაჩრდილა აქათ ქედი.
რაცა სწადდა, გაათავა, მტერობისა მანა დასო,
ხორცი ჩვენი მამღრივ ჭამა და ხარბადვე სისხლი ასო,
მაგრა ქართლის და კახეთშიგა საპატრონოდ ვერვინ დასო,
ემდუროდეს მას ქალები, ვით ნესტანჯარ მამიდასო.

## კარი მეოცე.

### ნოდარ ჯორჯაძისაგან და დავით ასლანის შვილისაგან მეფის თეიმურაზის კახეთსვე ჩაყვანა.

კახეთი ნოდარს და დავითს მან მიაბარა სულობით,
მაგრამ მათ მისი ბრძანება მალე გაუცუდეს წბილობით,
მესამეს თვეთა ორთავეთ მოგზავნეს კაცი ურილობით:
მობრძანდი შენსავ ტახტზედა, მონა ვართ გვარის შვილობით.
რა მოვიდენ მოციქულნი და ეს სიტყვა გაგვაგონეს,
ზოგთ შექქნათ სიხარული, ზოგთ იჭვი რამ მოიგონეს,
მაგრამ მე ვსთქვი, ჩემთა ყმათა: რად არ თავი დამამონეს,
აწ მეფესაც მოახსენეს, მათი თქმული მოაწონეს.
მეფემ ბრძანა: კარგა ქნილა, ამ ამბისა ასე მოსვლა:
მეცა თანა წამოგყვები, ადრე გვმართებს იქით ასვლა,
დადიანს და გურიელსა მალე ვაცნობოთ ჩვენი წასვლა,
ორთავ კაცი გავუგზავნეთ, არ ვაცალე მზისა დასვლა.
იგინიცა მალ მობრძანდენ, მათის ჯარით დაკაზმულნი,
თავს შეედვათ ჩვენი სიტყვა, ვერა ვნახეთ ხან დაზმულნი,

შეიყარნეს მუნ სიმრავლე დიდებულთა ხელთა სმულნი,
აღარ ვჭყონეთ წამოკედით, ვეღარ გვნახეს იქა სმულნი.

გადმოვიარეთ ღვისის მთა, ქართლი სიგრძეზე ჩავლევით,
მივისწრაფოდით მალე მისვლას, არ ხან ყოვნებით მალევით,
გაისმის ყოველგან მისვლის ხმა, მე მაშინ დავიმალევით,
იმ ხან ყოველი ორგული შიშითა მყონდა გალევით.

ფკით არაგვამდის თან მომყვეს მეფე და სხვა ბატონები,
იგინიც იქით გაბრუნდენ, მათ ჯვარი მონატანები,
არაგვს გამოველ, გამომყვა მამის საროტანები,
მითხრა თუ: მათზე მეტი ვქენ, მე არაგვს გამომყვანები.

რა კახეთს ჩაველ, დამიხვდა დამწვარი, ამტვერებული,
ვკვირობდი გუნებაშიგან: რად მექნა ამტერებული,
რაც მორჩომოდეს, მოვიდენ მტირალნი, დაშტერებული,
ვერას ვარგებდით, თორემა, ვიყვენით ვაგლახ ვებული.

რაც ხამდა მაშინ რიგება, ჩვენგან ქვეყნისა ჩვენისა,
გავარიგეთ და გათავდა, მუნ სამძიმარი წყენისა,
აწ არაგვისა ომზედა ხმარება გვიხამს ქნისა,
მრავალთ ყიზილბაშთ გაწყვეტა, სისხლი რუდ მანადენისა.

## კარი მეოცდაერთე.

მეფე თეიმურაზის კახეთს ჩასვლის ყეენისაგან გაგება, ალიყულიხანის და სულ ყიზილბაშის გამოგზავნა, მათი არაგვზე შებმა და თეიმერაზის გამარჯვება.

ესმა შაჰაბაზს მუნ ჩასვლა, გარისხდა უსამართლობით,
ალი ყულიხან მიახმო, დიდას არ თუ რე მოვრავლობათ:

მასვე მადლი, ადრე ხანად კიდევ მათზე გაგვივლინა,
აწ უფრო ქვეყანაზე მოსუღით, თუ როგორა გარდავლინა.

## კარი ოც-და-მეჩვიდმეტე.

მოურავის გაბრუნება ნოსტიიდამ — ლიხს ქალაქს და თათრებზე მისი გამარჯვება.

მოურავს ეთქვა: ცისისა თათრები ლიხს დამირბევენ,
ტყვეს წაასხმენ და სახლებსა ზოგს დასწვენ, ზოგს დააქცევენ,
არ უშველი საზოგადოს, თავსა, შვილსა დამიწყვეტენ,
მივალ, ვნახავ მინ ბაშები მეთოფეებსა რათ მისევენ.
მესამეს დღეს ნოსტიდამე ლიხს გაბრუნდა მიაშურა,
არ გიკვირს, რომ ამ დიდს ომსა ბრძოლისაგან არ დაშურა,
გარდახედა, ლიხს არბევდენ, ჯავრისაგან სისხლი უშურა,
რა დაგეჭირდეს სითვიცხე სჯობს, სიზანტესა, აჭ მაშურა.
დასოცა და გააქცივა, უკან სდია კვერემდისა:
რაც გიქნიათ, არ გეყოფისთ, მოვიდოდი ვირემდისა,
ასე თქვენ კით მიზაბუნეთ, კიდევ სული ამამდისა,
ყორჩიბაშმა გამაქცია, ციხის მცველნო თქვენ რა გრჯისა

## კარი ოც-და-მეთვრამეტე.

ყორჩიბაშისაგან გაგზავნა თორმეტი ათასი კაცისა ანდუყაფარ ამილახორის ცოლის არშიდამ გამოსაყვანად ზურაბის თანხმობით. მათი ქსანზე ჩამორება და გიორგისაგან მათი დამარცხება.

როს შეიტყო ანდუყაფარ, ცოლიც არშას დაუტყოებს,
ყუენასგან მოკლული იყო. იმით შეიტყო ეს,

ეს ლაშქარი მასზე უფრო გამოგზავნა, ისი ჭპოეს,
აწ დაუწყეს ლაპარაკი ზურაბს, მის ძმებს დაუყოეს.

შემოსთვალა უორჩიბაშმა, ზურაბსა და მისსა ძმებსა:
იცით შაჭაბაზ ყეენი, შეშურობილს ხანუმს ძმებსა,
თვით შვილისა შვილი არის, ურჩევნია თავის ძმებსა,
ეგ მომეცით, გავბრუნდები, თორე ვერ ვინ გამაძებსა.

ფიცსა მოგცემ: შენ მამულსა მე ვაწყინო არა რამე,
თქვენც აგრევე შემომფიცეთ, საფიცარი მოგცე რა მე,
ჩემს ლაშქარსა თქვენ მამულში არა ევნოს ქვეიდამე,
მერმე დიდს ჯარს გამოვგზავნი, გამოვიყვან ციხიდამე.

რა მოისმოდათ ეს ამბავი, ეთქვათ: კაი რჩევა არის:
მისცეს ამათ საფიცარი, თქვეს მგონ ფიცათ ესე კმარის,
ჩვენს მამულში არა ევნოს, მაგრამ მოის გზა არ არის,
მოის ქსანზე წამოვიდენ, შიში ნუ აქვთ ავისდარის.

გამოგზავნილთა არაგვი შეკრეს, მივიდენ არშასა,
გიორგი არჩევს სხვას თათბირს და ერიდება არშასა,
ისარს დაუწყებს სროლასა, თოფსა დაუძრავს მაშასა,
ხანებს დაუხოცს ყეენსა, ხონთქარს არც ერთსა ფაშასა.

მივიდა არშას ლაშქარი, გამოიყვანეს ხანუმი,
საგზალი არ შეატანეს, ხან მწვავი სჭამეს, ხან უმი,
ავს დღეს შეასწრო გიორგიმ ქალი გამდელი ხანუმი,
რა გამოსცილდა ლომისას, სმა არ ისმოდა სასუმი.

გამოსცილდენ ლომისასა, უკან მოყვა მათ გიორგი,
გამოიქცენ არ უყურეს, რაც მოსდევდა უკან ბარგი;
მოხოცდეს და მოსძახოდეს, წინ დამხდომნო აწ ივარგი,
ეს სახელი მე მიქნია ნუგზარისშვილს ჩემთვინ დარგი.

ეს ამად ქნეს, თუცა ფიცი გასტეხოდა ამათ არა,
მოსწყოდენ სხვის მამულში, დაემასსათ იმათ არა,
ყიზილბაშთ ჭკვა დაეცდინათ, არ ხლებოდა იმათ არა,
კარგა სჯობდა გაესინჯა, მოეხაზა, მოეთარა.

წინ დაუხვდა მოურავი და იესე ქსნის მპყრობელი;
ქაიხოსრო მუხრანისა, ბატონია ხლმის მსობელი,
ზურაბ ქველი მეომარი და დათუნა საქებელი,
წინ დაუხვდენ გამოქცეულთ, აწყვევისეს მათ მშობელი.

ჩაიყარეს ორთავ შუა, უკან მომყოლთ წინ დამხდომთა,
ყორჩიბაშს და ამ რჩევისას აგინებდეს ვერ მიმხდომთა,
ცოცხალს რაღა მოგვარჩენდა, არშას ციხის ჩვენ მიმხდომთა,
უფროს ხოცდეს მახვილითა, სხვას იქი აქ კლდეზე მხოტომთა.

წასვლის ღონე აღარ ქონდათ, მათ მოელოთ სულ ხელ-ფეხი:
გაურისხდათ შემოქმედი, მოეკლანათ რისხვით მეხი,
ვერარც სმასა ილებდიან, არ ისმოდა მათგან ჭესი,
ქარქაშიდამ მათს ისრებსა ართმენ, ჰქონდათ მათზე ჩესი.

წინ შეუკრეს ასე გზები, არსით ვარი გაელება,
იგინი დგეს უჩუმარად, ამათ ხმა არ შეელება.
სისხლთა მათთა მინადენთა, სამ დღეს ქასნი შეელება,
ცხენი მათი საჯურკელი, ამათ სასლში შეიღება.

## კარი ოც-და-მეცხრამეტე.

ყორჩიბაშის წასვლა და ბაგრატ მეფის, როსტომ მეფის ძმის-წულის, პატარა სიმონის ქალაქ ციხეში დასმა ქართლის საბატონოდ.

ამ საქმებითა გაბრუნდა, სვიმონ ხან ქალაქს დაგდო,

ქართველთ და კახთა დაჯერა მან ისევ ჩემზე მოაგდო,
ისევ დავიპყარ ორივე, სვიმონ ქვა ველარ ჩააგდო.

## კარი მეორმოცე.

### შაჰაბაზ ყეენის სიკვდილი და შასეფის ტახტზე დაჯდომა.

აწ გარდიცვალა შაჰაბაზ, ჯოჯოხეთის დაიმკვიდრებსა,
მისის მტერობის ზარის, სიკვდილი მოაუფდრებსა,
მას შვილის-შვილსა შასეფის, მის წილად ამიუდებსა,
ერთხან წყალობით მომხედა, ბოლოს კი გამიცუდებსა.

## კარი ორმოც-და-მეერთე.

ასე სჭირს საქართველოსას დიდებულთ გინა მცირეთა:
აზვავდებიან, იტყვიან: უჩემოთ ვინ იმღერეთა,
დაბალს კაცს არ ახსენებენ, ზრძანებენ: დამიჭირეთა,
კაცი სჯობს საქმე კეთილი, ანგაართ მოგულმგირესა.
ზურაბ და მიოშის შვილი, იყვნეს სიძე ცოლის ძმანი,
გაეზარდა მოურავსა, ყოფილიყო ვით მამანი,
აწ დაქიშპდენ უსაზომოთ, შუა დადვეს მათ სამანი,
აემტერნეს ერთმანეთსა, აღარ მისცეს წამს ამანი.
მოურავი უფროსობდა მაზედაც და ქართველთაზე,
თუ ეტყოდა, დასხდებოდენ, თორე იდგენ სულ ყველაზე,
ქვეშიგშიგა უწყებოდეს თავი თავს და სხვა შუაზე,
ვინც შესცოდის, ყველამ უთხრის: დაჰკარგეო და განაზე.
მე ზურაბსა მოურავმა დამამოყვრა, გამიერთა.
უთქვა: უბოძა ზურაბს ქალი, გაიგონეთ სულ ამ ერთა,

მოიყვანა, მუხლის მაკოცა და გამყარა იმიერთა,
მაშინდელსა იმათ საქმეს, სულ ვერ დავსწერ ცუდათ ორთა.

რას უშველა, გადავიდენ, მე ზურაბსა მიმიყენა:
სულ ქართველნი შემომმარცვა, ერთიც აღარ მომიყენა,
ზურაბს უთხრა: შენ წაბრძანდი, ამ სიტყვასა ნუ მიწყენა,
პირველ იგი გაისტუმრა და მეც უკან გამიყენა.

მე ეს მითხრა: ღმერთმან იცის, ქართლიც მოგეც, ჩემი თავიც,
მაგრამ რა ვქნა, არ განდომეს ჩემი თავი, მით ვარ ავიც,
მაგით თავსა ვერ მოვიკლავ, გულსა დანა როგორ დავიც,
თქვენც წაბრძანდი ზურაბთანა, იქაც მოვალ, მითქვამს, დავიც.

აღარ იყო, გაცლის მეტი ღონე სხვა რა მომეღონა:
გავეცალე ჯავრით სავსე, მისმა საქმემ დამაღონა,
მიველ დუშეთს ზურაბისას, იმანც თავი მომაწონა,
მითხარ: ნახავ სამწითვეო, მათ ყველაზე არ ამწონა.

## კარი ორმოც-და-მეორე.

მოურავისაგან იმერელთ მეფე გიორგის შვილის თხოვნა ქართლის საბატონოდ, და მეფე გიორგისაგან მამუკა ბოქოულთ ხუცის, ამილღაბარ აბაშიძისა და ზემო მხრის ლაშქრის მიცემა. და აგრეთვე ათაბაგ საფარ ფაშისაგან ლაშქრის მიშველება, და მოურავისას სულ ქართველთ ხლება გარდა ზურაბ ერისთვისა და იოთამ ამილახორისა.

მიხდომა მოურავისა და რაზმით შებმა ბაზალეთს.

აწ დაუწყო მეფეს თხოვნა, შვილს ქართლისა საბატონოდ,
აჰყვა მეფეც, დაიყოლა, ბრძანა, არ აქვს დასაღონოდ:

ათაბაგსაც ჯვარი სთხოვა, ქთამოც რასმე მოსწონოდ.
ორთავ მოსცეს მას ლაშქარი, ჩემად სამტროდ, არ საყოვნოდ.

მოვიდა, დუშეთს მოგვიხდა ქართველთ და სხვას ამ ჯარითა;
საკვდავად გამოგვიმეტა გალით სომარითა,
კუთხარ ზურაბს და ჩემსთ კახთა; «ერთ ომათ თქვენცა გმარითა,
მე ჩემი ქრისტე შემწედ მყავს, არ ვიბრძვი მეომარითა».

ზურაბ თქვა და ერთ პირა კახთა; ვიცით ღმერთი გვყავს მფარველად
ყმას ბატონზე გამარჯვოს, არა თქმულა ესე მკელად,
შენს წინ თავი სასიკვდილოდ, დაგვიც, იდვას მძორი კელად
ღმერთმა ქნას და სამართალმა, გაგემარჯვოს მოლანდელად».

ელიშამ თქვა: ღვთის მადლს გახსნო, ეცადეთ, რომ მას ვინ მოხვდეთ,
საქართველოს ის რაზე რქვს, სხვანი ასე როგორ წავხდეთ,
თუ ვინ მოსკლეთ მამაცურად, კარგა გმართებსთ, იმას დახკლეთ,
თუ ცოცხალი გარდგვიჩხება, კიდევ გაგვერჯვის, უნდა ვახდეთ.

თუმც არიან უმრავლესნი, აგერ დგანან ვითა ტყვრი,
ღვთის წინაშე სწორი არის, მავი ზღვა და ისეს, მქვრი,
ბევრს ხუვილსა მოერევა, ერთ ჟამს გალეწს ერთი ქვვრი,
ერთმან სძლიოს არეულსა, ორმან მოსრას ბევრის ბევრი.

რა მოვიდენ ბაზალეთსა, დაუკიდეს მათ ცეცხლები,
ავი დარი დასცემოდათ, დასუსოდა ზოგს ხელები,
დავინახეთ, ზე მივმართეთ, ჩვენ სახლებსა ნათბილები,
შეჭურვილთა მეომართა ცხენი გვყვანდა ფიცხელები.

მე მახლდნენ ქართლით ესენი, ზურაბ და ამილახვარი,
ხან წამოვიდის იოთამ, ხან დამრჩის მწვე ნამსახური,
ზნე კეთილი და საჭვრეტლად სულ კარგია უსახური,
ხან ჯარით მახლდა, ხან ასე, თუ შერჩის ორი მსახური.

მივედით ორ გნით, შეიქნა, შეტევა შეშტივილი,
ხმის ზაიზური არ იყო, მახილი არცა კიკილი,
დაუკოდელი ვერ მოვრჩით, იმ წამს არ იყო ტკივილი,
მაშინ თუ ვერ შევიტყევით, მერმე შეგვექნა ჩივილი.

მოურავს რა დავგენახე, შებრალოდა ჩემნი კახნი,
ჩემი ეთქვა: უღირსი ძმა ამოსწყვიტა მწიფვით მკვახნი,
თვითით ამათვე მუზარადნი დაუმსხვრიეს, ვითა კვახნი,
დახოცოს და ხელთ შეიპყრეს, ის წავიდა ცუდ მომკვახნი.

დაუდბეგ გოგორის შვილსა, მისი კურტაკი ჩაასცო,
თავის ცხენს შესვა თურჯაზე, უთხრა: კაი აბა კაცო,
ზოგი შუბით ჩამოაგდე, ზოგს ზურგზედა ლახტით სტკაცო,
ვინ მოგიხდეს, კარგა დახვდი, ვითა გმართებს შენ მამაცო.

პირველზედვე შემეყარა, ეს დაუდბეგ შუბ ხელთ მქონსა;
შუბი გჭკარით ერთმანეთსა, მარა ვერცერთს დაგვიმოჩსა,
მერმე სამკობიასიძე მოგანებით შუბს მოსწონსა,
მოვიდა და გვერდს შემოსცა, მას მორჩევის ჩემსა მგონსა.

ვეღარც იმან ჩამოაგდო, და ცოტადრე გადახარა,
აწყა, ზურაბ შემოსძახა, მოურავო სთქვი თუ ხარა,
შიშველს ჰარკალს ხმალი დაჭკრა, ასე მაგრა რად დგეხარა,
სულ მოკვეთა გარდაავდო, იცოცხლა-და მან გლახ არა.

მერმე შემხვდა აბაშიძე ღონენაი, ქვიშხეთელი:
თავი ფარში ჩამოყუო, მოეხარა ვითა თელი,
ფარის წკეპლსა შუბი მიკრა, მაგრა ვერ მქნა მიწის მიელი,
სამკლავეცა გამიტეხა, მკლავს დამკოდა მე ნათელი.

ედიშას თქმული გათავდა, ეპოვნა მოურავია:
გულსრულად თურმე მივიდა, მან ალასრულა დავია,

უმუზარადოთ რაზმის ომს, ვაჟკაცთაგანაც ავია,
ამან შუბი ჭკრა, მარამე მან კი გაუპო თავია.

რა ედიშა ჩამოეგდო, ადგა, უნდა მოეწვადა,
მან დაასწრო, თავსა დაკრა, ხმალი ძლივღა მოეწვადა,
შუა პირი მოახვედრა, არ თუ მჯიღი მოეწვადა,
ეს მოკლა და გარდიხვეწა გლახ გძლად წყლული არ გეწვადა.

ერთს ომს უფრო გასაჭირსა მართლა არსად დახდომივარ:
ჩემს ჯარშიგან დაუკოდი ძვირად მორჩა და არც მე ვარ,
გამემარჯვა ღვთის ძალითა, არ მოვკვეხდი სულ ომი ვარ,
ყმანი მყოფნდენ ნაომარნი, ვით ამირანს მისი სავარ.

მომილოცდეს იმერელნი, ქართველები, მერე მესხით:
შევუძახე: დიდებულნო რას საქმეზე თავს დამესხით,
რა საქნელი იყო თქვენგან, ჩემზე იმას თქვენ მოესხით,
ვბრძანე: მანდა ნულარ გიდგათ, ესე აქათ წამოასხით.

ხოხუა მაჭავარიანს, მიყურე, რა მოვაწიო,
ყურებს დავსჭრი შიგ ძირშიგან, ნუ ეჭვ ახლო დავიწიო,
შემეხვეწა: ნუ დამჭრით, ცოტა იქით მიიწიო,
რა დაჭრეს, შემომძახა: არ მეგონე გულ პილწიო.

მოურავი ველარ დადგა, აწყა ხონთქარს მიაშურა,
ვერ გარგა ქნა ორგულობა, ვერ ომიდა ვერ შაურა,
ხონთქარმა სცა მწვე პატივი და წყალობა არ უშურა,
ერთს თავს ვეზირს გარდაისად, მის წინ დგომით არვინ შურა.

ქაიხოსრო და იესე და სხვა ბევრი, ქართველები
თან გარდაყვნენ სააკაძეს, თავადები ძირ-ძველები,
იქიც ბევრი სახელი ქნა, მაგრამ თავს გარდავევლები,
იქ დახოცეს ქიშპობითა, ვეზირმა ქნა ეს ნავნები,

# კარი ორმოც-და-მეორე.

## ბატონისგან ზურაბის გაცლა და სვიმონ მეფესთან მისვლა.

რა ხანი წავლეთ ზურაბთან, დამიწყეს ჩხუბ-ჩამოგდება,
რად ვერ მიუხვდა, ეს მიკვირს, ცრუს კაცს თავისა აგდება.
სიძე იყო და შვილად მჩნდა, მახსოვს ქალისა დადება,
ადრე ამყოლი სიტყვისა მე აღარ მეიმედება.

გამეცალე კახეთს ჩაველ, ის სვიმონ ხანს მიუვიდა,
ფიცითა და თავსდებითა, ქალაქს ციხით გამოვიდა,
წამოუძღვა ზემო ქართლზე, თან აყვა და წამოვიდა,
თუ მე ზურაბ მიორგულა, რად ვერა ცნო, თავს მოსჭრიდა.

ცოტას ხანს სვიმონ ქართლითა ზურაბს ხელთ ჰქონდათ ამარად,
ესეც მოისწყინდა, ასე თქვა: აწ ეს მაქვს მე საომარად,
მამას უძახდა სვიმონხან და ფიცი არ იწამა რად,
მოკლა მან ჩემად უგრძნობლად, მიწა ძლივ მისცა სამარად.

თავი უფადარს მომწივა, ყეენთან წასვლის მდომელსა,
ვით გაგიშვებდი ხელითა, ვირ გხედავ სულთა-მდგომელსა,
ყეენთან წასვლას ესე სჯობს ქართლითგან შემომწყრომელსა,
ბოლო არ გაუთავდება ბატონის შვილის მჯდომელსა.

აღარ წაველ ყეენთანა, ისევ ქართლსა მოვუბრუნდი,
აწ სულ ერთპირ დავიჭირე, სომხითიან არ დავკჩმუნდი,
ხან სიმაღლეს ხან სიდაბლეს მიმცა ვინმე, ასე ვუნდი,
ორსავ კარგა ვიტვირთვიდი, არცერთს არას შევუდრონდი.

ამ დროს ვთქვი ლეილ მეჯნური, ზილიხან იოსებისა,
ქება, შვენება, სიტურფე, მიჯნურთა ცეცხლებრ დებისა,
გაჭრა მინდორად, ხელობა, გულთა ლახვრულად სობისა,
ტკბილად რამ აღმოვმეტყველე, ლექსები სხივ-შუქებისა.

გამოვაჩინე ნათქვამი მე ჩემის მუსიკობისა,
არ დაშვრა ენა მეტყველი, ტკბილად მათზედა მგობისა,
განმარტვითა ვთქვი ქართულად თქმული სპარსთ არაკობისა,
არ დამორჩილდა მეძავსა, იოსებ იეკობისა.

აღარა მყვა მტერი მოღმა, მოემარი შემომბმოდა:
დამმორჩილდა ყოვლი ურჩი, ყელსაბმელი ვითა მბოდა,
ყოვლგან ისმა ეს ამბავი და შეიქნა საამბოდა,
შვება იყო სამუდამო, ლხინ-ნობათი შეიმკოდა.

## კარი ორმოც-და-მესამე.

### ბატონის თეიმურაზის მონდომება ლეკის წუხეთის წახდენისა.

გამიწყრა ოდეს ყეენი, მოყვა წახეთის ვინა ზისა:
ალი ბეგ სახელდებული, პატრონი სარუბაშისა,
მისი მამინდა პასუხი, ჩვენება ჩემის რაზმისა,
მალ შეკანანე საკვდილით, მოყოლა შაჰაბაზისა.

ალონში ცხენი წამექცა, თავს მტვერი გარდავიყარე,
ძალიან დამცა მიწასა, მაჯები ამოვიყარე,
ველარ შევიძლე ლაშქრობა, ვერ წაველ, ვერ ავიყარე,
ზურაბ, კასნი და ქართველნი, მათსა ლაშქარზე წავყარე.

ქვლოთ, მისლოდენ სარუბაშს, მას შეუტყობრა მეოფარსა,
ასე შეპარვით მიუვლენ ძაღლებსა მათსა მეეფარსა,

ვეღარ გაუსწრებს წახეთსა გარ ჯებირს შემოიფარსა,
ქვეითათ შეუსდებიან აგლეჯენ ხმალსა და ფარსა.

ზურაბ ცხენით გარდაუხდა, შეუძახა სულ ლაშქართა:
გარდმოხედით ყველა ცხენით, ვინ ბძანებით აქა ხართა,
ვინლა მიხვალთ მეფესთანა, ან თავს ნახავთ განახართა,
ვძლევთ, ომითა, ვერ დაგგიდგმენ ხმალს მოწვდილთა დანაფართა.

ამ სარდლობით მალ აელო, ჯებირი და სხვა სიმაგრე,
თავი მოსჭრეს ალიბეგსა, შეუძახეს: იდევ აგრე,
რით გმართებდა, შექნილიყავ, მაჭაბაზის შენ მოსაგრე,
სარუბაშმა ვერ დაგვიდგა, წა ზასური გაამაგრე.

მოკიდენ, თავი მომართვეს და საშოვრის ფანჯიაკი,
ექნათ ბევრი საშოვარი, დაეცალათ ცხვართა ბაკი,
მომილოცეს, მივულოცე, თქვეს: გათავდა თქმული აკი,
აწ შეიქნა ნადიმობა, არ თუ ცუდი რამ ტაკტაკი.

## კარი ორმოც-და-მეხუთე.

### ზურაბ ერისთვის სიკვდილი.

ენის ძალი შენ გითქვამს და ცოტა მეც რამ მოგახსენო:
თუ კარგგვარად გაგასინჯო, მგონი ავად არ მახსენო,
ტკბილი ასპიტს მოამდორებს, მწარე ძირში გარდახსენო,
ავმა ენამ საქმე მიყო, ავი ღვთის მადლს ჩამამხსენო

ენას აქვს გესლი ბოროტი, უმწარე ასპიტისაგან,
თვით დამიცდია აგრევე, ვითა მასმია სხვისაგან,
წინსწარმეტყველი ასე თქვეს და მტკიცედ თვის და თვისაგან,
მათი მესმინა, მიჯობდა, ეწყართა აკსა ავთაგან.

ენა მლიქნელი გონებას მეუდრეკია, მშვიდად დებულსა,
გულსა გამსჭვალავს და ღვიძლსა დაალპობს, სიბრძნით ქებულსა,
ანაზდათ აღძრავს რისხვასა, შეიქს ცეცხლ-მოკიდებულსა,
აღდუღებს ნაღველს ცეცხლურებ, ცნობაზე ზედ მიწებულსა.

ყურსა ლახვრულად ეცემა, უმაგრეს გრდემლ ნაკრავისა:
თვალსა აამღვრევს წმინდასა, ხედევდეს ავს არავისა,
თმას აშლის ხელ-ფერხთ ფრჩხილებსა გასწვავს ცეცხლ-განაკრავისა,
შფოთს ააყოლებს, ვინც ისმენს, უმშვიდეს იყოს კრავისა,

თუ ვინ ჩავარდეს წყალსა და აღმოხდეს დაუსველებლად,
წიაღში მკვრელი ცეცხლისა, ვით დარჩეს დაუმწველებლად,
ან ბადეს ვინმა განერეს, აცდიდეს მოსადებელად,
ვინ ისმენ მლიქნელ ენასა; არ უნდა ცუდად სადებლად.

ვისაც არ უნდა აყოლა, სიტყვა ავისა ცუდისა,
ვით ნაკვერცხალი კალთასა, დაგეცეს შეშა უდისა,
ანაზდათ თუ არ გადაგდებ, ნატისუსალი უდისა,
აგრეთვე ენას თუ უსმენ, დაგრჩება, დაიბუდისა.

რათგან ეს ვიცი, რად ავჰყევ, ენას ავისა მზობულსა,
რჰილისა გაჰსალებელსა, ფოლადის დამაღნობელსა,
უცებთა შეუტყობარსა, ბრძენთაგანც ძვილ საცნობელსა,
ყელშიგან წამჭირებელსა, სახელსა დამარჩობელსა.

რას მიშველა, ვინანიდა, ღმერთის ვიაჯი მოტევებას:
მაგრამ ძნელად გაქრება ყმის პატრონზე აზვავებას,
ორივ ერთად შემეყარა, ამად ვერ ვიქ ჯავრთა ვსებას,
ავი ენა, ის ამაყი, ასე შემიქს მე დავებას.

სჯობდა თუ ორივ დამეთმო ღვთის წინ და ამ სოფლისადა,
ვიდრე ცოცხალვარ, ვინანი სამუდმოდ ცრემლი მდისადა,

რად მოვკალ ვით შემოვიკალ, შვილის უმჯობე ძმისადა,
ნამსახური და კვლავ სიძე, სიკეთე აქვს მოდგმისადა.

ღვთის მეშინის და კაცთაგან მრცხვენის ამისა მყოფელსა,
გული გამშმაგდეს და ხელი შემხმეს მის ლახვრის მყოფელსა,
სახელმწიფონი ოხრად მჩნდეს, რას ვაქნევ მე სამყოფელსა,
იმ სოფელს ნუ მკითხება, გადამხდეს ამავ სოფელსა.

ამისად უგმედ ამის თქმა ავია ამად გავუშო,
გვერდს მიჯდა, ვბძანე სიკვდილი, სისხლი მან ჩემს წინ გაუშო,
დედამ მისთანა თავადსა შვილი კლარვის-და უშო,
რადგან ის მოვკალ ამაყი, მართებს სისხლიცა ავუშო.

ამას ზეით ოსეთს მითქვამს, ამას ქვეით ვიტყვი რუსეთს,
სოფლისაგან არას მიკვირს, მოზალხესიც მავლენ მისრეთს,
კარგად მიყო, არ ვემდური, ასრე უნდა საქმეს ისრეთს,
კიდევ ღმერთი კარგად შეცვლის, მოწყალებით ისევ იღმერთს.

ნაღვლის რასმე საქარვებლად მე ეს საქმე ვიმეგობრე:
ქვეყანაა მშვიდრო რამე, სამესისხლო სამეკობრე,
ზოგთ ვაქებ და ზოგთ ვაძაგებ აგის საქმის მე დამგმობრე,
ასე ამან შემაქცია, აღარა რამ ვასაღმობრე.

## კარი ორმოც-და-მეექვსე.

### მეფე თეიმურაზისაგან ულუ კოსორს მიხდომა.

ამას უკან გავილაშქრე და მივუსე ულუ-კოსორს,
თუ ამირან გაზედევდა, არ უქნია ეს არც ნოსორს,
სამს დღეს შევლე დაღისტანი ოთხისაგან უფრო მოშორს,
რას ეწვ ამის შემმართველი, შევებმოდი დევალს ან ოსორს.

დავსწვდი, დავსტაკე, გოსცორი, უწინ არ ვისგან ქნილიყო:
თუ არ ისევე ჩემგანა, უთუოდ სხვისგან ძნელ იყო,
ნატყვევნავი და ალაფი მოის მეუხრანსა განიყო,
ვეღარ მემტერნეს მას აქეთ, მერმე მშვიდობა დამიწყო.

## კარი ორმოც-და-მეშვიდე.

### მეორედ არეზს აქითი მორბევა.

აწყა ჩავედ არეზს აქათ მოვაოხრე, მოვარბივე,
ორგული და ურჩი ჩემი, ვინც გამოჩნდა, დავაბივე,
ამ ორისავ ტახტის მჭერმა მეფეც მოყვრად მოვიბივე,
ურჩსა მივე არაფერი, ერთგულებსა ბევრი მივე.

დაუთხან იჯდა განჯასა, უნდილაძე ბეგლარ ბეგად,
წამოვიდა, მომივიდა თვით ჩემთანვე იყო მდეგად,
სულ ყაჯარი თან იახლა იორზედა დადგეს ბეგად,
მერმე კახნი თავს დაასხა, მოსასვრელად ვარდაგებად.

ყეენმა მიხოვა ბევრითა, წყალობა უსაზომითა:
დაწყნარდი, მომეც დაუთხან, გამეკ ჩემისა ომითა,
წყალობა გიყო უთავალი, არ სერხით მე მონდომითა,
ამად ვერა ვქენ, ვერ მივეც, რომ სმალზე მომენდომითა.

## კარი ორმოც-და-მერვე.

### სააკაძე როსტომხან სპასალარის გამოგზავნა ყეენ შასეფისაგან და როსტომ, ბატონის სვიმონის ძმის დავითისშვილის გამოტანება ქართლის გასაბატონებლად და კახეთის სალიმხანისა.

აწ საკაძე როსტომხან, ერანზე ასპასალარა,
გვკლავ დაუთხანის შვილსავე, მასც როსტომ ეთქვა სალარა,
ქართლიც მისცა და სხვაც ბევრი, საჭურჭლე მას ასალარა,
მოვიდნენ, თუმცა გამაგდეს, მოისვენებდა მალ არა.

რა მოვიდნენ, ბარათიანთ ფიცი სტეხეს, მიუვიდენ,
ქსნის დათუნა ერისთავი, ძმები თურმე შეთაბუნდენ,
ხმალი ვეღარ გავუმართე, ყმათ რა მიყვეს საქმე ესდენ,
მეც წაველ და ჩემნი კახნი იმერეთსვე გადმოვიდენ.

ქართლი როსტომ დაიჭირა და კახეთსა დასვეს სალიმ,
ჩემი ქრისტე ადრე მომრჯვეს, გაამაგროს ის ვერ ალიმ,
რა მივუხე, მოარჩინა ცხენმა მისმა, მუხლად მალიმ,
ისევ ფეხზე დამაყენა, გაბედვამ და ჩემა ძალიმ.

როსტომ მოკლა დათუნაი, თავი ყეენს გაუგზავნა,
შეუხდა ის საერისთოს, სხვათ ძმათ აღარ დაუგზავნა,
ზაალ, მისმა უმცროსმა ძმამ, გამოქცევით გამოგზავნა,
რომელიც რამ თანა ახლდა, იქივ დარჩა, დიდად ავნა.

გამოგზავნეს ჩემთან კაცი ფიცითა და თავდებითა:
ვირ ცოცხალ ვართ მანამდისი, ჩვენ ამ პირზე დავდგებითა,

არ გიტყუოთ არას საქმით, არას მიზეზ დადებითა,
არ სიცრუით, არა ტრულათ, არ იქი-აქ მოდებითა.

შემიჯერეს მე ფიცითა, წაველ მთისკენ ანანურსა,
დვალეთსზედა გადვიარე, რა გზა მქონდა სადაურსა,
მომეგებნენ მხიარულათ, აღარ ჟვანდეს დანამდურსა,
მერმე წვრილად მიასნობდენ, მუნ ამბავსა იქაურსა.

სალიმისა თქვეს მოსაზრუნს დგომა, სასახლის აგება,
კვლავ როსტომისა ტფილისსა, სამეფოთ სუფრის დაგება,
როსტომის გვმართებს მტერობა, სალიმ მალ გარდაეგება,
მაგრამ სალიმის გაგდება, ზოგთა თქვეს სჯობდეს ეგება.

არჩიეს, როსტომ ციხეს ზის, და სალიმ არის კახეთშია,
რა ეს მესმა გაჯავრებულს, ღომს ნადირზე მომემშია,
გარდვაუხე, გავისტუმრე, ფეხ-შიშველი უმაშია,
ჩემთა ყმათა წინ მიმასწრეს, პალური კრეს დუმაშია.

კახეთი იყო უკაცო კვერნაქიან და გალმართი,
ისრე მოგვეპურეს თათრები, ვით ისრაილთა წარმართი,
ანანურს ვიდექ სამს წელსა, ვიარე აღმართ დაღმართი,
მრავალი მტერი ამიტყდა, მართალი, არ უკუღმართი.

## კარი ორმოც-და-მეცხრე.

### მამუკა ოსია ყორჩის დავით ასლანის შვილისა და გარსევან ჭავჭავაძის გულბათის შვილის ანანურით სათოფეთ წასვლა და ლეკების დახდომა.

ანანურიდამ წავიდენ, გარსევან და მამუკაი:
თუმც მამუკა უმჯობეა, მაგრამ არის ისიც კაი,

თვითანც კაი მეთოფენი და იმათი საკაი,
აქათ ქსენი ჩავიდენ, მთიულს დახვდა ბაკაი.

რა მივიდენ სანადიროს, ორნი წავლენ ერთის მხარესა,
ლეკნი თურმე მზირად უსხდენ ორმოცი არე-მარესა,
ბუსუნი უშვეს, ჩაუსხდენ, შორით არ მოუარესა.
მათ ერთი ლეკი ხეზედ ყავთ, მათ ახლო ართუ შორესა.

ლეკი ნახეს ხეზე მყოფი, მისმა ნაჭვამ გააცინა,
ერთმანერთსა დაპატიჟეს, სროლა მისი სისხლთა მდინა,
თურმე გარისკვან ესროლა, მგონი კიდეც დაეცდინა,
რად ვერ მიხვდენ სხვათაც ყოფნას, კარგნი კაცნი რამ აცდინა.

რა თოფის ხმა გაიგონეს, მზირთ ფარული განაცხადეს,
ორნი დარჩენ მოდაბლებით, ლეკნი ზეით წამოაგეს.
გამორიდეს, უკან მოყვეს, ვინ დაეცა ველარ ადგეს,
აწ უყურე მამუკასა, ჭკუა როგორ გამოადგეს.

გარსკვანი თოფსა დაცლის, ფეხი წაუბრკა, დაეცა,
ერთი უძახის მეორეს: კა მაგას, დანა დაეცა!
მამუკა თოფსა აღირებს, არ ესვრის, ჭკუა მოეცა,
გიუნა ნატრობს მამუკას: ვხლებოდი ნეტაი მეცა!

მამუკასაც თუ ესროლა და მოეკლა მას ერთიცა,
მას მოკლევდენ უსაცილოდ, ჩაივლიდა იმათიცა,
კაცმა უნდა იმ დღეს ჭკუა მოიხმაროს და ღმერთიცა,
მოსულიყო სადგომს ეთქვა, დიდი რამე მას ფიცოიცა.

მამუკა ერთათ სიფიცხით, მერმე ჭკუითაც მოურჩა,
ესე სასირცხოთ დაიდვა: რასთვინ გარსკვან დაურჩა,
თქვა: მივდევ დაღისტანამდი, იმას ველარვინ დაურჩა,
სად მიიყვანენ, მივყვები, მე თეიმურაზ დამირჩა.

გავიდა გალმა სოფლებში, და[illegible]ო ფშავეთი, ართანა,
ვინ ჰპოვა, არვინ დააგდო, მან არ იახლა ართანა,
უკან გაუდგა გარსევანს ამხანაგს ნაომართანა,
იმტოლი კაცი იმ დროისა, მე აღარ მყონდა მასთანა.

ლაგოდეხსად წაეწივნენ, გარსევან ჰყავთ ხელ-შეკრული,
ნახა წინამ ყარაულმა, აუფეთქდა საწყალს გული,
მამუკამ თქვა: არ შესძახოთ, დაილევით ასე სული,
თორემ იმას იქ მომიკლენ, მეც დავრჩები დაკარგული.

შეეპარენ ტყის ბედითა, რა მივიდენ, შეუძახა:
თვითონ მივა ყველას წინა, სხვამ არავინ წაუძახა,
ხმლით დახოცა მან ლეკები, აღარ სულ თქმნა აღარ ახა,
გარსევანმაც ლეკ შეიპყრა, რა ქისენი დაინახა.

ზოგთა თქვეს, თუ ესე საქმე მამუკამა ვერ ქნა კარგა:
განა თუ არ მოსწეოდა, მასუკან რიღღა ევარგა,
შენ რას იტყვი? მეკი მომწონს, ჩემს წინ იმან კარგა დარგა,
ვაი საქმე წახდებოდა, თუ ლეკთ აქ არ დაებარგა.

რამდენჯერ ლეკთა შევებით, არ მახსოვს მე სათვალავი:
ან რაზმით, ან წინ დახდომით, ან მდევრად დასალალავი,
ვერ წაგვივიდის ჯარი და ვერც იქი აქა მმალავი,
უფროსიერთა უჩემოთ, ყმანი მყვა მათი მძალავი.

ნისიყის ნაცვალის ჯიმშიტას ხიხიყელთ არ მოურავსა:
ორჯერ ლეკთ რაზმის ომზედა, უყურე სისხლში მცურავსა,
დიალ სარდლობდა ჯიმშიტა, ომის ოფლს მოიწურავსა,
ორჯელვე გამარჯვებოდა, მას სიმხლდის არ მიმწურავსა.

## კარი ორმოც-და-მეათე.

### მეფე თეიმურაზის ანანურიდამ კახეთს ჩასვლა და შენობის ჩაგდება.

ჩავედით კახეთს ყველანი, ბატონ, თავადი, გლეხები,
რასაცა გავსწვდით, დავსასლდით, დავდგით ყოველგან სახლები,
არაგვისა და ქსანისა ერისთვებთანა ნახლები,
იყვნენ კახნი და ისინი ერთმანეთს მოყვრად მზახლები. .

ერთგნით ყეენის ლაშქარი, მებრძოდა არ ხან-და ხანდა,
დაუმადლებდა ჩემს წყენას, ასე სულთნები დახანდა,
მეორედ როსტომ ქართველნი, ვინ კარგი ან ვინ დახანდა,
მესამედ ლეკნი მტერობდეს, სამუდმოდ ვინც გამამხანდა.

მაგრამ კერათ შემაწუხეს, ჩემგან იმათ ეშინოდეს,
ვლაშქრობდი და ვნადირობდი; ლხინს ვჩახქვდი; მეშინოდეს,
მოვიდა თეიმურაზ, როსტომს კაცი მიურბოდეს,
ხან გორს ჯდის და ხან ქალაქსა, ციხეებში იწვე ლხინობდეს.

ქართველთა ჩემი ერჩია, მაგრა ყეენი მას ება;
არეზს აქათი ლაშქარი, ხან ნაცვლით ექეშიკება,
ციხეში იჯდა, ფთხილობდა, გამნელდა მისი გამება,
რა საქმე დაგვიანდება, სხვაც რამე დაეტმასნება.

ხან-და-ხან დაუზავდებოდი, ყეენს შევსძლინობდი ფეშქაშსა:
გამოგზავნიდი ხალათსა, შესაფერს მისა ზარქაშსა,
კვლავ რუსეთიდამც მოვიდის, ფლურით ავსებდენ ბარქაშსა,
როსტომ მეფესაც გავრიგდი, უხარის ჩემსა დამქაშსა.

## კარი ორმოც-და-მეთერთმეტე

### მეფე თეიმურაზის დიდოეთის მოსაქცევლად წასვლა.

დიდოთ ვხედევდი უღვთოთა, ყოველს წართმართთ ულჯულესსა,
ღვთისაგან განშორებულთა, ეშმაკთა მათ მესხვერპლესა,
ეფისკოპოზთა სწავლითა მათ მათი არ მოშალესა,
ვთქვი, თუ აწ ძალსაც ვუჩვენებ, უცებთა, ჭკუა მოკლესა.

ამად წავედ მათ წარმართზე, მინდოდა რომ მომექცია:
მერე თუ არ დაეჯერათ, ციხეები მომექცია,
ვაიმე მათგან კარგთა ყმათა სისხლი კლდეთა მომექცია,
მათ ასეთი საქმე მიყვეს, დასარჩობად მომექცია.

ძიველ ჩავუდეგ, სოფელსა, აიღეს ზოგი კოშკები,
ვუთხარ: არ მოხვალ რჯულზედა უკვდავად არ მოგეშვები,
მათ დაბალი თქვეს ერთხანად, შეზიდეს ნამუშაკები,
მერმე მოშიკლეს მამუკა, შეიქნა ყამი ავები.

მამუკა მოკლეს თოფითა, ისროდეს შხამიანებსა!
ისარსა მათებრ უკუდმა უცდურად დასანანებსა,
რუსთველი მირჩევს წამოსვლას, მე ვეტყვი უარებსა,
მან მითხრა: მეფევ ესე სჯობს, ამისგან უუარებსა.

არ დაუჯერე, ავად ვქენ, მაშინ წამოსვლა გვიჯობდა:
მოიხმეს ლეკიც მეშველად, მალ მოკლენ მოაბიჯობდა,
შეიქნა ომი სასტიკი, მათ ჯარი უუჯროსობდა,
საგორვით გამოგვაქციეს და ზოგნი ისარს გვასობდა.

ალავერდელი, რუსთველი, მოკლეს ორივ ჩემსა ახლო,
პაბუა აშრაპის შვილი, კაი ყმა მუდამ საახლო,

სულხან ბაზიერთ-ხუცესი, მობერკაცო, არ სასხლო,
მასთან ნათანელ მდივანი, არ ბრძენი ჭკუაზე მოთხლო.
რევაზ დაჭრეს სახლთ-უხუცესი, მე ცხენი ქვეშ გამომიკლეს,
კვლავ თამაზა ჯაყდანის მე, მათ იმატეს ჩვენთა იკლეს,
მე ცხენს შემსვა გიორგიმა, უკეთესა არ მეუხლ მოკლეს,
რათგან ბევრი მტერი მყონდა, რას ვებრძოდი ჭკუათ მოკლეს.
დარბაისელ ეპისკოპოზ, ამოწყვეტილი შინ მოკველ,
ისინი ხომ ღმერთს ვერ სცნობენ, ვით გაუმარჯვა სამოველ,
დიაღ დავსუსტი მას აქათ, ცოცხალი რაღა წამოველ,
სხვაც ბევრი მოკლეს მსახური, მგონი ერთს ეთქვა იოველ.
მამუკა ბოქაულთ ხუცეს, ხუმრობით ეთქვა იშიო!
იმ მაღლთა ვით შეურჩიეს, ლაწვს მცირეს განჭვსა წვრილშიო,
რევაზს ლოყას ჰკრეს ისარი და თამაზასა წვივშიო,
აგრე ისპანი ყოფილან, რად არა ქონდათ შიშიო.

## კარი ორმოც-და-მეთორმეტე

იოთამ ამილახორისა და ზაალ ერისთვის ხლება მეფის თეიმურაზისა, გაორგულება კათალიკოზი ევდემოზ დიასამიძისა, გოჩაშვილი გიორგისა და ნოდარ ციციშვილისა როსტომ მეფის წინაშე. ნოდარის უკუდგომა და როსტომ მეფის ნოდარზე გამარჯვება.

ამილახორი იოთამ და ზაალ მაშინც მე მახლდენ,
კათალიკოზი ევდემოზ და გოჩასშვილი გაახლდენ,
კვლავ ციცისშვილი ნოდარდა, სხვა ქართველები გაასხლდენ,
მიმიხმეს, დაშქრით რა წავედ, ჩემად მისვლამდი გაცუდდენ.

ნოდარ ფილეთს შეიყარა, ჩხეიძენიც მასთან იყვნენ,
როსტომს უთხრეს ესე ასე, ნოდარზე მალ წაიყვანნენ,
ნუ შევყურითო მივაშუროთ, თორე ბოლოს შეინანენ,
ვინ მუხრანსა პატრონობდი, ცუდ-მუდები მოიხმარნენ.

მივიდნენ ფილეთის ნოდარზე უცივად, შეუტყობრად:
მას ყარაული არ ყონდა, იყვნენ სულ ჭკვართა სახარად,
ჩხეიძეებმა რა ნახეს, ესენი მართ საშუბარად,
მოვიდნენ მოიქნივესცა, ზოგთა ჰკრეს მწვე გასამწარად.

მეც მუხრანს მიველ, მამასწრია, და გავემარჯვა ნოდარზედ,
ბეჟია დარჩა ორამს, მოურავის შვილს იმ ომზედ,
ოტია თვითონ ოტიას რატიასშვილს უკდა გვაზედ,
საციციანო კაცები, ცხენს სხდნან მათ კვიციანზედ.

## კარი ორმოც-და მეცამეტე.

### როსტომ მეფისგან ბაღდაროს დიდის ლაშქრით მისვლა.

ამ საქმემ გამათამამა, როსტომ წამოდგა საომრად:
ქართველთა მეფე ქართველით, ყონდა სანებიც თან ლაშქრად,
მე ბაზარს ვიყავ გაზაფხულს, სანადიროსა მათ შორად,
მათხრეს: მოვაო ლაშქარი, არ დავიჯერე ნაჭორად.

ქალაქიდამ გამოვიდა მოდიოდა მედასტურე,
მალ დავაგდე სანადირო, კარვები და სხვა სატურე,
შვილი ზეით გამოვგზავნე, მუზარადი არ დავხურე,
ლაშქრისათვინ შესაყრელად ვერ მომასწრეს, მათ უყურე.

მომაშორეს მათ საზაყსა, ეგონათ თუ მომისწრებდნენ,
მაგრამ კიდევ მე მავასწარ, ცოტას კაცით ასი ოდენ,

რა მე მიველ, იგინიცა კელმეჩურში რაზმს აწყობდენ,
სულ ჩიზიყელთაც ვერ მომისწრეს, რაზომ კაცი კაცზე რბოდენ.

მოვიდენ რაზმ დაწყობილნი, ჭოტორის გზით მაღაროს,
სულ ერთ გზაზედა მოაწვეს, ჯარი სხვას გზაზე არ აროს,
სცემენ ქოსსა და ზურნას ჰკვრენ, ჰგონებენ მათ სანაღაროს,
გაბრუნდებიან ასეთ გვარ, ამ გზაზე მოვლენ აღაროს.

შეიქნა სროლა ორგნითვე, უმცროგან უფრო ფიცხადე,
მოკლეს და დაჭრეს ჩვენგანთა, ბოდიში შენ მოიხადე,
ყაფლანს ჰკრეს ზუჩის სცხვირეს, ხმა გამოვიდა ჩახადე,
ჯაჭვმა დაუდგა სადგომსა, მიყავს და მალე ახადე.

ბოვნელსა ეფისკოპოზსა, ჰკითხე რად მოყვა ჩემზედა,
მე ქრისტიანი მეფე ვარ ის არის თათრის რჯულზედა,
თუ უსამართლო ბერია, ღმერთი გამივლენს მაზედა,
თოფი ჰკრეს, ორივ თვალები წააყრევინეს ქვაზედა.

ორი ქისიხელი კაცი მსახურები რომ იქ იყვნეს,
გონისა და მანგოს შვილი ერთათ მსროლი არ გაიყვნეს,
გლეხნი იყვნენ, მაგრამ მაშინ დარბაისლადაც კმარიყვნეს,
იმ დღეს იმდენს მეომართა, პირი მართ იმ ორთ დაუყვნეს.

გაბრუნდენ, ავად გაყარეს ბარგი და მაფრაშები.
იმდენთ ლაშქართა ცოტათი ღვთითა მე მალ შეყრებია,
ქართველნი ახლდენ, სხვა ხანნიც, აკლია თუ ფაშებია,
ნეტამც გეჭვრიტა ვინ მახლდენ, შენ ვისმე იქ დაებია.

ვეღარც ლაშქარმა მომისწრო და ვეღარც შვილმა თორემე,
თუ მათ მოესწრო ან აქა, შემყროდა გლეხი მორემე,
თვით ქალაქამდი მივდევდი, მაგრამ რა მექნა მორემე,
აქადამ გავაქცივე და ვეღარ მივდიე შორემე.

## კარი ორმოც-და-მეთოთხმეტე.

აქა კიდევ პასუხი რუსთველისა, რომელი მოახსენა მეფეს, თამარ-დედოფლისა და მეფედცა წოდებულისა; მის ქმის ნაქნარნი ომნი და მის დროთ საქართველოს დიდებულთ ნაქნარნი სახელნი, რომელი სწერია ცხოვრებასა შინა საქართველოსასა ვრცელად, აწ შემოკლებით ითქვა ლექსათ.

ხემწიფევ თქვენი ამბავი ვისმინე, რაც გამიხსენე,
მეც რას დროსა ვარ შემსწრობი, მიუურე. თქვენც მომიხსენე,
შეჭირვებისა საკვრელი ინებე აწ მოიხსენე,
თუ ტყუილი რამ გიამბო, მაგინე, ავად მახსენე.

მეფეო გვიკვირს ეგ ზომი თავს ღვაწლი აწამენითა,
ართუ გვენახოს მკლადაც, ამბად გართ მ ლ მოსმენითა,
მაგრამ მელექსეთ ჯობნება არა ვთქვა აწ ამ ენითა,
თვით მომკლა ამიავარო; სახლ, მარან აწამენითა.

არც მეფედ შევედარები და არცა ომსა სკლითა,
არც მალად, გულად, სიფიცხით, რომე ვგრა ხელსა ხელითა,
თუ მელექსეთა მედრები, ჩვენა გართ არ ერთ ხელითა,
მე რიტორი ვარ, მიჯნურნი შევამკე ხელი ხელითა.

ომნი მლიერნი ნაქნარნი, მიბმანე სახელოვანი,
ჭირნი, სარჯულთა მოთმენა, მართ მგზავსი იობიანი,
ხან დამდაბლება ბედისა, ხან ამაღლება სვიანი,
მეც რამ მოგართო პასუხი, მისმინე, გთქვა რამ ჭკვიანი.

როს თამარ დიდი ხელმწიფე სულ ხმელთა პირთსა ნათობდა,
სხვათა მნათობთა უმჯობე, მზესა მით ჰგამათოდა,
ბროლ-მისა ერთათ შეთხზნილი, გარშემ გიშერი სათოდა,
მძლევგელი შორეთ მეფეთა, დაამხობელი მათოდა.

იმხედრა უნეს მეფეთას; ალვირი იპყრა ძლიერად,
მან ტახტი ხელმწიფობისა შეამკო ხმად მის მიერად,
გაბრწყინვებული განშვენდა სფერო უღრუბლო აერად,
დაიპყრა შვიდივ სამეფო, ლიხ ამერითურთ იმერად.

თორმეტს წელიწადს სიბრძნით, სამეფოს გაარიგებდა,
ურჩსა შეიპყრობდა, ერთგულთა სჭე ბედით აამაღლებდა,
სარდლებს უჩენდა ლაშქართა, ერის ამილ სპასალარებდა,
მშვიდი მშვიდთ პატივს უპყრობდა, ამაყთა დაადაბლებდა.

მოქსთლო შვება სამოთხის, სურნელთა სასხელობანი,
მას მოეფუტკრა გარდისა, დაცვარულ მობუტკობანი,
მცენარეობა ეკავილთა, ასფადელ ნარგისობანი,
ივლიოს ველის შვენება, სიტურფე ჩამორფვებანი.

აჩინა ყოვლი მოხელე, მის მის პატივსა უპყრობდა.
წინ მდგომობისა პატივი, ვის ჭქონდა, ვინ წაუსწრობდა,
ამპარტავანთა ღრუბელი გაჰქარა, ველარ ავდრობდა,
აწცა ისმინე სამზღვარი, საით სათამდი იპყრობდა.

პონტოს ზღვით გურგენის ზღვამდი, სპერითგან დარუბანდამდის,
ყოვლი კავკასნი, იმერნი, ამერნი ხაზარეთამდის,
მთით გელაქუნით ჩრდილოთ კერძ, მპყრობელი სულ ყივჩაყამდის,
ვაისგაება მომირთე, უმისოდ სული ამომდის.

## კარი ორმოც-და მეხუთმეტე.

### პირველი ლაშქრობა თამარ მეფისა, ქვეყანასა კარისასა.

პირველ იომქრა ქვეყანას, კარის და კარნი ფოსლისა,
სულ მოარბია ერთ პირად, სამზღვრამდის ბასიანისა,
გამარჯვებულნი ნაშოვნი, მოვიდენ წინაშე მისა,
მაღლისა გულით მდაბლისა, მეფეს ღვთივ განბრძნობილისა.

## კარი ორმოც-და-მეექვსე.

### ომი კახას ძის გამრეკელისა.

ამის პირველად მოვიდენ ლაშქარი თურქთა ქვეყნისა,
მუნ ბეგრეულნი თათარნი გულაქუწელთა არნისა,
ქვეყანას პალაკაციოს ძაღლის ხევ წოდებულისა,
ზედან მიუხდა კახას ძე, სვითა მით ძალ ძლიერისა.

იქ გაემარჯვა გამრეკელს, მცირეთგან დიდნი იძლივნეს,
იოტეს ბანაკი მათი, მომცროთგან ბევრთა იძლივნეს,
მათ არმალანი მოიღეს, მეფეს წინ გამოაჩინეს,
სატურფალები ტურფასა თვით ნებით შემოაძლივნეს.

## კარი ორმოც-და-მეჩვიდმეტე.

თურქთა მოხდომა შავშეთს, და გუზან აბულის ძისგან შეყრა ტაოელნისა, კლარჯელისა, ბოცო, მესხი'ა და მისი გამარჯვება.

ამავ ჟამ შავშეთს მოკიდენ თურქნი' გამრისნი, შმაგნი,
კარელნიც თან მოიტანეს, მოარბიეს სულ კლარჯელნი,
აქაო გუზან აბულის ძემ, შეიყარა ტაოელნი,
კვლავ ბოცო და ბევრნი სხვანი მესხნი, ზედ მოესწრენ ომ შემძლენი.
თურქთ მარბიელ გაშობილთა შეებნენ და გაემარჯვა,
წარიქციეს წინ მეოტნი, რაღაც უნდა მოემარჯვა,
დააჳიწყეს მათ იმათი მოღმანდელი გზას დათარჯვა,
მოუღოცა თამარ მეფეს, გუზანს შაში მოეკლარჯვა.
მოიღეს კაცი მრავალი, ცხენითურთ მეფეს წინაშე.
მხარ დაკრულებისა, წარმართთა უნახე მათი თამაშე,
სლმით, შუბით, ისრით ვიბრძოდით, არა ვთქვით თოფი თამაშე.
ჩვენ ხარაჯაცა მოგვციან, თქვენ მტერიცა ვერ დამაშე.

## კარი ორმოც-და-მეთვრამეტე.

სადირ მხარ-გრძელის შვილთაგან ზაქარია და ივანესაგან დვინის ქვეყანას მიხდომა და გამარჯვება.

ამის შემდგომად მხარგრძელნი, ძენი სადირ და ვარამის,
ზაქარია და ივანე და სარგის მნასი ვარამის,

იომქრეს დვინის ქვეყანას, ქალი იშოვეს არამის,
ჯერ ეს მითქომს და სხვაცა ვთქვა, თქვენ გამხელას თქვი პარამის.
ალაფ-ალებულთ ეწივნეს უკან ლაშქარი მწვე მხნელი,
ხმა იყო ვეფხის საფიცხელ, რაც მათ მმათა ქნეს საქნელი,
სძლიეს მხარგძელთა მომწყვთა, მათ ხორცთა ექმნეს ამქნელი,
გამარჯვებულნი მოვიდეს, აქ თამარ დახვდა ნათელი.

## კარი ორმოც-და-მეცხრამეტე.

ბრძოლა ზემო საქართველოის ზემოთ შუანისა, შუათ ქვემთნისა, ქვემოთ, და ყოველგან ამათი გამარჯვება სვითა.

გამოსვლასა რასმე ხანისას ლაშქრობდეს ქვემო-ზემონი,
შუანიც ბევრჯელ იბრძოდეს, არ შეყრის ცუდად მომგონი,
სხვასაც ბევრს კიტყვი ომებსა, თუ კაცი ვპოე გამგონი,
მაშინ თუ ბრძანებულიყავ; მგონი რომ თქვენც დაემონი.

## კარი სამოცი.

რუსთ მეფის ძემ, რომელ იყო პირველ ქმარი თამარისა, იომქრა პართის ქვეყანასა, მოარბია და ციხე აიღო.

კვალად მეფემა რუსის ძემ სპათა ჯარისა მემყრელმან,
ბრძანებით თამარისათა, ქვეყნისა მაოხრებელმან,
მიმართა პართთა ქვეყანას, უყურე ამის მსმენელმან,
ამღებელმან ქალაქისა ვერ უდგნა სიმაგრე მხნელმან.
მუნ შიგან მყოფთა საუნჯეთ და ტყვეთა მოგვრის თამარსა,
სულსა ნათელსა ბრწყინვალეს, წინაშე მას მის სამარსა,

მას თაყვანს სცემდეს ვინ იპყრობს, ყოველსა მას ნაომარსა,
ქსრეთ სვე-ბედთა უკლები თქვიან, თუ საიდამ არსა?
ხან-და-ხან მოისვენებდეს, ლაშქრობისაგან საშვებად,
გარდავიდიან იმერეთს, გულთა ნაღვლისა მოშვებად,
ალჯდის ტახტზედა შუქითა, მზე ლომს მაისში აშვებად,
მოვლის ქვეყანა აფხაზთა, სიმაღლით დაბლა დაშვებად.

## კარი სამოც-და-პირველი.

### გელაქუნის მოოხრება თამარის ლაშქართაგან, . მათგან მოწევა და ამათგან გამარჯვება.

აწცა შეყარა დიდ ძალი, სიმრავლე სპათა მომართა,
გელაქუნისა ქვეყანას, მაგართა ძნელ-საომართა,
თურქმანთა მაჭმადიანთა, შიათთა, გინა ომართა,
მოსწყვიტეს მოიალაფეს, მან ასე საქმე მომართა.
ნატყვენავ-წამოღებულთა გვეწივნეს თურქმანობანი,
გელაქუნთ წინამძღოლელთა შეყარეს სულადობანი,
შამელთ დიდებულთ როსტოვ და იალღუზ სულტანობანი,
უჯობდათ არ მოგვწეოდენ, დაეთმოთ სულადობანი.
თამარის სპათა ლომ გულთა აღიმსთვეს, იმათ უბურეს,
ზედან მიუხდეს გისკასად, ჩაფხუტი იმათებურეს,
უსწრობდა ბერი ყრმასა და ყრმა ბერსა ვერქნა საბურეს,
პატრონი ყმასა, ყმა პატრონს, უფროსა მოსამსახურეს.
ამოსწყვიტეს და გაფანტეს მხნეთა ძლიერთა ლომებთა,
ცხენთა სიფიცხე წაუხდა, თურქმნისა მუხლად ძალებთა,
სხვა უმრავლესნი შეიპყრეს, ზურგით კერძ-ლახტით მალებთა,
მოკვდით მეფეს წინაშე, გვიქებდა ყმათა ძალებთა.

## კარი სამოც-და-მეორე.

ახთან გარგალის ძისაგან წვევა ლაშქრისა განძას და მთასა მასისისასა, დიდი ომის გარდახდა და გამარჯვება ჭვრეტითა თამარისათა.

კიდევ წაკედით წვეული ახთან გარგალის ძისათა,
განძას ზემოკერძ რახსისა, პარსა მთა მასისისათა,
მუნცა გადაგხვდა ჩვენ ომი ძლიერი მათ ლაშქრისათა,
იქ ისახელეს ბუმბერაზთ, ჭვრეტითა თამარისათა.

კარდან და ნამან ორთავე მათ უხუცესთა მსახურთა,
ორთავ მხარგრძელთა ძლიერთა, მეფეთა მათ ნამსახურთა,
სხვათ დიდებულთ და აზნაურთ, მოყმეთ კარგთ, არ უსახურთა,
გავაქციეთ და მივყევით, სახლ, საჭინიბო, ახურთა.

## კარი სამოც-და-მესამე.

ყოფა ექსორიისა და რუსთ მეფის ძის სტამბოლს გაგზავნა.

მიბამა ქმარმა კვასა, გაკარდა სამოთხისაგან,
შესცოდა მზესა მზეთასა, სიტყვითა სამოთხისაგან,
ეს სიტყვითა სცდა უცდომსა, ევა ნაყოფთა ხისაგან,
ჭკვათა მყოფელთა არ თქმულსა ნათქვამსა ჭკვა მოთსისაგან.

ექსორია ყვეს პატრიაქთ, ქვეყნით ერთ-სულა ქართველთა,
სიტკბო გამწარდა სოფლისა, ლხინთა ზედაზე წამრთველთა,
რაღა გვმართებდა მის მეტი, შვებაზე ჭირთა დამრთველთა,
განაძეს ქმარი სტამბოლსა, შემოდგომაზე თვე სთველთა.

## კარი სამოც-და-მეოთხე.

შემდეგ რუსთ მეფის ძისა თამარს შერთეს ოსთ მეფის ძე კაცი თავი და სრული სიკეთითა, განზრახვანი, გუზან შავშეთის პატრონისაგან, სამცხის სპასალარისაგან, ბოცო მისთ მოკიდებულთ მესხთა, ყვარყვარე ციხის ჯვარელისაგან, იმიერთა, დადიანთა, გურიელთა, აფხაზთა და სვანთა რუსის მოყვანა და შებმა დავითისა და ამერთა.

აწ იქმნა საქმე ბოროტი, უშჯერი მოუწონარი,
არ ღვთის მოყვარეთ საქნელი, მძიმეა მოუწონარი,
ამის მოქმედსა ეკალი თვალსა ჰკრა მოუწონარი,
აწცა თამარის ერთგულთა, შეკუმკო მოუწონარი.

გუზან განუდგა პატრონი შავშეთის, სულა კლარჯისა,
კვლავ სპასალარი სამცხისა ბოცო. არ გიკვირს, რა რჯისა!
სხვა მათი მოკიდულობა, ყვარყვარა ციხის ჯვარისა,
მათ უაუგოდ ორგულთა, ჯვარი ცხოველი კარჯისა.

წავიდეს გეგუთს შეკრიბეს, ლიხს იქით ვინ არს მეოფარი,
აფხაზი, სვანი, რაჭველი, სხვათ მთის კაცთ არ გამეოფარი,
აფიცეს რუსის სამეფოთ, რა ამის განაყოფარი.
გაგზავნეს რუსი, მოიხმეს, დაადგეს არ სამეოფარი.

მოვიდა რუსი, გავიდეს, გეგუთს შეჰყარეს ლაშქარი,
შემოიყარეს ყოველნი, დადიანიცა შაქარი,
იგინი იქით წამოდგეს, თამარ-ნათელიც აქ არი,
მალ წაუხდებათ რჩევისა, მინაქარ მათ მონაქარი,

ლიხი გადმოვლეს, მოვიდნენ, ქართლი დაწვეს, მოარბიეს,
არვინ დახვდათ მეომარი, ყოველგან ცხენი მათ არბიეს,
გარდიარეს რკინის ჯვარი და დაადგრეს ციხის ჯვარეს,
ოზრხე დაწვეს ქალაქიო, ურჩათა თქვან: დააბი ეს!

დაასკვნეს პირველ აღება ჯავახეთისა, თმოგვისა,
თრიალეთ ახალ ქალაქის, სომხითის მიწას მოგვისა,
ავად მოუათ ბოლო ყამს წვა ოხრობისა, დაგვისა,
მათ არ მართებდათ ღვთის მცნობთა ესე საქნელი მოგვისა.

მეფეა მშვიდი სიბრძნითა, ძნელი საქმისა შემმართი,
ორგულთა რისხვით მპყრობელი, ერთგული სიკეთის დამმართი,
უბრძანა ერთგულთ ამერთა: მალე წავლეთ აღმართ-დაღმართი,
იქავ ჯავახეთს შეებით, ბედი აქვთ მათ უკუღმართი.

კვლავცა მიიხმო, უბრძანა გამრეკელს ამილ სპასალარს,
მის ერთგულთ ორთავ მხარგრძელთა, საჭურჭლეებთა მათ ალარს,
მამაცობა პატრონთანა, იცით კაი მასალა არის,
პატრონისა ერთგულება ყმისათვინა დიდ წამალ არს.

დადვეს თავი პატრონისთვინ თამამად და უშიშარათ,
კარგსა კაცსა ერთგულობა წინა უძევს უშიშარათ,
ადრე დავსთმე თავი ჩემი, პატრონისთვინ მოსახმარათ.
მეცა მათი თან მხლებელი, ვერ ამიგო უშიშარათ,

აიღეს დროშა სვიანი, მაღალი გორგასლიანი,
მის სპათა ღმერთსა ვედრებდა თამარ ნათელი მზიანი,
«უფალმა ჩემმა მიჩვენოს, ყმანო ნუ თქვენი ზიანი,
გავლეთ, მივედით ჯავახეთს». თამარ თბილის დგა სვიანი.

ჩვენ იმედი გვაქვს სიმხნითა, მერმე თამარის სვისაგან,
შეიქნა ომი ფიცხელი იმერთა ამიერთაგან,

იყო სროლა და ყივილი აფხაზთა, მუნ მეგრელთაგან,
იმ დღეს სიღამემ გაგვყარა, ქვნეს იმათსა ჩვენთაგან.

ნახეს სიქველე ჩვენ კერძი, შეკრბეს იმ ღამეს, არჩიეს,
იქ ომი ველარ გაბედეს, მთას ასვლა გამოარჩიეს,
ტორნამად სახელ-დებულხა მიმართე, ჯარი არიეს,
ძლევა სიქველის მომჭირნეთ, თამარის მონათ მათ ძლიეს.

გავედით ხიდსა მტკვრისასა, მივყევით; დევნა ვუყევით,
ლიანის ველსა ვეწიეთ, შუბები ხორცთა ვუყავით,
ხინგარის წყალზე მიმწევთა ჩვენ ჯარი არ გავუყავით,
ერუშეთს და თმოგვსა შუა ყრიალი იყო მუყავით.

შეიქნა ომი კისკასი, ვით მართებთ იმერთ-ამერთას,
მგელ გოლიათგანც კმარიყო, რაც იქნა ომი წამერთას.
ქოითნი მწვეთა იბრძოდენ, ვინ მიმხდოდ იყო ისართას,
მეხეთქებდა ოროლი. ხმალი ხორცს სჭრიდა იმათას.

ომთა სიგრძესა მიეცა ძლევა ჩვენს ბუმბერაზებსა,
დახოცეს, დაიურნესცა, ტყვე ყოფდეს გულით ბრაზებსა,
ჩვენს არ ვის ევნო მის მეტსა, ივანე ცოტათ ივნებსა,
მოვედით გამარჯვებულნი წინაშე, ვის მზე იმჩებსა.

## კარი სამოც-და-მეხუთე.

ამავ გუზანისაგან შეყრა თორმეტი დროშა კაცისა, ქარელნისა და კოლას მისვლა, დახდომა ფანას კერტელი ზაქარიასი და გამარჯვება.

გუზან წარმწყმედმა თავისსა, ავს ავი მოუმატოსა,
აწ ამტანელმა კარისამ, ვაშლონის სახლის ტაოსსა,

ქვეყანა შარვმანისა დაწვა, სიბრიყვე აოსა,
რეგვენის კაცის წესია, საქმე ბოლომდის ავოსა.
  შეჰყარა დროშა თორმეტი, მოვიდა მთასა კოლისას,
მუნ დახვდა ფანას კერტელი, ბეტუკი ომს ზაქარიასას,
ცოტას ლაშქრითა ამან სძლო იმისას ჭკუა-მოკლისას,
ზოგი ხელთ დარჩა, იტყოდეს უფროსი-ერთის მოკვლისას.
  გამარჯვებაში ლაშქრისას სუფევდა თამარ ნათელი,
უმაღლეს ყოვლთა მეფეთა, არვისგან არ განათელი,
არვის უნახავს დავსილი მისის დროშისა სანთელი,
სვიანი გამდიდრებული, უტკივრად მყოფი, კვლავ მთელი.

## კარი სამოც-და-მეექვსე.

თამარს ძე მისცა ღმერთმან და მამის სახელი დასდვა გიორგი და ლაშა დაურთო ზედა, რომელი გამოითარგმნების ქვეყნის განმანათლებელად.

  მრეკელთ გამღებმან კარისამ, მამცემმა სათხოვარისა,
მომფენმან წყალობისამინ, თამარ პირ-ბაკმულ მთვარისა,
ძე მისცა დავითიანი მსგავსი მისისა გვარისა,
ცა ნათობდა და ქვეყანა ისარდა მოსაგვარისა.
  სიმრავლე ქველის საქმეთა არ ითქმის ასე ადვილად,
გლახაკთ სიმდიდრე მიეცა, აეშენეს ვინ ყვა პყრობილად,
ქვრივთ შეშრა ცრემლის ნაკადი, ობოლნი იქმნეს დაზრდილად,
ყრმა-წული სახელ-გიორგი ალვის ნორჩია ჯერ ჩვილად.
  ლაშაც დაერთო გიორგის, სახელის მოსამატებლად:
გამოითარგმნა სხვა ენით, ქვეყნისა განმანათლებლად,

საქართველოსად კმარიყო, უფრორე ასამაღლებლად,
სიმტკიცედ გამარჯვებულად, სხვათა სამზღვართა წამღებლად.
მოვიდა მოსალოცავი სულტანთა ათაბაგთაგან,
ბერძენთ მეფისა დიდისა და სპარსთა ამირათაგან,
კმა საყოფელი ნიჭნიდა ტურფანი მკელია განძთაგან,
ოქრო, მური და გუნდრუკი, ვით ასმოდა მოგვთაგან.

## კარი სამოც-და-მეშვიდე.

### ლაშას ბედზე გალაშქრება და გამარჯვება.

ლაშას ბედზედან ვილაშქრეთ და მოვარბიეთ ბარდავი,
ციხე-ქალაქი ავიღეთ, გამოგვითხოეს არ დავი,
ამდენს ლაშქრობას დავუხვდი, მოყმე ვგონივარ რად ავი,
გიორგის თავს შემოავლეს ტყვე ბევრი ჯავრის მდარდავი.
ამას შუა არც თუ ერთი გამოსულა ეს ვილაშქრეთ,
მსწრაფლ წავედით აზრუმსა და კარისაკენ თავნი ვარეთ,
მოქალაქეთ ციხის მცველთა ყოფა დიად გავუმწარეთ,
მას შიგნითი ანადოლი ჩვენად სამტროდ შემოვყარეთ.
პირველ დღის ცისკრისა ომსა ულხინა ყმამა მწუხრისა,
დილას მოვიდა ლაშქარი, ვნახეთ გარ მდგომი კარისა,
ცხენ-ქვეითისა რაზმები, ჩნდა სახე უამრავისა,
დაჰკრეს ბუკსა და დუმბულსა, ისმოდა ხმა საავისა.
რა ნახა დავით მეფემა, ლაშქართა, სპათა მისითამა,
დასტეხეს მგზავსად მუხისა, დაზვეჲოს მალნარი ვით მთამა,
რაც შორჩეს, ცასეს შეგვაისწრეს, იკივლეს ცოლმა მათთამა,
ავსო გზა და სახლები, ნაგლეჯმა მათთა თმათამა.

ვეღარც ციხემა დაგვიდგა, ავიღეთ-ავიალაფეთ,
ხმალ გადნაკრავა იძახდეს: ნუ მამკლავ, ხორცსა ნუ ამფეთ,
შერცხვენილნი, დაჩერწუულნი მათ ცოლთან გავათავლაფე,
გამარჯვებულნი მოვბრუნდით თამარის წინა საეფეთ.

ამა ჟამსა ერთსა შინა შევიყარეთ და განჰკედით,
გელაქურად ჩავიარეთ ხაჩიანი და ჩავკედით,
ქვეყანას უკარუკარისასა და ბალაუკნამდი წავკედით,
მომრბევნი, მოთარეშენი, გამარჯვებულნი მოვკედით.

ამოვლეთ კარი განძისა, შეიქნა შუღლი ძლიერი,
გალაჩამც გავაქცივენით, ჩვენ ღვთითა იმათი ერი,
საშოვრითა და ომითა არავინ დარჩა მშიერი,
მოვკედით მზესა მეფესთან, ვის ჰქვიან სხვა შარიერი.

## კარი სამოც-და-მერვე.

ზაქარია და ივანე ძეთა სარგის მხარგრძელისა წასვლა რახსის პირსა და მორბევა მისი. დახდომა სამეკობრედ წამოსულთა დივნელთა, ამბერდელთა და მაჯანელთა და გამარჯვება ივანე და ზაქარიასი.

კვალად ლორიდამ წავიდეს, ძენი ორნივე სარგისა,
ზაქარის და ივანეს არ მქონე მძიმის ბარგისა,
მათ ჰქონდათ ყოვლის სიკეთის სისავსე ბევრის დარგისა,
ღვთის წყალობა გაჰქს, ომის დღეს რამდენჯერ მათ ეკარგისა.

რახსის პირი მოარბიეს, წამოსულნი იყვნეს შინა,
დივნელნი და მაჯანელნი ამბერდელნი მუნ მაშინა,
სამეკობრედ წამოსულნი ქარავნისად დაეშინა,
რა ესენი შემოყროდეს, ამათ ნახვას შეეშინა.

უგრძნობელად შემოურდეს, მუნ იგინი ურთი ერთსა,
ვის მოწყალე მალს უბოძებს, მალე მორჩეს ათას ერთსა,
დიდ საქმესა ადვილად ჰყოფს და ხან გრძელსა წამი ერთსა,
ომი დიდი გადახდოდათ, გაემარჯვათ მერმე ღმერთსა.

## კარი სამოც-და-ცხრა.

ივანე მსახურთ-ხუცესისგან, დავით მეფის წვევა, გელაქუნს სპარსის ბოზორის ვორლა ქვეყანასა, მორბევა და აღება ტყვისა და პირუტყვისა შემგზავსებული ქვიშისა.

ივანე მსახურთ-ხუცესმა დავით სალაშქროდ აწვია,
გელაქუნს სპარსის ბოზორის გორლა ქვეყანას აწვია,
მორბევად-წარსატყვევნელად რქვა: გინდა კიდეც დაწვია.
წავიდა, სრულყო ნათქვამი, მუნ ჩემა სულმა რა მწვია.

აიღეს ტყვე, ცხენ, აქლემი, ძროხა, სიმრავლე ცხვარისა,
სიმრავლით შემგზავსებული, მდელოთა მგზავსი ქვიშისა,
მათ დედა-წულთა ვერ მშველნი მოსაგებ იყვნენ იმისა,
ქვეყანას ზარი დასტეხდა, მეხებრ მათისა შიშისა.

მივიდენ სპარსის ბოზორის მეიდანს შიგან სულტანის,
ხელი უყეს ასპარეზობას, თავით თავამდი გატანის,
ესე არ ვისგან ქნილიყო ცოცხალთა არც მკვდართ ჩატანის,
ეს ასე ქნეს და სხვა საქმე მასუკან მოამატანის.

## კარი სამოც-და-ათი.

### შარვაშესაგან ლომის ბოკვერის მორთმევა თამარ მეფის წინაშე.

შარვაშეს ოდეს ბოკვერი გამოეგზავნა ლომისა,
დიდი შეიქნა ხარება, არმაღნად მოსანდომისა,
ივლისის თვესა მოართვეს ლომი მზეს სამისო მისა,
ესრეთ დამონდა ვით კანბობ, არ ბდღვინვით მდომი ომისა.
მოაუკანინსის დარბაზსა, საქმისა მოცალებამან,
ჩაუდვის თავი უბესა, არ ბჭალიით დასალებამან,
ჩვენ გაგვაკვირვა ესრეთმა ლომისა მოდედლებამან,
რა გამოურიდეს, ატირის გაურისა იძულებამან.
ძლივ იპყრობდეს ძალის საქმით, იქით აქათ კის ეჭირა,
მეის მივიდის მოშიშარად ლოშჩად მისა კთქვა მეტიჩა,
რა მოშორდის, ცრემლსა სჩქეფდა, უნდოდა რომ ჩვენც გვეტირა.
ლომიც ასე დაემონა, ჩავაგდო ქალაქ პეტირა.
ძველად სასწაულთ მოქმედთა ექნათ, იმათგანც კმარიყო,
არ მისწვდა მისი სახელი, ასეთი თემი სად იყო,
ლაშქრის სიმრავლე, სიმდიდრე კმარა, თუ ზღვასა არ იყო,
ორთავ კიდეთა იპყრობდა, თუ ადრე არ მომკვდარიყო.

## კარი სამოც-და-თერთმეტი,

მოსვლა ერანის მპყრობელისა ბობქარისა შირვანს შარვაშე აღსართან და გამოგდება მისი თამარ მეფის ლაშქარის მიშველება და შარვაშეს გამარჯვება.

ამავ ჟამს სულ ერანისა მპყრობელი ამირა ბუბქარ,
აღსართან შარვაშიანსა შემოუთვალა მან მუქარ,
მოუხდა შირვანს, წაართო დიდი ახლდა მას ლაშქარ,
ვერას ავნებდა შარვაშე, გარდმოხვეწოდა თუ აქარ.

მოვიდა, შამოეხვეწა თამარს და მეფე დავითსა,
მათ შეიწყალეს, ვით ხამდა, უპყრეს პატივი მის ვითსა,
მისცეს ბორჯალი ლაშქრისა, იმედი ქონდათ მათ ღვთისა,
ილაშქრეს, კითხვა არ იყო ჟამთ მჩხრეკთა მოსაათისა.

სულ საქართველო აწვიეს, შიკრიკი გაუფრინესა,
ლაშქარი იხმეს ყოველგნით, ხასწრაფოთ მოაწვივნესა,
რა ხელი ჰქონდა მაცდურსა, ბობქარს, ვინ ის და ვინ ესა?
ვირე შემოკრბა ლაშქარი, არც ერთს დღეს მოაწყინესა.

აცნობეს ბობქარს ნახჭევნელთ, მანც მოაწვია სპარსეთი,
ბაღდადელისა სალიფას, ლაშქარიც დასდა დასეთი,
წავა ქართველნი დავითით ვით ისრაელი მოსეთი,
ჯაბანს კაცს შიშთ გახეთქდა, ომი მუნ ვნახე ასეთი.

შეკრბეს წინაშე თამარის ყოველნი მისნი ვაზირნი,
სარდალნი, ერისთავები, სპანი ლომგულნი და გმირნი,
ამილ სპასალარის უწინ თქმის ზაქარიასა შემჭირნი,
არჩიეს, წასვლა მიმართეს, სხვის არას არ დანაპირნი,

ითხოვეს სიტყუა და ლოცვა გამარჯვებისა, ძლევისა,
პირისა მისგან ბრძენისა, ტომ დავითისა, ლევისა,
წარმძღვანებელი ჯვარისა ცხოველს მყოფელის ძელისა,
კვლავ დროშა გორგასლიანი, ბანკრატიონთა ძველისა.

წასრულთა დაიბანაკეს, წყალზედა ქლეკეცისას,
მუნით ვიარეთ, მივედით, სიახლედ სახლ შანქორისას,
თვესა ივლისსა ხუთშაბათს თენებას პარასკევისას,
რომელსა შინა ქრისტე ჭყოფს ძლევას ორთავის გველისას.

რა ცნა მეფემ და მისთა სპათ მოსვლა ბობქარის ახლოსა,
გაკვირდენ წინ მოგებებას, სირეგვნეს მის საახლოსა,
გამხიარულდენ მტერასას მალ პოვნას არმის სახლოსა,
სიმრავლემ ლაშქრის სიმდიდრემ მტერსა არა რამ ზახლოსა.

ერთათ თურ ექნა აქ მოსვლა, ლაშქრისა სიმრავლისაგან,
მეორედ ხევის შეზღუდვით ძალისა სიმაგრისაგან,
რა დაემართოს, ისმინე, რეგვენსა აქ მოსვლისაგან,
მეფის დავითის სიხნით და სპათა მისთ ლომგულისაგან.

მაშინ აღჭურნა მეფემა, შეჯდა ზერდაქსა განთქმულსა,
ომი იხადა ძლიერი, მათ ბობქარს შეიქს დანთქმულსა,
გმირთაგანა სამიანთა ძველითგანა ამბად თქმულსა,
ჩვენ გავაახლებით, ვიშოვნით საჯილდოოსა მამულსა.

მოახსენებდეს ერთი ერთს სიმხნეს გამარჯვებულობას,
ძველთა მამათ და პაპათას, მეფეთა მათ ერთგულობას,
მოწამეთ ღვაწლის თავსა სხმას, ტანჯვასა, დადაგულობას,
ქრისტესად გვიჯობს სიკვდილი, ამაოს აქ სულდგმულობას.

სპასპეტნი სპათა ეტყოდეს, თავთავის თავის დამდებნი:
ამხედრდით ბრძოლის ეტლზედა, მათზედან ცეცელებრ მომდებნი,

ისტროხ ქებისა შემსხმელთა წარვმატოთ ჩვენი საქებნი,
ხელი ხმალს მივსცეთ, სული ღმერთს, ვართ სხვას ნუღარას მომდებნი.

მაშინღა დაჰკრეს სპერიმურს, შეიქნა რაზმ-წყობილობა,
წინ ბრძოლა ერთმანეთისა შეტევა, მუნ სირბილობა,
სასტიკი ომი ფიცხელი, მოყსობა არ ძმობილობა,
თავს ლაფი უნდა დაისხას იმ დღეს, ვის ჰქონდეს რბილობა.

გაგრძელდა ომი, ცხენები ბევრს კარგს მებრძოლსა მოუკლეს,
მაგრამ იბრძოდეს თამამად, ქვეითობითა არ უგდეს,
ზაქარიამ და ივანემ მხარგძელთა გზა შეიმოკლეს,
მიმართეს ფრთოსან ვეფხვივით, ნავარდი არ შემოუკლეს.

ცოტაღა აკლდა ჩვენს რაზმსა დიდას გაჭირებისაგნ,
გამობრუნება სირცხვილსა აგართა ერთ სიბევრისგან,
ვნახეთ იგინი მოსული, იმხან დავდექით ჩვენ მისგან,
ომი იხადეს ძლიერი, ხმა იყო ლომთა ლომისგან.

მეფეც მოვიდა რაზმითა და დროშა გორგასალისა,
სინდეთს ნაშოვნი ვახტანგის, შემკული ძვირ-მასალისა,
იყივლა ხმითა მაღლითა, ვით გული ქონდა სალისა,
გაიქცენ მაჰმადიანნი, რა სიცხე ეცა ალისა.

ის არი სმიდა სისხლსა და ხმალი შესჭამდა მათ ხორცსა,
მიზდევდეს ალალებულნი, ქართველნი თათრებსა ხოცსა,
ერთი იპყრობდა ათსა და ორი ცამეტსა და ოცსა,
მისთანა გამარჯვებასა, სიზმრადაც ვერვინ იოცსა.

მისწვდა ერთის მხრის მდევარი, კერძო განძისა შუამდი,
მეორეს რაზმის წინანი, მთა მაღალ გელაქუნამდი,
იპყრობდეს, ჰხოცდეს მცემელნი, ტანს მათსა სისხლის ბანამდი,
ამაღლდა მეფის სახელი, ამ ომით სვე სვიანამდი.

დროშა იშოვნეს ხალიფას ლაზოდრე გამოგზავნილი,
სამი ქალაქი ავიღეთ სამივ დაგვხვდა კარ გახსნილი,
ლარ სალარონი, საჭურჭლე, ვნახეთ ნაბეჭდი არ ხსნილი,
ეტლი თამარის ბედისა, სიკეთეზეა ახსნილი.

დაიბინავეს იმ ღამეს, სად ბობქარ ლაშქრით მდგარიყო,
იდვა სიბევრე ჭურჭელთა, თითქმის სიმრავლით არ იყო,
ჩვენი მებრძოლი ჩვენზედა თამამად არსად არ იყო,
შენ კარგადა ხარ, ის ომი ერთ გამარჯვებად გმარიყო.

გენძას მივიდა, ქალაქის შიგ მყოფნი გამოეგებნეს,
დიდებულთა და ვაჭართა სხვა ღონე ვერ მოიძებნეს,
თაყვანი სცეს და დალოცეს, თავს ოქრო გადააყარნეს,
ქება შეასხეს მეფესა, ვით მაშინ ივნიბიანეს.

ცრემლით მოქენეთ შევედრეს თავი და მათიანობა,
უფინეს სტავრა ფერხთა ქვეშ, სურნელი ვარდიანობა,
შევიდა ლაღი ქალაქად, შვენოდა პირმზიანობა,
ბრძანა: არ წახდეს ქალაქი, აქათი თემიანობა.

ავიდა, დაჯდა ტახტზედა, თავსა თვალთა გადასხმიდეს,
ამირ მირანს და შარვაძეს, მის მის ალაგსა დასხმიდეს,
აწ დარბაზობა შეიქნა, ლხინი და ღვინოსა სმიდეს,
მეფეობისა და სულტნობის მუნ ერთათ მქონი დაზმიდეს.

შარვაძეს უმათა ყოლისა და მისა ათაბაგისა,
შესატყვი ჟამთა ლხინია შვენის ღიმილი ბაგისა,
მახარობელი გაგზავნა თამარს წინ მის დამდაგისა,
მადატურთ ხუცის ჭიაბრის მის წინ წარგზავნად გამგისა.

საქმე გაავგო აქეთი, მიმართა ეტლმა მას მზესა,
მეფეთ ხმობილსა დედოფალს და ხელმწიფესა ზესთ ზესა,

შეიყარნეს და ბაგენი ერთმანერთს გაუმაზესა,
იმათი მზგავსი ქალ-ყმანი არ მახსონს, კფიცავ მათ მზესა.

მოყვა საჭურჭლე ურიცხვი, მრავალი და ბევჯერ ასი,
დროშა თხუთმეტი ათასი და ერთი ჰგით ხალიფასი,
იყო ნაქნარი ასეთი, არ ითქმის იმისი ფასი,
მურასა გულქანდელთაგან, ფრაგთა ნაქნარი მინასი.

ათი ათასი აკაზა, ორმოცი ცხენი ქებული,
არაბთა ჯად-ბადობით ჩამოსვლით მუხლ ფიცხებული,
შვიდი ათასი ყათარი აქლემ ჯორ აკიდებული,
მოართო თამარს, ვინ არის დავითიანი ცხებული.

დროშა წარგზავნა, ხახულის ღვთის მშობლის სასოებისა,
ოდეს დორბეზეს ყაისის მანიაკ ყელ-მოდებისა,
ამცრცველი მამა ჩემი გრძნობს ცოდვათა დასავსებისა,
მეც ხალიფასა დროშასა, შევწირავ კართა გებისა.

## კარი სამოც-და-მეთორმეტე.

### მხარგრძელი ივანე მსახური ხუცესისაგან გელაქუნელით მიხდომა, ვანს მიმავალი გრძელი ლაშქრის დახდომა და გამარჯვება მისი.

აწლ: ივანე მხარგრძელი, წავიდა ლაშქრით მცირითა,
მბრძოლი ფიცხელი შუბითა, მერმე უცდური ისრითა,
გავიდა გელაქუნელად, გულითა მტერთა მზირითა,
ნახა ლაშქარი განძელი, ვანს წასვლად განაპირითა.

ლაშქარი დახვდა უფროსი, უმცროსმა აღარ დახედნა,
ამად რომ იყო გულ მხეცი, უმრავლესთ მისდა შებედნა,

გააქცივა და ასწყვიტა, სადგომი გაუშეიდნა,
სილაღე მათი წაუღო, მოამშვიდა და დასხდნა.

## კარი სამოცდა-მეცამეტე.

### ნუქრადინ საბერძნეთისა და პალესტინის სულტანისაგან ოთხასი ათასი კაცის შეყრა, ლაშქრად გამოგზავნა და წინ ელჩის გაგზავნა თამარ დედოფლის წინაშე.

იჯდა სულტანი ნუქარდინ, საბერძნეთს პალესტინესა,
უმაღლეს ყოვლთა, ვით მაშინ ამბობენ კოსტანტინესა,
მიესმა საქმე თამარის, თქვა: ვინ ქალი და ვინ ესა.
ოთხას ასჯერ ას ათასსა, სპათ' შეყრის მოსაყივნესა.

წიგნი მოსწერა, ეს იყო შიგან წერილი უშვერი;
დიაცთ სირცხვნე მოგიდგამსთ, შენ მორჩე მარტო მაშვერი,
რად გითქვამს საქართველოსად გაწყვიტოს მუსურმანთ ერი,
მე ვარ მპყრობელი ქვეყნისა, მაჰმადის თითის მიმშვერი.

აწ ვბძანე ლაშქრის წამოსვლა შენზე და შენ ქვეყანასა,
ვინც მოხვალთ ჩემსა რჯულზედა და მაჰმადსა სცემთ თაყვანსა,
ოდენ ის დარჩეს ცოცხალი, სხვანი შეიქმენ ნანასა,
სულ მოსრვა მიბრძანებია, მომკიან, ვითა ყანასა.

მოვიდა ელჩი, გვიანბობს ავს ამბავს საკ'დრებელთა,
უყურე სიტყვას, რას იტყვის, ჩვენ ჯვარით ასანთებელთა,
რაზომ უქნელსა საქმესა, რა ცუდთა მოსადებელთა,
თქვა რჯულს დააგდებ, შეგირთავს, თვარ უნდა ასლად მხლებელთა.

ამილ სპასალარს რა ესმა, ზაქარიას სიტყვა ესე,
წამოდგა და პირსა ხელით მწვე უხეთქნა დასაკვნესე,

ვითა მკვდარი ქვა დააგდო, ავის მთქმელი ავის მთესე,
რა მობრუნდა მოციქული, სიტყვა უთხრა უკეთესე.

თუ არ იყო მოციქული, გიხამს ენა ამოგართო,
მერმე თავი გაგაშორო, შენს სულტანთან ვეღარ წართო,
ხორცი შენი დასაწვავად, ხანმოდებულ ცეცხლსა დავრთო,
ვით იკადრეთ უკადრისი ძაღლებმა და თქვენა ვირთო?

მერმე შემოსცეს ელჩი და გაგზავნეს სიტყვა მწვავითა,
იხმეს ლაშქარი ყოველგნით დარუბანდ ანაკოფითა,
შუა მყოფნი და ივერნი, ამერთა არ განყოფითა,
ის შენს მტერს მისცეს, ნუქრადინს შევიქთ რისაცა ყოფითა.

შემოკრბა ჯარი ჯავახეთის, კარძიას მივლენ მეფენიც,
თვით დავით სოსლან ძლიერი, თამარ ბრწყინვალე, შუქ მფენიც,
ღვთის მშობელს ლაშქარს ვედრებდა, იქმნა მოწყალე მომსმენიც:
«დედაო ღვთისავ დამიცევ მე თამარი და ქსენიც».

გაისტუმრა ლაშქარიდა, ქსენია მეწინავეთ,
ზაქარია სპასალარი და თორელნი არ სიავეთ,
ივანე და ძალვა ძმანი ახალციხთ მესხთა ვუთავეთ,
ომზე დიდსა გასაჭირსა, მოსვენებად არ საავეთ.

იგინი იდგეს ბასიანს ბოდლოკე წოდებულისა,
ძალით იტევდა მინდვრები, სიგრძე გან გაკიდულისა,
გააწყვეს რაზმი ჩვენგანთა, მივლენ დამდები სულისა,
ვისადგეთ ომი ძლიერი, ძველთაგან დადებულისა.

წინ ბრძოლად იყვნეს იგინი, პარკელ ვთქვა მათი სახელები:
იმიერნი და აფხაზნი მარჯვნი, მხარ ცხენ ოციცხელები,
ამერნი დარუბანდამდი, მარცხნივ კერძ თვით კახელები,
შუა დავით დგა ლომ გული მებრძოლი ლომ თათსკლები.

აწ იგინიცა წამოდგეს, ზარგ-კარგები დაუტევეს,
მოეგებნეს საომარად, ერთმანეთსა შეუტევეს,
ომი იყო პირკელ-უშური გმირული და მართ უდევეს,
გამოუკლეს ჩვენებურთა ქვეშ ცხენები კარგ სადავეს.

მოუკლეს ცხენი ივანეს, მსახურთ უხუცეს მხარგძელსა,
ახალციხელსა ივანეს, შალვას და ბეკრსა თორელსა,
დაუდანის თორგველს მხნეს კაცსა, სხვათ თავადთ მუნ იმერელსა,
ქვეითად დარჩნენ რაზმს, შუა უურე მათ სიქველესა!,

რა ნახეს ყმათა პატრონი, ცხენ მკვდარნი ქვეით მებრძოლნი,
გარდახდენ ყმანიც პატრონთან, ზოგთ ხელთ აქვთ კიდევ ოროლნი,
გაწირეს თავი სიკვდილად, არ ახსოვთ ცოლი და შვილნი,
მოუდგენ მათთა უფალთა, იბრძოდეს ისრის მიმსროლნი.

დავით იხილა მას წინა მხნენი ქვეითასა მსროლელი,
მორიდა კერძო მარცხენით, ქვეითად ვარ შემომვლელი,
მუნც ზაქარია მხარგძელი, მარჯვენით იქმნა მომსვლელი,
ქვეითი არ დაეთრგუნათ, ვერ ყოფდა კაცი სულელი.

მოუხდენ რაზმთა თათართასა, სიმრავლეს მათსა შუასა,
სიფიცხე მათი ამგზავსეს, რა ზარი სცემდეს ბუასა,
ერთი, ვით ლომი, დავით არს, თათრებს ამახუბს ვუასა!
იქათკენ ზაქარიამაც, მან თავი ერთი უასა.

ვითა მგელი ცხვარისა ჯოგსა, მსწრაფლ მიუხდეს მათ თამამად,
რაზმს აპობდეს სულტანისას, ძლევას ჰყოფდენ ღვთითა ამად,
ამათ ჯვარი სცავს ცხოველი, შეჰცხვენილი იმათ მაჰმად,
ძალსა მალ გაექცევიან, თათართ ეს სჭირს გვარ მოდგამად.

გახეთქეს რაზმი იძლიენეს, სიმრავლით გვანდეს მალნართა,
მუნ ხმა ისმოდა დავითის, ვით ლომთა ართუ ნარნართა,

შავი ტყე მოსქდა მაღალს მთას წარიქცევს შამბთა და ნართა,
ხოცდეს უწყალოდ უშრომლად უსჯულოთ, ვით სოინართა.

რომელნი იყვნეს ქვეითი, აწ ასხდეს უნეს, დევნა უყვეს,
ღამემდი ხოცეს, მისდიეს, ჯარი ხულტნისა გააწყვეს,
მობრუნდენ გამარჯვებულნი, მათ სადგომს ხანი რამ დაყვეს,
გარავსა სალა-თვარდებსა შობდენ, წილით არ გაყვეს.
თუცა არის საქართველო, ღვთის-მშობლისა წილხდომილი,
აქ გასინჯე მარიამის, სათვარკელი მისი ტკბილი,
ვარძიიდამ წამოვიდნენ, საომარად აქათ ვლილი,
არ მომკვდარა ამ ომშედა კაცი მეფეთ შესწავლილი.

აივსო სრულად ლაშქარი, რომელ დაჭყარეს კარავთა,
საჭურჭლე პატიოსანთა, სამოსელ სარა სარავთა,
ცხენის ჯოგთა და აქლემის შოვნისას ვინა სწერავთა,
გამდიდრებულნი მდიდართან მოვლენ, ლხინს ნახვენ არ ავთა.

ამასარობლებს თამარსა, ნათელსა მას უბინდოსა,
ვით ძლიოსი მტერმა ბოროტმა წმინდის ღვთის-მშობლის მიმნდოსა,
სხვა არვინ დარჩა უძლევი, მამართოს აწლა ინდოსა,
მინახავს მენი მეფეთა, მის სურვილს დაებნიდოსა.

გადვიდენ ლისსა, სუფევდენ, ნადირობდენ და ბურთობდენ,
ამაღლებულნი ღვთისაგან, კიდით კიდემდი ნათობდენ,
ქვრივთა ობოლთა წყალობდენ, მებრძოლთა მალე დაამხობდენ,
მონასტრებსა აგებდენ, ხატთა და ჯვართა ამკობდენ.

მიიცვალა სოსლან დავით, მეფე ქმარი თამარისი,
ცრემლი თვალსა დამაბნელებს, ადგილი ვსთქვა სამარისი,
გლოვაძ მოცო საქართველო, მწუხარებად მგონ კმარისი,
მამამ შიგნით მოიქცია, ტანი ბროლი მარმარისა.

მან დაუტევა ორი ძე ყრმა ლაშა, ქალი რუსუდან,
ჩვენ დაგვყარა ყელ დაჭრილნი, უხლმოთა და მკრმე უდან,
სანადირო ოხერიდა უბურთალი მუნ მეიდან,
განიკიცხეს დიდებულნი, ერისთავი რაჭის ბედან.

ამ დღეს ვინ დააკლდებოდა, დიდითგან მცირეს მონამდი,
მეფევ შენც გული იტკინე, სულთქმდი ცრემლსა მაჩამდი,
მოსთქვამდი სიტყვა მჭევრულად, თამარის მოსაწონამდი,
ზარი, ყვირილი ისმოდა, გეგუთით მგონი ონამდი.

## კარი სამოც-და-მეთოთხმეტე.

თამარ დედოფლის გეგუთს დგომა და მხარგრძელთა იქ ხლება. მოხდომა არდავლის სულტანი ანისა დღით აღდგომას, მოოხრება და წასვლა უკანვე.

თამარი იდგა გეგუთსა, მხარგძელნიც ახლდენ მას განა,
ცნა არდავლისა სულტანმა გრძნეულმა ვით იმისანა,
მხარგძელთა ანის არყოფა გველურად მან ისისანა,
ანის მოუხდა დიდშაბათს, საქმე არ ქნილა მისთანა.

აღდგომა გათენდებოდა, ქრისტეს მეუფის მხსნელისა,
მოადგა ციხის გალავანს, კარის გაღებას ელისა,
დარეკეს ცისკრის ზარებსა, შესაკრებელად ერისა,
გაუსვენეს ყოვლგან გალავნის ვაი ჯავრი კარ გამხმელისა!

შეკრბა ერი ეკკლესიად, ვით წესია ქრისტიანეთ,
ლაშქარიცა თანვე შეყვა, იძახოდეს: მიატანეთ,
რჯულ მურალებო ამოგვწყვიტეთ, ზოგი ცხენ ქვეშ დაგვატანეთ,
გაგემარჯვათ, ვით გინდოდათ, ჩვენი სისხლი გაიტანეთ.

ერთ ბევრიდა ორ ათასი, კაცი ეკკლესიას დაკლეს,
ქალაქსა და ფოლორცს გარდა, ანუ გარეთ ვინც მოკლეს,
ეროდემ რომ ჩვილნი მოსრა, უფროსი ქნეს, არ მოაკლეს,
მაგრამ ლომი ზაქარია, პასუხს უზამს ჯყუა მოკლეს.

ახალ-კვირასა აცნობეს მეფეს და მხარგძელთ დასტურად,
დაჰმუნდა მეფეც, ყოველნი, მაგრა იგინი მეტურად,
ამზადდენ მაიზე სალაშქროთ, არ ცუდ სომხურად ტურტურად,
ზაქარიამ თქო: სულტანო ვერ გნახო შემქე ცოლ-ტურად.

მხარგძელთა ჰკადრეს: მეფეო, გვეწია საქმე ბოროტი,
ჩვენის ცოდვის წილ მოისრენ, იქ მყოფი ვერსად მეოტი,
თამამად გამოარჩიეს არ სიტყვა მიროტ-მოროტი:
აწ სად წაგვივა სულტანი, არ დავლით ხმალი და ბოტი!

ვესავთ წყალობას ღვთისასა და მეჰმე ცხოველის ჯვარსა,
შენა მეფეო უბძანე, მზადება შენსა სულ ჯარსა,
მზათ იყოს ყოვლი ლაშქარი, ჩვენი საჯი ეს არსა,
რა ჟამ გაცნობოთ, გვიბოძო, რა დავირეკოთ ჩვენ კარსა.

ნაცვალი ვაგოთ, სიცრუე მათი მათზედა მიიქცეს,
თუ ბევრი წავალთ, გვიგრძნობენ, კაი თუ სხვაგან გაიქცეს,
რა რამაზანი დაუდგეს, მთვარე სისხლედ მოიქცეს,
მაშინ გვიბოძე ლაშქარი, მეჩიტში სისხლი მოიქცეს.

ისინი ანის წავიდნენ, აქ ლაშქართ იწყეს მზადება,
ასე მზას დადგენ ყოველნი, უნდა თუ ლაგმას ადება,
წასვლა გვიხარის, არ გვინდა სირცხვილის თავსა დადება,
დაუდგათ რამაზანი და ჩვენგან ცეცხლისა პოდება.

წარმოავლინეს მეფეს წინ კაცი ლაშქრისა მთხოველი:
იმერნი და სულა მესხნი, კასნი არ დიდო ფხოველი,

ქართველნი არ გაიტანეს — იგრძნობსო, ამას მოკვდი,
რაც მათ კოხოვნა, გაგვზავნეს ჩვენ ჯარი იქით უოკველი.

მივედით ანის, იგინიც დაგვხვდენ მზასა და კიარეთ,
ისწრაფდეს მალე მისვლასა და ჩვენცა არ მივუარეთ,
გარდავკვლეთ გელაქუნის მთა ჩვენის სამზღვრითა მათ არეთ,
გავედით საფურის ხიდსა, არ გარე შამოუარეთ.

რამაზნის მარხვა გავიდა, გათენდა მათი აიდი:
არეზს აქათ რომ არბეკდი, გაბმანდი აჰა იქ მიდი,
ისე მოსწყვიტე თათრები, ხანსაც იმდენსა დაზმიდი,
თუ ეს ქმნა, ჩამლეკი მოგცე, რასაც გინდოდეს მიზმიდი.

ხმაურო ქადაგმა ბილწისამ ქადაგებისა მათისამ,
გახშირდა მეურთა ყიყილი: ბიწვო ღმერთის რად არ ისაჰ,
მენ გესტუმრენით ასეთს დროს, ვეღარ გაძლო არისამ,
სისხლი ადინოს ღვარული, პასუხმა მათ საგმარისამ.

შემოუტიეს მხარგძელთა და სულ ერთ პირად ლაშქართა,
ეცნეს ანდაზათ ქალაქსა, სითვაცხე გვქონდა ვით ქართა,
როს გაუსწორდა დღე-ღამეზ ამტკრევდენ, სჭამდენ მაქართა,
აუკრეს ხელი მოჩათა, ლაჩგრებს ხინ მათ მინანქართა.

იგდეს ქალაქი ხელთა და თვითან სულტანი ცოლშვილით
აივსნეს საშოვართა და ოქროსა სრულიას ჯურჩლით,
ათრთოზდა ზარი ჩვენისა მაღლისა ხმისა ყივილით,
ზოგთ ცრემლიც ჩამოსცვიოდა მათის მოთქმისა ჩივილით.

სულტანი მოკლეს, ცოლშვილი ტყვე უყვეს და წამოასხესცა,
მერე ამოსწყვიტეს სამრავლე, სისხლი მიუზიოთ დასხესცა,
მათი ცოლშვილი საჭურჭლე, მათსავ ცხენებსა ასხესცა,
იქ საშოვრისა სრულად თქმა, არ ძალუძცს ჩემს უხუცესცა.

ალივსო ჩვენის ქვეყნისა მცირეცა მონა ვერცხლითა,
შესამოსლითა ძვირითა, სტავრა ხარასარ ნახლითა,
თვალითა მარგალიტითა, ოქროს სალასით ცეცხლითა,
მეფეს მოართმენ სამ მადლსა, ზმანებენ ენა მერცხლითა.

ცისე ქალაქი მათ ბევრი, უბოძა მეფე უსკია,
ზაქარიას და ივანეს ხელთ მისცა, არ წაუხვია,
მხიარულითა პირითა, არ არის გულით მწუხვია,
სომხები თუ გამოექცეს, თხისაგან უთხე ავია.

## კარი სამოც-და მეხუთმეტე.

ზაქარია ამირ სპასალარისაგან, მისი ძმის ივანე მსახურთ ხუცისაგან და გაგელისაგან მეფეს თამარს ხორასანზე ლაშქრობის გამორჩევა და მეფისაგანაც ლაშქრობა.

მოვიდენ სამნივ მეფეს წინ და მოახსენეს: ძლიერო
ხემწიფევ მზისა შარვანდთა, უმჯობესო—უსათლიერო,
უფროსო ხმელთა მპყრობელთა, ღვთისაგან თქვენ მადლიერო,
გიხილავს შენ სპათ სიკეთე, მძლეველო შენ მათ მიერო.

იპოებიან შენს ჯართა არსად არ წინა აღმდგომი,
ზმანე ხორასანის ლაშქრობა, ვუნახოთ მათი სადგომი,
სახელი შენი განვფინოთ, არ ვიყოთ ცუდად დამდგომი,
ვინ დაგემონოს, ვიურვნეთ და დაგიმდაბლოთ დამდგომი.

დაემორჩილა მეფეცა რჩევასა მისთა მონათა,
განათლდა პირი მთვარისა, სულ არე-მარე მონათა,
სიტყვა აღმოთქვა სიბრძნისა, ყოვლთათვის გასაგონათა,
არ საწუნარი ბრძანება, ესმა ყოვლთ მოსაწონათა.

მოუწოდა წარჩინებულთ და ყოველთა დიდებულთა,
კითხა რჩეა მხარგძელთაგან, მათ მამაცად დიდებულთა,
სთნდა ყოველთა მათი საქმე, თავ ბოლომდი კიდებულთა,
დაასკვნეს წასვლა ყოველთა, ჯერ ნუხლ არ აკიდებულთა.
შემოიყარა მეფემა თბილისს არ საქულბაქთა,
ანაკოფიას მოღმართი და დარუბანდთა აქეთა,
ხორასანსა და ერაყზე სარბევლად სალაშქარეთა,
თუ საქნელათ კი გმარიყოს, თქვენც ჩემებრ გარგა აქეთა.
ხორასანს მეფემ ალაშქრა ზაქარია და ივანე,
მეც მათთან ვახლდი, ვიშოვნე, მრავალი გაგიმყლავანე,
ტყუილი მეიქვას, დამარქვი თქვენ დათო თქვენი მდივანე,
სახელს ქმებდი, წამმანდი, იქ მიდი, იქ დაივანე,
შემოკრბენ არეს რთვილისას, ყოველნი აბჯარ კეთილად,
ნახა მეფემა, ქებთა, ჰქონდა მას მისდა წადილად,
უქო მის ყმათა სიმხნისა, ვით ხმალი ებათ კვეთილად,
უბრძანა: წადით ხორასანს, დღეს აემზადეთ სადილად.
ვორ ბედნიერმა დალოცა, დროშა ლაშქარი ყოველი:
შენ გაუმარჯვე ჩემს ჯარსა, მე ამ წყალობას მოველი,
დამიმხვე მტერი ხილული უჩინო, კვლავ სმოველი,
მე ქვა-მეთრევი გონების თვალით წინ შენსა მოველი.
შევედრა მასვე კარძიას, ღვთის მშობელს დროშა დალოცა:
შენ სულგრძელისა მშობელო, მოწყალისა მალამოცა,
შენ თუ მომხედო წყალობით, მტერი მყის დამიბოლოცა,
რა გინდ მნელ საქმეს შევმართო, უცოდნი გამიკვალოცა.
წავედით ნახჭევნის გზასა, გავვლეთ, მივედით ჯულასა,
სხვა ჯერ არვის რა აწყინეს, ხარესა ხოცდენ ბუღასა,

ხან საქვეითო გზა, მოგვის ფეხთა კვეცემდით წუღასა,
საცა მივედით შიშითა შეიქმოდიან თრთოლასა.

ხუთასს რჩეულსა გვიჩინეს მთავრად თმოგვეელი თაყადინ,
წინ-და-წინ ამბის შეტყობად, სანამ ჩვენ ვსცანთო მანამდინ,
თუ ვინ დაგიხვდესთ, რას ჰქვიან შეებათ მოსვლად ჩვენამდინ,
თქვა ზაქარიამ: უჩუმოდ ცხვირთა სისხლსაცა ნუ ადინ.

მარანდის მთაზე ავედით, მარანდელთ გვითვალწუნესა,
ხუთასი კაცი გვიყავით, გვიმცრეს, მით გვიძაბუნესა,
შემოგვიტივეს სასტიკად მათს მუსაფს ჩაუსუნესა,
ხუთასთავ შუბი დავასვეთ, კაცსა და ზოგმა ჰუნესა:

ვის შუბი ესვა დავსტეხეთ, სხვათ უკან ვსდიეთ ხოცადა,
ამოსულიყო ჩვენიცა, ლაშქარი იქ არ მომცდადო,
ენახათ მკვდარი, ჰყედ სმოდა შუბზე ოც-და-ხუთ ოცადო,
ჩვენ მკვდარი ვერცა ცოცხალი ვერ გვპოეს, უჩნთ საოცადო.

გაჰკვირვებოდა ლაშქარსა ჩვენი ვერ პოვნა ვერც ერთის,
მუნ ზაქარია მხარგძელი მწუხარებასა შეერთის,
რა ჩვენ მივედით ნადევნი, ჭირს სიხარული დაერთის,
ჯერ გვიწყინა და მერმე თქო: წყალობა არის ეს ღვთაების.

მუნით ჩავედით, მივედით ქალაქსა თავრეზის კარსა,
განკრთეს და ზარმა აიღო, თრთოდეს, იტყოდეს: ვინ არსა!
დიდებულნი და ხოჯანი გვძღნობდეს ძღვენს დასამშვიდარსა,
ოქროს და ვერცხლსა გვიყრიდეს, მათის სასხლისა მეიდარსა,

ძვირფასსა თვალი მოქონდათ და მარგალიტი მრავალი,
ცხენები, ჯოგი და ჯოგი, შორის გზისათვის სავალი,
სხვა ფარჩა შესამოსელი, მათი და სხვათა ნავალი,
საზრდელი ემა-საყოფელი, პარუტყვი ჩვენკერძ ნავალი.

სხვა არა აქნეს, წავიდენ, მცველნი დაუყენეს ქალაქსა,
მცველთა უბრძანეს: ნუ უშვერ, სამართალიანა გვლავ ბაქსა.
ანგარიშს გამოართვემდე, ზარაბხნსა და საბაჟსა,
ჩვენ წავალთ ხორასანზედა, მათ ხმალი ჩვენი მალაქსა.

წავედით და გავიარეთ ადრებეგი, მივალთ მანსა,
ცნა მელოქმა მანისამან: გელან დაყოვ მეო ხანსა,
თავრეზელებ მანც მშვიდობა მოითხოვა, ყოფს ხვეწნასა,
ოქრო კვერცხლი, ქვანი ძვირნი, მოუმატა მან წინასა.

მანიც დაავდეს მშვიდობით, მივედით ქალაქს ზანგანსა;
ალიზის ზღუდე მაღალი გარ ქვლო არ ერთისა განსა,
გაგვიმაგრდენ და გვესროდენ ისარსა, ვითა სეგანსა,
რაცლა შექმლოთ, ეცადენ, თავს გარდმოგვკრევდენ არგანსა.

განუყვეს თემ თემად ქალაქის ზღუდე, გარ შემოსათხარად,
გავჰკვრდა ზაქარია: მე გამიმაგრდა ქს თხა რად?
სამკერძო იმერ-ამერნი და მესხნი იყვნეს სამ მხარად,
უწინ მესხთ შეუხრიტიათ ზღუდე ნაშენი ხორ-ხორად.

ვუწყეთ ხოცა მოქალაქეთ, საშოვრათა დავიტვირთეთ,
ახლა სხვათაც გამოსტეხეს, ხოცა ხოცვის ზე დავურთეთ,
დავაქციეთ სულ ქალაქი, ხარცი მათი უხვად ვყვეთეთ,
სხვაგან თუ სამ ჯაგვაჯავრეხ; მათი საქმე დავუთითეთ.

აქათ ვიარეთ წასულთა, ყაზმანს მივედით დღე შვიდსა,
ვერ წინ აღგვიდგეს, იგლტოდეს, არც ჩვენ გულით მათ დასამშვიდსა,
ქარიზი ძალით აეგსოთ, არ წყალსა გსკემდით სახიდსა,
თვალ მარგალიტსა შოობდენ მრავალსა არგინა ჭუიდსა.

გაცს არ აქნეს, სულა ტყვე ყავს აწ ხორასანს წარმართეს,
გურგენისა ქალაქამდი, შენს მტერს მისცეს, რაც დამართეს,

მოაოხრეს, ამოსყვიტეს, ასე საქმე მოუმართეს,
ქართველთაგან ძნელი არის, ხონთქრისაგან კმა, რა მართეს.

ასე ვიარეთ ეს გზობა, ვერავინ წინ ვერ აღგვიდგა,
ვერ ხორასნისა სულტანი, ვერ ერაყისა მოგვიდგა,
ქალაქნი გამაგრებულნი და ვერცა ციხე დაგვიდგა,
რა წამოვედით უკანა, მდევარიც ვერ წამოგვიდგა.

იქითგამო წამოვედით, ღვთითა ესრეთ გამარჯვებით,
საშოვრითა ურიცხვითა, სიხარულით, ლხინით, შვებით,
კაცი ვინმე მისულიყო მანს მელიქთან ხელ ჩაშვებით:
ამოსწყვიტეს ქართველნიო, აწ შეიქნე ცეცხლთა ვსებით.

მოვიდა დიდი სულტანი, გილანით წინ გადაუდგა:
«სულ ასე მოსრეს ქართველნი, აღარც ერთს სული არ უდგა».
მან შეიჯერა, მელიქი წინარ და წინარ წაუდგა,
რა მარიამს ამბავი დაეჯერდა, ორივ თვალები დაუდგა.

მელიქმა მცველნი დახოცა, რომელნი ჩვენ დავუდგინეთ,
ერთი მათგანი გარდაურჩა დამალვით, აწ მას უსმინეთ,
აწ ჩვენ მივედით, მელიქი წინაშე წამოვიდგინეთ,
თუ შეაჩნიოთ ტყუილი, სულ ყველამ მას შეაგინეთ.

ზაქარიამ მოიკითხა: მცველნი თქვენი სად არიან?
რქვეს: თავრიზსა წავიდენო, ამად აქ აღარ არიან,
მან მოართო შუა ზამთარ ყვავილები ია, რიან,
ამად ვჯოე, ამ დროს ესე, დარი იყო აქათ მზიან.

რომელი დამალულიყო, მოვიდა კაცი ჩვენთანა,
ამხილა მელიქის ნაქნარი, ვით დავითის მაშინ ნათანა,
მცველნი დაგვხოცა, ერთიღა მე მოვრჩი მუოთვი მათთანა,
რად ამოგვწყვიტე თათარო, რა იყავ შენ მაგისთანა?

რა ისმინა ზაქარიამ, საზარელად შემოუყვირა,
შეუძახა: შენ ძაღლო რჯულო, ქსე ასე შენა ჭყვი რა?
გაგულისდა ასეთ გვარად, ყოვლი კაცი გააკვირა,
აწვე მოგსრა სახლეულით, არ გადრჩა არ ქს კვირა.

კედარა თქვა რა შემცოდემ მელიქმა ცრუმა მანისა,
დაკიდეს, მელიქე დაარჩვეს, მას უყვეს შესაგვანისა,
სულ მოაოხრეს ქალაქი, უფრორე, რაც ვთქვი ანისა,
ყოვლს დამნაშავეს მეფისას, მალ იმან შეანანისა.

მენით ლართ წამონალებთა არ იყო რიცხვთა შეკება,
ჩვენ სპარსნი ვერ შემოგვებნეს, თქვენ ლეკნიც ბევრჯელ შეგება,
თავს მაშინ უფრო იქებდი თუ ასე ხმალი შეგება,
მაშინდელს საქმეს ვერ სწორავ, ახლა კარგი ხარ ეგება.

მასვე გზასა წამოვედით, კვლავ გვმოობდიან ურიცხვეს,
ძლიერ მოქონდა სულ ლაშქარსა. გამორთმევა არ დაირცხვეს,
მასპინძლობის სიხარულით, პური უწინ გამოიცხვეს,
ზოგთ მშვიდობა დაუტევეს, უფროსთ სისხლი ხმალს მოიცხვეს.

რა მივედით თბილის ქალაქს. მეფე დაგვხვდა მხიარული,
დაგვიმადლა გამარჯვება, ეზომ გმელი სიარული,
ბუკ დუმბულთა ზარისაგან ალარ იყო თვალთა რული,
დაჯდა ტახტსა, მივულოცეთ ხმა ნარნარი კარგ უსული.

მოვიდნენ ყოვლნი თავადნი, დასხდენ მის წესით სელებსა,
მუნ არმალანთან სიმრავლეს ვინ იტყვის მაშინდელებსა,
მიილებდიან წინაშე უცხოსა თვალ ნათელებსა,
შუქი კრთებოდა, ვით მზესა, მას პირსა არ ნაზნელებსა.

ღმერთსა მადლობდა, გლახაკნი ყველა ყო მუნ პოვნიერი,
ლაშქარი გამდიდრებულნი, აავსო მხნენი, ძლიერი,

უბოძა მას მას საფერი საქმე ქმნა მან მის მიერი,
შვება სამუდმო შეიქნა, მეფე მზის პირ შვენიერი,

## კარი სამოც-და-მეჩვიდმეტე.

მიცვალება ზაქარია ამილ სპასალარისა ძე სარგის მხარგრძელისა, და თამარ მეფისაგან ბოძება ამილ სპასალარობისა მის ძმას ივანე მსახურთ ხუცესა.

მე სარგის ამილ სპასალარის, თვით ამილ სპასალარია,
ზაქარია მხნე კაცი, მართალი ვითა ლარია.
ზნე სრული სალვთო საკაცოთ ყოვლითურთ უკლებარია,
გარდაიცვალა, კვლავ მეფემ ლაშქარი მით არ არია.
განაღამც მეფეს აწყინა, სულ საქართველო იგლოვდა,
მისსავ ძმას მისცა სარდლობა, ვინ მტერსა მისებრ სისხლს სწოვდა,
მან იუარა: არ ღირსვარ მე მის სახელსა, ნუ მძლონოვდა.
ვინ მის სახელსა მიმახვდეს, მე უნდა მასგან მრცხვენოვდა,
მე მის სახელსა არ ღირსვარ, მატიგ მეც ათაბაგობით,
აქ არ ყოფილა, მაგრამე სულტანთ ყავს გამზრდელ მამობით,
ამით განდიდე წყალობა, შენ ჩემზე ბძანე არ გმობით,
შენის სვე დიდით ადრე ვყო, მე შენი მტერი ხმალ-სობით.

## კარი სამოც-და-მეჩვიდმეტე.

### დიდოჲ განდგომა, თამარ მეფის მიერ ივანე ათაბაგის გასევა, მიხდომა, გატეხა, დამძევლება და გამარჯვებული მოსვლა.

დიდონი არის მოსავი ეშმაკისა და ძალისა,
დაუწყეს რბევა ფხოველთა, უფროსთათ მქნელთა ძალისა,
განუდგეს მეფეს სიბრიყვით, აღარ მომცემი ძალისა,
აწ გაუსივა ივანე, მათ დაიმონებს მალისა.

ათაბაგს ლაშქრად ასხდო, სახლი ყოველთა მთიულთა,
დვალნი, ცხრა-მზელნი, მოხევე, ხადელნი კვლავ ცხაოტულთა,
ერწო-თიანელთ ყოველთა, არ ჩაუგდიათ იულთა,
ავიდენ მთასა სადისას, აქედამ იქით წასულთა.

წავლეს მაღლის მთის თავები, აღმოსავლეთით სიგმეზე,
მარცხნით დაურჩათ მურმუკი, თუშეთი კვლავ მარჯვენეზე,
მოვიდენ, მეფემ დურდუკთა შემოსამატათ ლაშქარეზე,
დიდოთ მიუხდენ მაღლიდამ თავისა წაადგა ეს ზეზე.

დაწვეს, ავად მოარბივეს, შიგ დაუყვეს მათ სამი თვე;
ივნის-ივლისი ორ-ავე, მესამე აგვისტოსი თვე,
მძევლები მოსცეს, ბევარა პირველისავე წესითვე,
მოვიდენ გამარჯვებულნი, აბა თქვენც ისე აღიმსთვე.

სხვას მორჩმა დიდებულობას, ქართველთ ცხოვრება მოგითხრობს,
მისის ყმისისა შერობას და იმას აქათ ვითა ოხრობს,
მენ სიხარულსა მის დროსას შემდგომად ვით გლოვს, ვით ოხრობს,
სასუფეველსაც შოვნას ქრისტეს წინ მას ვინ წაუსწრობს?

მას ვით მონდა საქართველო, ისე თავი ვინ გიხარა,
შიშიც ჰქონდათ, წყალობითაც ყოვლმა სულმა გაიხარა,
იმის ჩამოის მის გვარში, უმჯობესი შენკე ხარა,
აქანამდი ჩემი სიტყვა ხამი იყო, აწ იხარა.

მზე უღრუბლო დაგვიბნელდა, მოწმენდილი აწ ბინდარი;
სვე სვიანი გარდიცვალა, მწუხარება ჩვენზედ არი,
მაშინ მყოფთა ყოვლის პატრონთა, უმჯობესი არვის მდარი,
აღარ დაჯდეს მის ტახტზედა, იმისთანა იმის დარი.

ვირემ ის მყონდა ცოცხალი, მანამდი ვერ მითხარ ესა,
მუნ მყოფთა მასთან რად მეცა სამარე არ მითხარესა,
გული დაუბამს ურკასა, ნაღვლის სმას უმწუხარესა,
მხედავ ოხერსა, მით მიზამ საქმესა გასამწარესა.

გმართებს ჩემი საბრალული, იმისივე ამარისა,
მერმე ბინდად გარდაქცევა, სხივ შვენება სამარისა,
რა საჩინო დაგვიფარა: ვაი, ჯავრი სამარისა!
ბრალი იყო წასახდენლად პირიმინა თამარისა.

## კარი სამოც-და-მეთვრამეტე.

## პასუხი მეფისა მეთექვსმეტე.

კარგა ბრძანე ყველა კაი, მაგრამ თავი რით იმართლე?
ბევრი ვქენი საშოვარი, მოვარბიე მე საივართლე,
სიტყვა ბრძენმა მელექსემა რა აანთე, რა განათლე,
შენ გითქვამს და აწ მეც ვიტყვი: ვინ გამოვჩნდეთ უუმართლე.

მე ამად ვოქვი დიდებადა მერმე ჭირსა და სარჯელი,
ორივ გონებას მასტაცებს, გკლავ მეფობის სჯა სასჯელი,

შენ ვით გამართლდე მაგითა, მესხი ომობს და კლარჯელი,
თქვენ თამარს გვერდსა ახლავხარ, იგი გიზის შირნათელი.

ბასიანის ომი რომ სთქვი, იქ სად იყავ თქვენ მაშინა?
თამართან არ იბღუნძოდი, ომრუსესა, ვითა შინა?
რა გინდ ბევრი უოფილიყვნენ, აგრე როგორ შეგეშინა?
იმის დღესა ქალებთან ხარ, კა, თუ სიმხდლემ აგაქშინა. [რობს,

შენ ეგ რას გიშლის ლექსის თქმას, გვერდს უზი, ვინ მზეს მწუნა-
გვეხარ ბულბულსა ვარდისას ჩიგვსა ჯდეს, ჭიჭიკს მგონარობს,
იძახის ფენად ფერადად, მისად სამკობლად ქონარობს,
შეფრთვინავს ყოვლი სასმენლად, იგ ასე მოსაწონარობს.

ბევრი გითხარ ჩემი საქმე, აწ ბოლოს-ც ყური უგდე,
რათაგან სიტყვა ამიშალე, ესეც მაგად არ დაგიგდე?
სხვათ საქმნარი საქმეები, პასუხად სთქვი, თუ ამიგდე,
სხვას ლონესა ნულარ ემებ, ვარი მაგრა წიმოიგდე.

## კარი სამოც-და-მეცხრამეტე.

### პასუხი რუსთველისა მეთექვსმეტე.

თქვენც არ ბრძანე მაგისთანა ომები, რომ თქვენ არ იყავ?
სხვასაც ბევრსა დასდომივარ, დიდ ლაშქარსა, ვით არ იყავ,
ამას ბძანებ: რად არ მოჭკვდი, ან ლახვარი რად არ იყავ?
ეგ ვერა ვქმენ, ბატონი ხარ, რაც გერჩიოს მუქფათ მიყავ.

## კარი მეოთხმოცე.

### ბოლო პასუხი მეფის თეიმურაზისა, რომელიც უთხრა რუსთველსა.

ეს როს გითხარ: არ მოკვდიო? უღვთოთ ვინ თავს მოკლევდეს?
ეგ წკვათ მყოველმა ვინა ქმნა, თუ არ ეშმაკი დამლევდეს,
მაგრამ ლექსის თქმას რას გიშლის, შენს შორს ვინ ვისმე ამლევდეს,
ბატონი ხარ, თუ სარდალი, ეგ სხვას საქმესა ნამლევდეს.

გამგონეთ ბრძანონ მართალი, ვის მართებს დარჩეს ნამლევი,
არა გშორდება, რასა იქ შენ ჩემი შემოჰნამლევი,
კაი თუ ზამთარმა მოგისწრო, შემოდგომა გაქვს დამლევი,
ვინ გვაზაასებს, ის არის შენი სისხლისა დამლევი.

ჩემი ნაქმარი წინანი გითხარ სარჯელი ამადა,
გარჯა ჯავრი და ნაღველი ცნობას წაუხდამს ავადა,
გულს ჯანგად ასე მოეკვრის, ვით ოქროს შავი სავადა,
ბოლოსიც გითხრა ყოველი, საქმე ვინ გამითავადა.

მტერი რას უზამ იმდენსა, რომ ყმა პატრონზე მიიღებს,
მძლავრისა მტრისაც კიდევე ერთს რასმე გზასა გაალებს,
თუ კაცი შიგნით საქმესა აიშლის, ამას მოიღებს,
ვინ გარდიკიდებს ამათა, ჩემ სისხლით ხელებსა იღებს.

სახლთუხუცესი და სუფრაჯი განაყოფი სახლეული,
კარგნი კაცნი, კაი ყმანი, ნამსახური და ერთგული,
ვინ ამათში ჩხუბს დათესავს, წაუმწყდება იმას სული,
ამათ წავხდი, ღვთის გარდაის დავრჩი ასე სახლეული.

სახლთხუცესი რქვაზ იყო კაცი სრული ყოვლის ზნითა,
საღვთოთა და საკაცობოთ და ჭკუითა მწვე დამზნითა,
ბიძინაცა კარგი კაცი გულმართალი ყოველ მხრითა,
მათ ოთხ-ოთხი შვილი ყონდა, ერთი დაკალ მო დანითა.

ცუდი რამე სიტყვა ითქვა, ამად ჭკადრეს უკადრისი,
რქვაზისნით არა თქმული, სუფრაჯის შვილს მანდარისი,
დილას ცხენით კარს მიუხდა, აკ საქმედა საკმარისი,
რქვაზ გავა ახალუხით უმჯობესი საკარისი.

უბრალო კაცმა რა იცის, თუ ავს ვინ რასმე უზმიდეს?
ცხენი ჭკრა რქვაზს ფარემუზ, სხვას კერას ვერ მოურთვიდეს,
შეიტყვეს ჯართა საშველად, ყველა იქ შეკრბა, მივიდეს,
აღარ მიუშვეს, გაჭყარეს, მოსული ისევ წავიდეს.

გავაბჭვევ დავსხი სულ გახნი არ მარტო ქსე პატიო,
სუფრაჯის დაკლდა სახლთხუცის, არ სისხლი საუპატიო,
უთხრეს: ეს მოგცეს მამული და ზოგი ჩვენ გვაპატიო,
ჩვენ სულის ქვეშ ამას მიმხდარვართ, აწ გინდა დასვი რატიო.

აღარ იქმნა გაშველება, უფრო ჩხუბი გაძლიერდა,
გახნიც შუა გაიყარნენ, დიდნი, მცირნი სულა ერდა,
ზოგი მისკენ, სხვა ამისკენ, კაუ-კაცები ან ვინ ბერდა,
რქვაზ წუხდა მის საქმესა, მხიარული არვის მზერდა.

იოთამ და ზაალ ორნივ ხან აქ იყვნენ და ხან იქა,
მოვიდიან, წავიდიან, და გმობდიან: ავად იქა!
გულ-მართალი კაცი ყველა უმრახევდა, უფრო მიქა,
ამ ჩხუბმა და მათმა წასვლამ საქმე ასე გააქიქა,

როსტომ მეფე შეიყარა საომარად მოკა უღლის,
ეს გზა იმან რა იცოდა, ან გაწევა ჩემი უღლის,

ვიცი, რომე არ შეეძლო, მას შემართვა ჩემის შუღლის,
ბოლოც ამან გამითავა, გაწყვეტა ხამს აწ საუღლის.

თიანეთის კიდეგ შეყრილი, რაცღა რამ ყმა დამრჩომოდა,
ბიძინამა თქვა: ერწოზე მოვლენ, აქ ყიყო მეოდა,
მე ნახევარი ლაშქარი მიბომე მიკეშველოდა,
ამბობს: რევაზის ქიშპობით მტერობა დაეწემოდა.

უთხრეს ბიძინას: რას ამბობ, რას ჭკვაში მოგიყვანია?
ახლა ლაშქრისა გაყოფა, რომლის ჭკვის შესაგვანია?
შენ ჭკვათა მყოფი რას ამბობ, მაგ სიტყვას ვითა სცანია,
აქ კარს გვადგია ლაშქარი, ჩვენ ვერ ვართ ათის თავნია.

მან თქვა: აქ მოვკვდე რევაზთანა იქ წახდეს ჩემი სახელო,
რასთვის ვიქ მაგას, რა არისა დამრჩება რა სასახელო?
ეგ თავისასა ინახავს, მე ჩემი კი გავათხელო,
ეგ თუ თიანეთის მოუარს, მე ერწოს წავალ, მითხელო.

რაღას უშველდა, კარს მტერი მადგა ჩემს უმძლავრესი,
წამართო შვილი, ლაშქარი, საქმე ქნა ავს უარესი,
დავრჩით თუ კაცი ათასი არა ვართ მტერთ საკმარესი,
რა კაი ვალი დამადო, გაუწყრა საბა ლავრესი.

ესენი ერწოს წავიდეს, ისინი უღლისს მოადგეს;
მოვიდა კაცი, მოვიდენ, თუ ბატონი ზის მო, ადგეს,
შევსხედით რანიც ვიყავით, მეთოფეები წინ წადგეს,
მუნ რევაზ არის სარდალი, თავს მუზარადი დაადგეს.

ყარაულმა თქვა: ვაროთ, თოფ მოვლენ უღლის უწინა,
თუ მოგვისწრებენ, არ კარგა, — ეს სახლთხუცესმა უწყინა,
ეს ავადა ქნა, ჯებირზე მეთოფე არ დაუდგინა,
წავედით, იმათ მოგვასწრეს, რევაზ რა ნახა, აგინა.

წადგა რევაზ მეთოფებთან, ასროლინებს, არიგებდა,
ბრუნავს ჯარში ხმალმოწვდილი, ქარქაშშიგა არ იგებდა,
ერთხან ჯარი უკუფანტეს, ჩვენი შუბსა მათ აგებდა,
გათამამდეს და ისროდეს, ვირე ამას შეიგებდა.

გაგრძელდა ომი, რევაზს ჰკრეს, ორი ფინდიხი ტყუბადა,
შვილებს უთხრა თუ: მაცალეთ, ბატონსა ვხედავ სუბადა,
მივალ, წინ წამოვაყენებ: სისხლი ვადინოთ გუბადა,
ღვთით გამარჯვება ჩვენია, წინ წავიქციო ჯგუფადა.

მოვიდა რევაზ თამამად, მითხრა: ძლევა შენიაო;
მაგას ჯარს ნუ დაახედვებ, უჩემობით შენიაო,
წინ წაუდექ, ვარდი მათი მოუყინე შენიაო,
შენმც გახეთს ნუ მოეშლები, ოხერი თუ შენიაო.

მოვიდა, ხელზე მაკოცა, ვიდრეღა იყო სულ დგმულად,
მითხრა: მინახავს პირ-ნათლად, როს ქრისტე დაჯდეს მსაჯულად,
შენ ღმერთმან დიდხან გაცოცხლოს გამარჯვებული კარგ რჯულად,
გაბრუნდა, რასაც თოფი ჰკრეს, იქავ გარდახდა სიკვდილად.

რა ლაშქარმა დაინახა, რევაზ ცხენით გარდავარდა;
ვინცა ნახა, მეორესა უთხრა, ყოველგან ხმა დავარდა.
დაგვიმარცხდა, გამოიქცენ, ერთი თოფიც არ გავარდა,
რაგი ზურგი დაგვინახეს, მათი ჯარი ზედ მოგვარდა.

ვეღარ დავუდეგ თიანეთს და ჩავედ შიგნით გახეთსვე,
მომყვა უკანა ესენიც, მაშინ წამიხდა სულა სვე,
ხასიასსაც ხმა დაგვივარდა, ამბობდეს ლაშქრის მოსვლასვე,
დათუნა იქით გავგზავნე, მტერს ხმალი ვეღარ დავასვე.

აქათ ესენი მოვიდენ, ხისიხს მოუხდენ ყაზახნი,
ამას ვინ ახლდენ მაგდენი, სხვა არ თუ ისევე გახნი,

მაგრამ რაც ახლდენ, ყველანი მამაცნი გულითა მკვახნი,
სულ კაჟაცები დაგროვდენ, არ იყვნენ ბევრ ომნანახნი.

ამოსწყვიტეს იმათ წამსა, ქვეითობას არ აცალეს,
ვინ ვის წინა გაუსწრობდა. ან ცხენს ვინ ჯდა უმუხლო მალეს,
ხევი დახვდათ შუაჩედა, მათ თოფები აწ დაცალეს,
ცოტა ვინმე გაუვიდა, ზოგი ცხენით გადაცალეს.

ჩემი შვილი ხევს ასლოდა, სხვას მეთოფეს შემოყროდა,
შუბი ეკრა ამას მისთვის, იმას თოფი დაესწროდა,
ეკრა გულსა, ჩამოეგდო. ვაი რა დროს შეგვესწროდა!
თვით მოკლეს და ყმანი კარგნი იმ დღეს მასთანა მოესწროდა.

ზიმინა დიასამიძე მიუძღვა მეწინავესა,
უცხოთვრად თურმე შეება ელიას გულად გავესა.
ერთი შვილი მყავს, რად ვიყრი, უყურე ჩემს სიავესა!
რას სამძღვარზედან მომიკვლენ, სამართლით ვის სადავესა.

ქაიხოსრომ მაყასშვილმა, მან სუფრაჯმა დედოფლისამ,
წამოსულმა, სხვასა კითხა, მოიხოცა მან ოფლისამ:
ბატონიშვილი მორჩა, თუ მოკლა საქმე ამ სოფლისამ?
უთხრეს: მოკლეს. ეს მოიღო უსაზომომ რისხვამ ღვთისამ,

თქვა: მოკლეს დავით თათართა, ეს დედოფალს გაუცხადო!
ამას იქით მე სიცოცხლე ჩემი ღმრთისა აღარ ვხადო.
მივბრუნდები, შევაკვდები, მგონ სირცხვილი მოვიხადო,
მიუბრუნდა შეცააკვდა, სასახელოდ თავი დადო.

იესეცა სახლთხუცესი ამასავ იქს მორჩენილი,
სადამ იარაღთ შეუძლეს, სცემენ არვის დარჩენილი,
ბევრი მოკლეს, სხვა დაგდეს, მათგან ლახვარ დარჩენილი,
მერმე თვითონც ზედ შეაკვდენ, რაზომ იყვნენ თავჩენილი.

როსტომ მეფეა მე მხევლის, და არა აზნაურისა,
სვიმონ მეფის ძმის დავითის შვილი გვარ ჩვენებურისა,
მას დედოფალ დათხოვდება, სვიმონით მამეურისა,
მხევლის ნაშობმა მეფემა საქმე ქნა ბედაურისა.

აღარ იყო ამის მეტი, დედოფალი ნახავს ძმასა,
მივიდა და შეეხვეწა, (შეიხვეწებს ძმა მის დასა),
იმერეთის გზის მოცემას ემუდარა, არა სხვასა,
საქმე მან ქმნა მოსაწონი უქებდიან ყველა მასა.

უთხრა, თურმე, დედოფალსა: ღმერთმან იცის არ მინდდაო,
თუმც არ ღირსვარ, მაგრამ კი ვარ, მე ძმა შენი და შენო და,
ჩვენსა შუა ჩხუბის მდომთა შენგან უნდა შეშინოდა,
ამათთანას ღვთის მგმობართა ჭკვათა მყოფი ვინ ენდოდა?

არა ქნეს ამ ღვთის მგმობართა ურცხვინოთ ფიცის მტეხართა,
თქვენ აგიყოლეს ჩემზედა, სამტეროდ მათ განახართა,
აწ ზურგი შემოგაქციეს, გეტყვიან: აქ ნუღარ ხართა.
ესენი მხიარულობენ, ჩვენ გვხედვენ ორთავ მწუხართა.

ახლა რა გიყო მის მეტი, გზას მთხოვ და მომირთმევია,
გინდ გადმოგვყვება თქვენი ყმა, არავინ წამირთმევია,
არც შვილის-შვილებს გიხსენებ, არავარ ავ-სადავია,
ქართველთა შემოგაფიცებ, სახერხო არ ურგვია,

ქართველნი წამოაყენა და შეაფიცა მტკიცეთა,
ჩემგან აღარა ეცნოს რა, თქვენ ასე დაუფიცეთა,
კათალიკოზი ახლო: წინ მხოლოდ გზები მისცეთა,
ამ ყოფით წავალ იმერეთს, იქ უნდა თავსა ვიცეთა.

როსტომ ამტკიცებს შენს ლექსსა, მტრის მორეულის ყოვნებას,
არ სიკვდილს მორეულისას სადაღაც უნდა გაშვებას,

საბოლოოსაც იხედავს ვერ ხედავს კარგა ჩვენს ვნებას,
თუ ჩემთვის ბოლო მოელო, პოებდა ვერ მოისვენებას.

თუ სულ აღარ ყოფილვიყავ, ასე ჩნდა საქმე ბოლოსი,
მასც ხელს მოყოფდა ყეენი, მოეხმაროდა არ ოსი,
ის ჩემდენს ვერ გაუძლებდა, ვით მოთხე ტანისამოსი,
ასეა, მე დამიჯერე, მიხვდება კაცი სალოსი.

რა მივედით იმერეთსა, ჩვენი საქმე მათცა ნახეს,
მოვიდეს და მოგვიტირეს, ჩვენთან სულთქმეს, ჩვენთან ახეს,
ცოცხალთ საზდო მკვდარს სამარხო, ყოვლი ფერი მოგვინახეს,
დაგვიტირეს გულ-მწუხარეთ, სასიცოცხლო შეგვინახეს.

დამრჩა ოთხი შვილის-შვილი, სამი ვაჟი ერთი ქალიც,
სულ უფროსი ხუთის წლისა, ცქვიტნი, კარგნი, მუხლად მალიც,
უმაწვილურად თამაშობდენ, ხან საქციელ-განაკრძალიც,
სულე უმცროსსა მეფემ შვილად ზრდა დაუწყო, არს ობოლიც.

ვიყავ გლოვაში წლამდისინ, გათავდა წელიწადია,
დადიანს დავეპატიჟე, მეფემც მიბრძანა: წადია...
წაველ უფრორე ამისთვინ, სხვა საქმე რამე მწადია,
ბატონის შვილი მამუკა სელთა ყავს, ვინ არს დადია.

ოდეს ლევან დადიანი აქ ლაშქრითა მოსულიყო,
გიორგი მეფე ხელთ დარჩა, გამარჯვებად კი კმარიყო,
მას თავი დაახსნევინა, მობრძანდა და მომკვდარიყო,
აწ ამ მეფეს ალექსანდრეს საქმე მისგან წახდენიყო.

იყო ამათში მტერობა, ყოვლს მტერთა უბოროტესი,
მიხდომ-მოხდომა, სმლის ცემა, პირისა, არა კოტესი,
აწ აქვს დადიანს მეფეზე ძალი მწვე უუმეტესი,
დადიანსა აქვს ნარჩევი პასტა წუწვი კუტესი.

აწუა კიდეკ მოსულიყო და მამუკა დაერჩინა,
დაეშინათ შუბი მაგრა, სალამაზოს მოერჩინა,
არ მოეკლა წაეყვანა, ოდიშ კარგა დაერჩინა,
ჩემს მისვლაზე დაეტყვევა, ეს წუწკუტანს გაეჩანა.

წაველ, მინდოდა მამუკას შუამავლობა, აშვება,
ამათი გარიგება და იქ ნადირობა და შვება,
დადიანს ჩამოვიყოლებ, სულ-მაღლი არ მოეშვება,
წუწკი არ მისცემს თავს ხელთა, რას ქვია, არ გაიშვება.

მიველ, ვნახე დადიანი, კუტირე და მომიტირა,
მას ცოლ-მკვდარსა, მე შვილ-მკვდარმა მივუმჩივრეთ მწარედ ვირა,
ჩვენმა შეყრამ და მოთქმამა, მუნა მყოფნი გააკვირა,
სიტყვა ისმა იქით-აქათ, თქვეს: რუსთველი გააკვირა.

რა გადავსწყვიტეთ ტირილი, იმანაც მომიფოყოლა,
წაკედით სანადიროდა, ტყეები ვრეკეთ, მუნ ყოლა.
მემოლობითა დადგომა, გმელთ ტყეთა ჯერგის მიყოლა,
ჩვენ და-ძმათ-შვილთა გვიხარის ერთმანეთისა თან ყოლა.

პაპა ჩვენსა ალექსანდრეს დავამგზავსე მშვილდოსანად,
მშვილდისა და ისრის სიგრძე, სასხო ქონდა ვითა მანად,
სამამაცო ყოვლი საქმე ბევრი სჭირდა გიდეგანად,
მაგრამ ქონებას შეეპყრო, გულისა ესვა ისი დანად.

ლხინნი მაჩვენა კარგები, სალაროს კარი გამიღო,
ვნახე ტურფანი ეგზომი, მე ანგარიში წამიღო:
მურასა იარაღები, უანგარიშო საჭილო,
გამოველ, ჯაზაირი და ერთი სამოგვე მამიღო.

ვეცადე მათ გარიგებას, გამეწყობოდა რითაცა,
სკეწნით და შემუდარებით ვკლავ ფიცით მასით რითაცა,

წუწკი ეტყოდა პაატა ამდენი სიტყვა რითაცა,
ასეთი სიბრძნე ვუამბე, მოამშვიდებდა გმართაცა.

არ დამიჯერა, მიზეზი მითხრა ცუდი ბევრი რამა;
რას უჯერა ერთის კუტის კაცისა, ან შეიპყრო ისე რამა?
რა შესცოდა მაგისთანა, შვილს მოუკლავს მამიდამა.
საქართველოს დაასუსტებს, ასე უღვთო საიდამა.

თუ ისინი შემერიცა, რაც მინდოდა, მას ვიქმოდი,
ორთავ ბევრი ლაშქარი ყავს. გამიგონე, ახლო მოდი,
ვალაშქრებდი ჩემს მტერზედა, ბოლოსაცა დავაქმოდი,
არ იქმნა და მეც დავეხსენ, ვერ აღვიღე ჩემი მოდი.

ამად მინდა მათი შეყრა, ის ძმა იყო და ეს სიძე,
ეს თუ არ იცი რით ძმა, ან დადიანი ვის სიძე,
მე ძმის შვილი ვარ, ის დისა, შუაზე ლობე ეს ვიჭმე,
დარეჯან მამიდა ჩემი და დავით მას გაუბიძე.

არ გაერთდენ არას საქმით, ორთავ ბევჯერ შევეხვეწე,
მათი საქმე დაკორდვილი, რაზომ წმიდათ ჩამოვხვეწე,
გარდავსწყვიტე მათით ლონე, ასლა სხვაგან გადვიხვეწე.
ვაიმე თუ ვერც რამ იქმნა, და ცუდ ადრე წავეწეწე.

თუ ყმა ბატონს მოკრევა, აჯას აღარ გამოართომს,
ბევრი ასე ღმერთსაცა გმობს, სულსაცა, სულსაც პირიძი ამოართომს,
მამუკასა თვალებს დასწვავს, კარგს კაცსა არ თვალ დასდგომს,
მერმე მოკლავს დ დის სარჯელ თ, ცისკსა და ერთის ავ სადგომს.

არ მომიკვდა მე გიორგი, რომელს ზრდიდა მეფე შვილად,
ჯერ ყმაწვილი ხუთის წლისა, უსუსრი, ისევ ჩვილად,
ვაი კრულსაც ჩემი ეტლი, არ მომესწრო პაპას ზრდილად,
ჭირი ჭირზე დამეტმასნა, თავს გადავდებ სასიკვდილად.

ვთქვი თუ: ქალი უგულმართი, ჩემი ბრუნავს მუდამ ასე,
არ მაჯერებ იმდენს ავსა, რომელ ასით უფრო ასე,
რაღაც დაგრჩა სასიკვდილე, შენ ლახვარი მე დამასე,
რად არ მამკლავ, რად გინდივარ, დამაბერე და დამნახე.

ძნელი არის გამოშვება, რა შეიპყრობს კაცსა ჭირი,
უგულმართის ნარხის ბრუნვა, მაგრა ექმნას მონაჭირი,
ლხინი, შვება, სახარული, მისთვის იქმნას გასაჭირი,
ასე ძნელსა მოურჩება, გალამაზდეს ვით დუხჭირი.

თუ მოსავალი არ მოვა, კალოს რით გალეწება?
უბრალოდ ვინმე შემომკრას ლოდსა, გახდება ლეწება,
მარქვენაც იმას მიუპყრა, სიტყვა ვთქვა მესახვეწება,
რახან ის ბედე შეიპყრას, მას ვერვინ გადეხვეწება.

რასაცა ვანბობ, კარგა სინჯავ, და გაარჩევ ვიცი კარგ ავს,
ქალმა მიპყრა ვირჩხებისამ, ჩემთვის კარგი არასა გავს,
მას მოითვლებს შემუშავე, მკვირად რასაც ნერგსა დარგავს,
თუ ვერ ვირგებ ამ სოფელსა, ღმერთი აქ არ დამივარგავს.

სვე და ბედი გარდმესვეწა, ვხედავ, სხვისგან განაქცევსა,
სახელმწიფო დამეკარგა, ესპრეტ ოსმალს მონაქცევსა.
თვალთა ჩემთა ცრემლთა სარბად მაგან ვცურავ მოსაქცევსა,
ჩემთ საწოლთა სიკვდილისგან, არ მოველი მონაქცევსა.

ორნივა დამრჩეს ძმასწულნი, რა მქონა ამას ვგონობდი,
ორნივ თუ ჩემთან ვიყოფო, ავად მამიხდეს, ვღონობდი,
ვთქვი ერთს რუსთ მეფეს მივართო, ქრისტიანის მეფეს შევძღონობდი,
ეგებ ეს კარგად მომიხდეს, თათართ წილ იმას ვნანობდი.

რაც მოუნდა, ყველა თათართა წამართვეს, მივეც თუ ნებით,
ავად მომიხდა ისინი, ჭკუით ვქენ, თუ გონებით,

ურჯულოს წილად მორწმუნეს, აწ იმას დავემონებით,
ერეკლე რუსეთის გავგზავნე ხელმწიფეთ მონაწონებით.

შვიდს წელიწადს მოვეცადე, კიდევ რასმე შევეცადე,
მაგრამ ბედსა უკუღმართსა ასე რიგად დავებადე,
ვერა ვირგე მე მათითა, ღმერთს ამ სვეზე დავებადე,
აწყა რუსეთს გავემზადე, იქით წასვლა დავიქადე.

გითხარ სალექსე დროება, არ ოდეს არ შემომესწრო,
ან მოსვენება მენახა ან ჯვარისათვის დამესწრო,
მაშინ ნახვედი თამამად, თუ შენთვის მე არ მომესწრო,
ხელმწიფეს ვნახავ, თან ხლება, ვის გმართებს შეგრცხვეს არ მესწრო.

ხანგრძლად სხვათა მხარეთ ყოფა კაცსა ცეცხლად მოედება,
მუდამ მოყვრის პურის ჭამა, საყვედურად დაედება,
რა გინდ რამე არა აკლდეს, მაშინც გაუგემურდება,
ველარ გასძლებს შემოცდასა, ამად სხვაგან გარდეგუბა.

მომეწყინა ამდენს ჟამს, მე მოყვრისას პურის ჭამა,
აწ მივმართე რუსთ ხელმწიფეს, ვინ მწერს: ხარო ჩემთვის მამა,
გავველე ზღვა და ხმელეთიცა, მომეწყინა ხანთა ზმამა,
მისი სიტკბო, თავდაბლობა კაცს ვერ უყოს ვერა ძმამა.

მივველ, დამიხვდა ხელმწიფე, ღვთის მზგავსი მოწყალებითა,
სამართლიანი რჯულ-მტკიცე სხვათ მეფეთ უმაღლებითა,
დიდათ პატივმცა, შემატკბო, გულითა მიერ მდაბლებითა,
ვით მამასა, პატივი მცა, შვილებრივ ალერსებითა.

პირველს ნახვაზე არ ადგა, ხელს ვკოცნე, თავსა მაკოცა,
დამსვა მის ახლო ალერსით, სიტყვები კარგა ამხოცა,
მომიკითხა და სიტყვითა თვალს ცრემლი ტკბილად მამხოცა.
თუ ღმერთს სწადს შენი სარჯელი, არ წასდეს არ დაემხოცა.

მეორეზედა მიმიხმო, მიველ იჯდა თავის წინა,
ადგა ტახტით, მომეგება, მე ხემწიფე, კარგა, წინა,
ხელი მიპყრა და მიბრძანა: ეს მმართებდა მე უწინა,
ამად ვერ ვქენ მე მაშინა, დიდრონს რუსებს არ ეწყინა.

ამიყვანა თავის ტახტზე, დამსვა, შური არ შეგვექმნა,
დავითისა ნათესავისა ვიცი ბოლო არ დაექმნა,
არ ღირს ვიყავ, გული ჩემი შემიწუხდა. ვითა მექმნა!
რადგან ისე მოინდომა, ან მე რაღა ძალი მექმნა.

მოაღებინა კახშამი და შეჭყვა წვრილადა სმასა,
უცხოდ თავ მდაბლად მომეპყრა, ვით ფეროზს ტახტზე დასმასა,
მუხლ-და-მუხლ ვუჯე, თუ ღირსვარ, პირს მის ფერხ მტვერთა ასმასა,
რაც გადამხდოდა, მკითხევდა, მე მოვახსენებ, ას, მასა.

მიბრძანა: იმედი გქონდეს, ილოცე, ღმერთს ეხვეწო,
მე ლაშქრის მოცემა მინდა, მით მისკენ გარდვიხვეწო,
არც დრო მაქვს საქმის მოცდისა, სიბერით დავიხვეწო,
ვერ მოვიცადე, წამოველ, ვეღარ ვიშოვნე შემწეო,

ვნახე სიდიდე უფროსი, სხვა რაც ხემწიფე მენახა,
მიბოძა ბევრი სალარო, რა ვუთო, რად შემენახა,
შენდა სასმენლად გიამბე, რისთვის არისმენ შენ, ახა!
აშთარხანს მოველ, მომირთე ვაი ვაება მე ახა.

ეს ვეჭობის შენცა იცოდე. კაცს რა დროს სიბრძნე უწესებს,
ოცდათის წლოიწადს იმატებს, ძალს ჭკუას ცოდნასა დასდებს,
ორმოცამდისი დადგება, არ იკლებს, ამას ითავსებს,
მერმედა წავა კლებაზე, ოდითგან ვეღარ ისავსებს.

დასტურ თქმულა სიკვდილამდი, კაცი ცოდნას ხამს იწრთნიდეს,
მაგრამ მოუძლურებული ჭაბუკისდენს ვით შესმიდეს.

თუ უცოდნი დასწავლოს, ზოგი წვრთილიც დაავიწყდეს,
მე ის დრო და მწუხარება მომესწრო და ცრემლი მდინდეს.

სამოც-და ათის წლის ვიყავ, როს რუსეთისა გავემართე,
წაველ შორეს ქვეყანასა, ზღვა ხმელეთისა დავემართე,
რაც მწადდა ღონის მიება, იგ ვერც ერთი ვერ მოვმართე,
ცუდ მაშვრალმა დაღალულმა ისევ იმერეთს მოვმართე.

აშთარხანს მოველ, საზარო ამბავი მაშინ მომესმა.
აწ ნუღარც შენ შემიბრალებ, გულსა ლახვრისა მომესმა,
მწუხარებისა საწდევსა სამსალით მძართების მომესმა,
ყოვლი იმედი გადმიწყდა, დავსწყევე ჩემგან მე ძისმა.

მიამბეს, თუცა ძნელია აწ ჩემგან კიდევ სათქმელად,
მაშინ მიგქონდი ღელვასა უფსკრულთა მე დასანთქმელად,
ნათელი თვალთა დამიშრტა და გარდამექცა სულ ბნელად,
აქ ამას იქით მეშველმა, მიშველოს მელა მწვე ძნელად.

პირველ ჩემს ყმათ გაეგოსა, დასტეხოდათ მწარე ზარი
მოკვაჭრათ ღვთის რისხვის დღე, გაეშალათ მათ ბაზარი,
ყოფა ექნათ საკვირველი, გაეგირეს მით ხაზარი.
რა მე მითხრეს დასამხობი, ამოუშვეს მაღლა ზარი.

მოცვიოდიან საზარლად, მაგრამ დავაზრდი ვერასა,
თავცემით პირ სისხლიანნი იგლეჯდეს თმათა წვერასა;
ვაი დაგვსია ნათელი მზე არ ჩანს დანაწვერასა,
გული დარია ლახვარმა, არა მკჩხლეტს დანაწვერასა.

დამიწოქეს, შემომძახეს მაღლის ხმითა ცრემლ დანთხევით:
ჰე მეფეო, მოგკლდომია ვის უპკრეტდი სამოთხევით,
პაპას ბიჭი ახალ ნორჩა, ჯერ არ სრული მალალს სვეით.
ზღვას დაუნთქამთ პატრონ ყმიან, არ დამრჩვალვართ მცირეს სვეით.

გარდავიქეც მასვე წამსა, ამის სმენა ვით გამეძლო,
გულიც მქონდეს მაღნიტისა, მის ჩამოღმა ან გამეძლო,
მასვე წამსა მოზრუნება ჩემი არას არ შეეძლო,
გამოვეყემსე ყოველს კეთილსა და დამეხშა ვითა სასძლო.

ცოტა რითმე მომაბრუნეს, თვალ-თვასხული გულ-დნობილი,
ვთქვი: რა რისხვა მამვლობია, ესდენ ვიქმენ მე ცნობილი,
კვლავცა მიითხრეს საზარელი სიტყვა ერთათ შეწყობილი,
ავიოხრე, მადლი ვკადრე, ვინ ქალწულის არის შობილი.

ვკადრე: ღმერთო, კურთხეულ არს, გაკვებული შენი ნება,
მაგრამ მამხვდა სიბერის დროს უხოიშნო დიდი ვნება,
მით მეწია რისხვა შენი, ვერ ვათავე შენი მცნება,
სულის ნუ წასწყმედ, ხორცს გაუარე, სხვადა ღონე არ ექნება.

ეგზომ ცეცხლში გამომდნარსა, სთქვა თუ რადა დაეწოდა?
არ თუ ჩემი ყოფილიყო, სხვის ვისგანმე მომეწოდა,
შვილის-შვილად არ მყოლოდა, შვილობილი დამეწოდა,
მაშინც ხამდა სიკვდილამდე ზე საცოცხლე დამეწოდა.

არ მინახავს მე მისთანა, არც ჩემი და არცა სხვისა,
თვით მნახს ვა ბევრის კარგის, ვარ როგორც დღის ავისა.
არსად მასსოვს იმისთანა, მენახოს და ვკითხო ვისა,
თუ ეს ვისსა შესწრებოდა, შეერწყვევდა ვისს რამისა.

მისნი მნახა იტყოდიან ნაშობია მოისრისა,
ხედავ კრთება სხივი მზისა, ვით ისარსა მოისრისა,
გულიც გაქონდეს ალმასისა დაჭრა მისგან მოისრისა,
ვარდი ვარდისა დაუჩაგრავს, ვითა ხელით მოისრისა,

სხვა მასებრი ცხენოსანი ვის ენახა მოისარე?
ვით წახვიდი მხიარული მჭვრეტთ პირსა ჭკრი მოისარე,

ჯერ უწვერულს პირსა მზესა, წარბ-წამწამი მოისარე,
ყოვლთ სულდგმულთა სატყუარველო მსწრაფლ გული რად მოისარე?

ხორცი უმანკოდ დაიცვე, სული მით ჯაგრწველებია,
მკლავს ძალი ამ ყამ ურკენია, გულ-მაგრობ გაგსალებია,
ფიცხელნი ფერხნი კისკასა, საკეთე არსად გკლებია,
სხვა ამის მეტი რადაყავ ოხერი პაპა, ბებია.

თუ პატიჟი კაცს მოკლედეს, მაშ სად არის, რად არ მოვა,
რაც მუკა ყველა დამიხოცა, ასე მარტო მისთვის მპოვა,
ყმანი ჩემნი დიდებულნი შემომძარცვა, შემომძოვა;
მწიხნა მედგრად საწრეტლითა, გაუმძღომლად სისხლი მწოვა.

მეფეს ექნა საკვირველი გლოვა დიდი მეტის-მეტით,
გამცხადებელნი მოვიდნენ სულ იმედ არ გადაწყვეტით,
კიცი მე კი არას მარგებს, მომამინე თავისა გვეტით,
მანდ გუავს ერეკლე, მომგვარე სულ არახარ ამოწყვეტით.

მეფის ელჩებიც პაგზავნე და ჩემიც თან გაატანე,
ხემწიფეს კოხოვ ერეკლე, სათუო არ დააგდანე,
მწუხარეისა გაჩვალი ჩემს გულისა ხორცსა კატანე,
რალაც წამამყვა რესეთით, სალარო თან მოვიტანე.

მოკვლე იმერეთს, დამისკდა გვერგ მკვდარი დედოფალია,
თუ გზას კვითხვე გამათელს, სულ მომდის აკი ფალია,
მართ დაჭკდომოდა ლუარსაბს მაწათა დანაფალია,
დამტირებელთა ვიტირებ პურისა მეუფალია.

ალარ ვიტყვი მამინდელსა, ვებ გული არ გვტკინოს,
ვით გავუძლო ამ საქმესა, მიწაც ვინძე გამარკინოს,
წყეულმც არის ეს სოფელი, თუ კიდევ არ მკრკინოს,
ნაძლევი გარ ამის უფრო თუდა კ ნმე დამაკინოს.

## კარი ოთხმოც-და-მეერთე.

### სიკვდილი ლევან დადიანისა და მეფის ალექსანდრესაგან ოდიშის, გურიის და აფხაზეთის დაჭერა.

დადიანი მომკვდარიყო, მეფეს ეპყრა ლიხს იქითი,
სულ აეღო ციხეები რუხ, ნაქალაქევ, ჭაქვითი,
სალარო თან წამოეღო, ცუდ-მუდებისა მას აქითი,
აფხაზეთიც დაეჭირა, სულ სვანეთი საქვიითი.

ვამიყ იყო დადიანის ბიძაშვილი არ მას გვანი,
ის დაესვა დადიანად, ვინა არს ლიპარტიანი,
ბატონობის შეუფერი ვითა დვალი ანუ სვანი,
ვერ მოეკლო ოდიშისთვის, გლახას მართებს რცხვენოვანი.

კვლავ დადიანსა ძმისწულნი ყვანდა მამუკა, ლიპარტი,
წასულიყვნენ როსტომ ხანთან მოეხმარა მას ლაშქარი,
როსტომ ფაშა ათაბაგსა, იმასაცა მისი ჯარი,
ქაიხოსრო გურიელი და ერთ პირად ოდიშარი.

შეყრილიყვნენ მეფეზედა, ამათ ექნათ ერთ პირობა,
მოსულიყვნენ ბანძას, მაგრამ მეფე წყალს კი გაესწრობა,
მეფე მარტო იმერლით ხელმითა ავად მიეპყრობა,
გამარჯვოდა სასახელოდ, საქართველო მით ეპყრობა.

უწინც ჰქონდა ამ ომს უკან დაეჭირა უფრო მაგრა,
დაეხოცა ორგულები და ზოგი კი დაეჩაგრა,
საღმთო საქმეც აწ აეწყო, სინანული მოესაგრა,
აწ მარგებდა უსაცილოდ არ დასცალდა ხანი მაგრა.

როსტომ მეფეც მომკვდარიყო, ვახტანგს ეწყო ქართლის პყრობა.
ყეენმა სიყვარულითა დაურთო შანავაზობა,
კაცი მხნე ზნეობიანი სიფიცხით ვითა აგზობა,
მამაცი კარგი სარდალი კარგად იცოდა რაზმთ წყობა.

ამ ხანად მეფეც მომიკვდა, ვეღარ გაძლო წელიწადი,
ჭკვათა მყოფი დიდად ტირდა, ემახოდეს თუ საწადი.
საქართველო დაიმსობა, მტერთ მიხვდება სულ საწადი,
ჩვენ წახდენად ქვა დაგვყარე, შენ სუფევის ტახტსა ადი.

მეფე მოკვდება, ლიხს იქით საქართველოს თან ჩაიტანს,
ალაღდებიან თავადნი, ერთი მეორეს აიტანს,
ერთი მეორის სიკვდილად მოკვა, ამხანაგს მოიტანს,
ერთმანეთს ხოცა დაუწყეს, თავს აშორებენ მოი ტანს.

წამოდგა მეფე ქართლისა და ვამიყ დადიანიცა,
იმერეთზედა ილაშქრეს, მთიდამ ალაღდა სვანიცა,
დამოუჯერდენ, შუა გაიყვეს მთა, ბარი, შუა განიცა,
მო ისიც გითხრა ვამიყის საქმენი შეუკვანიცა.

მე დავრჩი ურჯულგნით ოხერი, არგვეთს, ციხესა სკანდისას,
ვამიყთან როგორ მივიდე, პურს ვსჭამდე უხრმლოს კაცისას,
ქართველს ბატონსვე მივენდევ, მისივ კარჩიე იმისას,
გზასა გთხოვ საფიცარითა, ყეენის კარზე წასვლისას.

მომცა მეფემ საფიცარი: არ გიშლი მე მაგასსაო,
ამადა ვქმენ, რომ ყეენი არ უმადლე მას სხვასაო,
ჩემის ნებით მივენდობი: ვნახო, რას იქს მუქფასაო,
მაგრამ არას დამიმადლებს და დარქვამს გაგზავნასაო.

მივედ ვახტანგთან, ვით მართებს დამსკდერ ეგრე თავმდაბლად,
ხელი შემიწყო, კვლავ იყო უფაქცევითა საკრძალად,

ხმალი, ნამუსი, მალ-ბუძი მას ჰქონდა მისად მასალად,
ნებით გამგზავნა ყეენთან, მე მ.ნდა, განა მან მალად:

რაზომ გამსარჯვა სოფლებმა ცდა არ დაკაკლო სიკვდილამდი,
არ გაკვსტუდი, არ შეუშინდი, კიდე არ მოკვდი, მანამდი,
მოსკოვს, სტამბოლს და ისპაანს, მას შიგნით მთა და ბარამდი,
ჩემის სახელის მკვლელები ყოველგან დავასსევ მანამდი.

რაც ვამოუ ქმნა, ვის უქნია სხვას კაცს ასე საქმე ცუდი,
აეშალა ამ კარგს კაცის ქმაკის გულს დანაბუდი,
მოურობიდამ გაეყარა, ცუდი აკად დაჩაუდი,
ამ ხმლიანსა სიმწიფესა სამასაცო ხუჩაკს ქუდი.

ასე უნდა მტერმა მტრისა, თუ სირცხვილი გადიხადოს,
ჯერ ეს ჭკუა მოიგონოს, მისად შეჰწყედ ღმერთსა ხადოს,
კვლავ მ.უხდეს ზედა მტრისა, ყოვა ავად გაუხადოს,
მტერი მისი შეარცხვინოს, სასაჩქეროდ მისთვინ დადოს.

მიუხდა, ყველა წაართო სამეფო, სადადიანო,
გურია, აფხაზეთიცა, ჰე კაცო ხლიან სვიანო!
შვილი მეფეთა აკურთხსა, ქალწყალის ასალიანო.
გამ.უ და მისი მოილგომში, ყუყურე სად დადიანო!

ოდიშს ზავიდა, აქ დასვა იესეს შვილი, ზუგდიდისა,
მოყვარე იყო ამისი მეჯხუდირე ყიმადისა,
მუნ ინადირა ტყეები გარშემო დანიანდისა,
აფხაზაც შემოუარა შაშით ამასთან მოდისა.

კვლავ თვალში ბეწვი უპოვნა, ვის თითონ ქონდა ხედა.
მიუგებს: შენსა ვერ ხედავ საწყალო ცრუ სახედაო,

ბევრი საქმე უნდა სცადო, თუ გინდა გამოიცადო.
ბევრი უნდა მოითმინო ავი, კარგად მოიცადო,
ავი საქმე, ავი სიტყვა გულით აღარ გაიცადო,
რა ქსე ჭქრა, დახალასდე, ხაწველმა გამოიცადო.

ეგ ნუ გონიათ: სხვა ენა მე არ ვიცოდი სხვასავით,
მაგრამ ცუდია გარევა ქართულის ენაში სხვასავით,
იესო ქრისტე ვის არ გრწამს, მიკვირს სხვას ღმერთსა ქსავით
თუ ის არ შეგბწევს: ცუდია, მარტო ვერას ვიქთ ჩვენ თავით.

ორს მელექსეს ჩანოისათ სხვა მელექსე მე ამებით,
არა მძულხართ, ყველა გაქე თქვენის თქმულით შეამბებათ,
რაც თქვენ დაგრჩა, მე აკრიბე, ამას ნუ'ვკან მედავებით,
სტუმარს დავსვდე ნახორ-ძახლით, თქვენით უკეთ შეამკებით.

რაც მასმოდა, არ მენახა, ამბავი ვთქვი მე მართლები.
ანუ ჭირი ანუ ლხინი ერთმანეთზე დანაიკლება.
სიმართლე და კვლავ სიმრუდე ვის ბნელი ქნა ან ნათლები,
თუ შერდობას არ მიბრძანებით. წყევას არ ვინ შემართლება.

ცხრას თვეს ყველა გავათავე სულ ამაზე არ მოცლილმა
ოსეთს ვიწყე ევაიქომმა საქართველოს გამოცლილმა,
რად ამაზედ მომაცალა სოფლის ბრუნვამ ვითა ჩრდილმა,
აქ აშთარხანს გავათავე არჩილ მეფემ ასე ჩრდილმა.

მიხამს, თუ ჩემა ნათქომი ვთქვა ყოვლთა მოსაწონარად,
ფასად მომცემდენ ქებასა საბრძნესა მოსაწონარად,
დავაგდო ჩემად სასსოვრად, შეჩდობის მოსაგონარად
თუ არ ვინ მაისხრას შესდობა, ვერა მთქვან ცუდად მცონარად

## კარი ოთხმოც-და-მესამე.

ა ლექსი დასაბამიდამ ამ წიგნის გალექსვამდისინ რამდე-
ი წელიწადი ჩამოსულა და ამას დაწყებაზე რამდენის
ლის ვიყავ და აწ თქვენამდი რა მოვა სოფლის დასას-
ულამდი გაუწყებსთ ამის უწინ ქართულის ლექსით არ
თქმულა, ესეც იცოდეთ ქორონიკონი ლექსად.

ვაწყე ოდეს ესე წიგნი წლისა ვიყავ სამ ათ ოთხ ტნით.
დასაბამათ წელიწადი ეს წასულა ჩუმ არ ბას ტნით.
შვიდი ათას ას ოთხმოც ცხრას სათვალავს ხურას დასტმასნით.
ეს ჟდებოდა ქორონიკნად სხვას ასოსა ნუ დამეტნით.

# ანბანთ-ქება.

ასული, ასულა,
მჭვრეტნი დასულა
ესე ვინაა?—ჩემი ასულა.

ბროლ-მინა-რევით,
მზისა მორევით,
თვალნი მორევით მელნის ასულა.

გიმკომ ქებასა
შენ სამებასა,
ხელთა შეგვედრებ ხვეწნა ასულა,
დებორა ქველსა
შენ სდგამ სარქველსა,
თავს ხნარცვში მჯდომსა კი დანასულა.

ეცილებია,
ეცილებია,
მთვარეს აჩნია ეცილებია.

ვითა ებანი,
ვითა ებანი,
საფვრონსა ხმითა სთქვი რაებია.

ზიმირონსა ფშვი,
ზიმირონსა ფშვი,
ქება არ გიხამს საალებია.

ჴეთ ექმჷნ შვიდთა,
მნათობთა შვიდთა,
მიჯნურთა მწველობ საალებია.

თუ ცუდი ვერა ვთქვა,
არც ქება ვთქვა,
ნუ გეწყინება გონება ბრძენოს.

იელვარები,
იელვარები,
თვალთა მინათლებ, ვით მიგცე შენოს.

კმა საყოფელთა,
სულ საყოფელთა,
გიხამს გიმკობდეს შენ ქებას, ენის.

ლალს გარემშემო,
ლალს გარე-ჩემო,
ენა დამიბი, არ დამეყენოს.

მინა რევია,
მინა რევია,
ბროლისა პირსა ბაკომა უბითა.

ნარნარობს ხმითა,
ბრძენნი იხმითა,
მისად საქებრად ვით ენა ხმითა.

ოი მნათია,
ოი მნათია,
მარად ლოცევდეს, იხსნეს იმითა.

პირ-ბროლ ბადახშობს,
ბაგეთა დახშობს,
მუნ მარგალიტსა გარ-მოდგომითა.

ჟამი ქებისა,
მზის შუქებისა,
აჰა მოვიდა, ისმინეთ ახლა.

რაები უქო,
მას სასალუქო,
ლერწამ ტანსა უხმს ჩაცმად არ ახლა.

სულ ედემისა
ეს დაემისა
ზარიფინაკვთი მას მოენახლა,
ტირან სალაებრ,
ცორვენ სალაებრ,
თემცა გიხილონ თვარვინ მემზახლა.
ური დად გფერობს,
ყური დაჭფერობს,
მის განა·ყარსა ქვე ყელი ბროლი.
ფიცად მაქვს შენი
წამწამ ნაშენი,
ჯარი ინდისა ამბრებრ ნაყროლი.
ქმანდა გაჩევით,
გაქვს განაზევით,
მუდამ სურნელთა სულ მონაქროლი.
ღრმად ვიწყე ქება,
არ დადუმება
სიტყვა არა ვთქვა ერთზე ოროლი.
ყმად გფერობს მნათნი,
ვერ მოკამათნი
ვარსკლავთა ჯარი ცისკარსა ნდომი,
შიში მაქვ გულსა,
შენგან დაგულსა,
თუ ვერა ვთქვა რა შენწილ სანდომი.
ჩინით მხატვარი.
მოსვლად მსტოვარი,
ვერ გამოგსახვენ ვერას მიმდომი.
ცრემლსა მოაფრქევვს,
და სხვას მოაწვევს,
აწ შენ ეცადე, მე ცუდი მნდომი.

ძრწის, ვინცა გნახავს,
                    ქ̇ერეთ მოგნახავს,
მაგრამ ვერ გპოეს, ცუდათ რას ახავს.
          წამალ ძვირობით,
                    წამალ წილომით,
წამალ, თუ შენს სხივს ნეტა ვინ ნახავს.
          ჭმენვენ უნახნი,
                    თუ მოუნახი,
ღონე შენ თორე თვით ვერ დასახავს.
          ხარ საძებარი,
                    შენი მქებარი,
ვერ გიტყვის სწორად მაშა რად სჩმახავს.
          ხელოსნობითა,
                    მისოდნობითა,
თუმც ქონდეს სიბრძჵე, რაც არს გრძნობითა.
          ჯარათ დგენ ცნობით,
                    ან მონაცლობით.
ერთმანეთს ექჰნენ მაშვრალობითა.
          Ue ხმობენ ტკბილად,
                    შჳნად საძილად,
ებან ქნარითა წინწილ-ნობითა.
          ჴოი საწყალთა,
                    არ აფრქვევ,
წყალთა უწყალო ექმენ მიჯნურთ დნობითა.

(დასასრუ

...ТАИССКАЯ ГОРОДСКАЯ